გაზეთი ზვიადის, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№146 (753) 21 - 23 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი

# საფრთხე სამოქალაქო დაპირისპირება



## მიხეილ სააკაშვილი

„მოვუწოდებ შსს-ს ყველა თანამშრომელს, არ დაემორჩილონ უკანონო ბრძანებას!!!“

„დროა, დაესვას წერტილი, თუ არა და სხვა გარემოებაში გადავა საქართველო!“

„გამოვიყენებ ჩემს უფლებას და „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტს ვეტოს დავადებ!“

# დანაშაულებრივი რეჟიმის მსხვერპლი თუ დამნაშავე



როგორ აფასებს გია ხუხაშვილი გვარამია-ხეთაგური-ქამენიას დაპატიმრებას და მიდის თუ არა „დანაშაულის“ კვალი სააკაშვილ-მერაბიშვილამდე?

**გოკა გაბაშვილი:** „პოლიტიკურ დევნას ვუპასუხებთ ყველა ხერხით, რასაც კანონი არ გვიკრძალავს“!

ფარული სატელეფონო საუბრების სრული ვერსია

ალეკო ხეთაგურის, ნიკა გვარამიას, კახა დამენიას და დევი კანდელაკის დაკავება ელექტროენერგიის ტარიფს უკავშირდება?!

ნაციონალური მოძრაობა დისიდენტურ მოქმედებებზე გადადის!



როდის სთხოვა პატრიარქმა საქართველოში დაბრუნება და ვისთან არ აპირებს საქმის გარჩევას თემურ თათარაშვილი

# „არავის კარის მომღერალი არ გავხდები!“

## სინოდმა მამა გაბრიელი წმინდანად შერაცხა



მამა გაბრიელის ხსენების დღედ 2 ნოემბერი დაწესდა გვ. 2

---

## წინასაახალწლოდ თბილისი, შესაძლოა, განათების გარეშე დარჩეს?!

დადო ვარძელაშვილი და კობა ხაბაზი „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად დანიშნეს გვ. 2

---



„სიტყვა „დევნილი“ სხვა სიტყვით უნდა ჩაენაცვლებინათ და უფრო გასაგები გახდებოდა, ვის გულისხმობდნენ ამ სიაში“!

რატომ არ შეიყვანეს პოლიტიკური დევნილების სიაში ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე გვ. 8

---

## საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 2013 წლის ოქტომბერში ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს! გვ. 7

---

## „ოცნება“ „ოცნების“ წინააღმდეგ ცაგერში და ახალი გამგებლის საყვედური კოალიციას

ვინ არის ბიძინა ივანიშვილის ძმის მეგობარი და როგორ აპირებს ცაგერის მართვას მამუკა ჩაჩხიანი გვ. 10

---

## საწვავის ნაცვლად, ჩიპი ავტომობილისთვის დავით ჩაჩანიძის სენსაციური გამოგონება გვ. 15

# წინასაახალწლოდ თბილისი, შესაძლოა, განათების გარეშე დარჩეს?!



## ლადო ვარძელაშვილი და კობა ხაბაზი „სინათლის ქალაქის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად დანიშნეს

მაია შველიძე

**თბილისის მერია წინასაახალწლო განათებისთვის, ამჯერადაც სოლიდურ თანხებს ხარჯავს. საუბარი 796 000 ლარზეა, რაც წინა წლებთან შედარებით, მოკრძალებული თანხაა. სხვა თუ არაფერი, კარგად გვახსოვს, რამდენი მილიონი დაჯდა „ჩინური ჭაღები" რუსთაველის გამზირზე. ისიც გვახსოვს, რაც მოგვიანებით გაირკვა — ამ ჩინური, ლამის, რუსთაველის გამზირამდე დაწვენილი ჭაღების ერთი ნათურაც კი იმდენს წვავდა, რომ მაშინდელი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრიც კი გააოგნა. რუსთაველზე ჩამოვარდნილმა განათების მძიმე კონსტრუქციამ კი, კინაღამ იმსხვერპლა ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე. სწორედ ამიტომ, მაშინდელი გარეგანათების უფროსი უგულავამ შეცვალა და ამ სამუშაოს შესრულება მეგობრის, ნიკა ტოგონიძის კომპანიას დაავალა.**

ამჯერად, როგორც წყარო გვიყვება, პრობლემა ისაა, რომ ბიუჯეტიდან წინასაახალწლო განათებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვამ თავად „ქალაქგანათების" თანამშრომლებში გამოიწვია უკმაყოფილება. როგორც ირკვევა, ბიუჯეტის დიდი ნაწილი „სინათლის ქალაქში" გადაბარგებული „ნაციონალების" დაპურებაში წავიდა და არა — თანამშრომლების ჯიბეში. ოფიციალურად, ეს ქალაქის მერიის ბიუჯეტიდან გათვალისწინებული და გამოყოფილი თანხებია. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, თბილისელები წინასაახალწლოდ მაინც დადგნენ ქუჩების ჩაბნელების საშიშროების წინაშე. ჯერ ზუსტი თანხები არ გახმაურებულა. არაოფიციალურად კი ვიგებთ, რომ თბილისის მერიას საახალწლო განათება და ნაძვის ხის მოსამზადებელი სამუშაოები 796 000 ლარი უჯდება. სამუშაოს შპს „სინათლის ქალაქი" ასრულებს და შესაბამისად, თანხას ძველი გირლანდების, საახალწლო ღონისძიებებისათვის ილუმინაციებისა და აქსესუარების მონტაჟის, ექსპლუატაციისა და დემონტაჟის მომსახურებაში მიიღებს. ცნობისთვის, თბილისის მერიამ ტენდერი საახალწლო ღონისძიებებისთვის ილუმინაციებისა და აქსესუარების მონტაჟის, ექსპლუატაციისა და დემონტაჟის მომსახურების შესყიდვაზე ჯერ კიდევ სექტემბერში გამოაცხადა. ტენდერში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, შპს „სინათლის ქალაქმა" მიიღო. შესაბამისი ხელშეკრულება „სინათლის ქალაქთანაა" გაფორმებული. ის გახლდათ ანგარიშვალდებული ტენდერით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე. აღნიშნულმა კომპანიამ თბილისის ქუჩებში საახალწლო განათების სამონტაჟო სამუშაოები უკვე დაიწყო და სატენდერო პირობების მიხედვით, დასასრულს მიუახლოვდა. დასრულებულია საახალწლო ნაძვის ხის აწყობა თავისუფლების მოედანზე. ამ ნაძვის ხის შესაძენად დამატებითი ფინანსები არ დახარჯულა, რადგან იგი შარშანდელია.

სწორედ გარე და მხატვრული განათებისა და ნაძვის ხის აწყობა შეიძლება გახდეს რიგითი თანამშრომლების გაფიცვის მიზეზი. „სინათლის ქალაქის" თანამშრომლების ნაწილი პრივატულ საუბრებში აცხადებს, რომ წინასაახალწლოდ გამოყოფილი სოლიდური საბიუჯეტო სახსრებიდან, თანხები „ნაციონალების" მაღალჩინოსნების ჯიბეში წავიდა.

ნაძვის ხის აწყობის გამო, ერთი კვირა სიცივეში და ესკალატორებზე შემომსხდრებს, 200-200 ლარი მოგვცეს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოში გადმობარგებულ სპორტის ყოფილ მინისტრ ლადო ვარძელაშვილსა და ექსდეპუტატ „ნაციონალ" კობა ხაბაზს, 4 000-ლარიანი ხელფასებიო, — აცხადებენ რიგითი თანამშრომლები. არადა, მათ, ანალოგიური სამუშაოს შესრულებაში, შარშან, თითქმის სამმაგი თანხა გადაუხადეს. შპს „სინათლის ქალაქის" თანამშრომლები დაბალ ანაზღაურებას აპროტესტებენ და დაპირებისამებრ, ხელფასების მომატებასაც ითხოვენ. შპს „სინათლის ქალაქის" დირექტორი ნიკოლოზ ტოგონიძე ჩვენ ზარს არ პასუხობდა და შესაბამისად, დეტალების დაზუსტება ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება საკონცერტო ხარჯებს. სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, საახალწლო ხარჯები რამდენიმე მილიონს აჭარბებდა. შარშან, დაახლოებით 4 მილიონამდე დაჯდა ოფიციალური ანგარიშგებით. კონკრეტულად, რამდენი იყო გამოყოფილი ანდრეა ბოჩელის საჰონორარო ანაზღაურებისთვის, დღემდე გაურკვეველია, რადგან სხვადასხვა კოლოსალურ ციფრს ასახელებენ. 2010 წელს საახალწლო სცენის მოწყობა, დაახლოებით, 450 000 ლარი დაჯდა, გახმოვანება და განათება — ნახევარ მილიონზე მეტი. ეს საქმე ერთ პირთან მოლაპარაკების წესით, შპს „ბიზნეს პროტოკოლს" დაუკვეთეს. ხოლო ბოლო ორი წლის განმავლობაში, 31 დეკემბრის ღამეს, თბილისში საახალწლო შოუს გამართვას, თბილისის მერია სტეფანესა და კახუჩელას ფირმას „არტ-ფორუმს" უკვეთავდა. წელს სტეფანე, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საახალწლო ღონისძიებას აღარ უხელმძღვანელებს. რას აპირებს მერია 31 დეკემბრის ღამის 12 საათზე და სად გაიმართება გალა-კონცერტი, ჯერჯერობით, უცნობია.

# „ეს განუკითხაობა ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანს!"

ნელი თორდია

**იტალიელი არქიტექტორის მიერ თბილისის ისტორიულ უბანში აღმართული და სააკაშვილის ხელისუფლების სიმბოლოდქცეული შუშის ხიდი 20 დეკემბრის 14 საათზე, არასამთავრობო ორგანიზაციების თავშეყრის ადგილად იქცა. ძალადობისა და პოლიტიკური დაჭერების საწინააღმდეგო ტრანსფარანტებით შეიარაღებულმა არასამთავრობოებმა ხიდზე შეკრება პირველი საათის შემდეგ დაიწყეს. „ახალგაზრდა ინიციატორთა" მიერ ორგანიზებული აქციის დევიზი იყო „ჩვენ გვინდა ცხოვრება მშვიდ და დემოკრატიულ ქვეყანაში".**
**შეკრების მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე „ვერსიას" აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბის" წარმომადგენელი ლაშა ფარულავა ესაუბრება:**

— დღეს ჩვენ ვფუძნდებით და ვიწყებთ მუშაობას სამომავლო გეგმებზე. კოალიციაში შევა 12 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც გმობს ძალადობის ფაქტებს. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ „რუსთავი-2"-ის გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა არ შეუფარდოს, რათა არ შეფერხდეს დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მუშაობა. ჩვენთვის ასევე, მიუღებელია რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე ძალადობა. ეს ფაქტები ხელს უშლის კოჰაბიტაციის პროცესს. თუ ასე გაგრძელდა, ევროატლანტიკური სტრუქტურები ჩვენზე უარს იტყვიან.




ნიკა გვარამიას პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია შეიქმნა

**— ნიკა გვარამიას მხარდამჭერები უმრავლესობაშიც გამოუჩნდა. გედევან ფოფხაძე მზადაა, მას თავდებში დაუდგეს.**

— ჩვენ არ ვყოფთ საზოგადოებას მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ვგმობთ ძალადობას, რაც ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ, უნდა დასრულდეს და დაიწყოს დემოკრატიული პროცესების განვითარება. ვაპირებთ, ვითანამშრომლოთ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციასა და არასამთავრობო სექტორთან.

**„ვერსიას" სამოქალაქო განვითარება საერთაშორისო ქსელის ხელმძღვანელი შმაგი ჩოხელიც ესაუბრა:**

— ჩვენ სოციალური ქსელით გავავრცელეთ განცხადება საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. მას 10-ზე მეტი ორგანიზაცია გამოეხმაურა. შევთანხმდით, რომ შევქმნით კოალიციას „საზოგადოებრივი ინიციატივა", რომელიც ხალხს ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის. ის, რაც ქვეყანაში ხდება — თვითმმართველობებსა და პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლა, დევნა, დაჭერები... ყველა ზღვარს სცილდება. მიგვაჩნია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა პროტესტი უნდა გამოხატონ.

**— წინა ხელისუფლების დროს რატომ არ გაგიჩნდათ ასეთი პროტესტის გამოხატვის სურვილი. ფაქტები არ იყო?**

— რომ არა ის შეცდომები, რაც წინა ხელისუფლებას ჰქონდა, ქართული საზოგადოება ცვლილებებს არ დაუჭერდა მხარს. ჩვენ არ გვინდა, ანალოგიური პროცესები დღესაც განხორციელდეს. მიმაჩნია, რომ დღევანდელი მდგომარეობა დემოკრატიულ პროცესებს სცილდება. შეიძლება, ადრეც სცილდებოდა და პირადად არაერთ აქციაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ დამოუკიდებელ მედიასა და მოსამართლეებზე ასეთი ძალადობა ყველა ზღვარს სცილდება.

**„მშვიდობის ხიდზე" წინა ხელისუფლების შეკრებილ მომხრეთა შორის შევნიშნე გიგა ნასარიძე და თეა თუთბერიძეც. ამ უკანასკნელმა „ვერსიას" აქციაზე მისვლის მიზეზები გაუმხილა.**

**თეა თუთბერიძე:** — ყველამ ვნახეთ პრეზიდენტსა და პარლამენტის წევრებზე თავდასხმის კადრები. პოლიციას კი „ხელი არ გაუნძრევია", არც ერთი მოძალადე არ დაუკავებია. ეს განუკითხაობა ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანს. დღეს პოლიტიკური ნიშნით დაკავებულ ადამიანთა რაოდენობამ 40-ს გადააჭარბა. რამდენიც უნდა იძახო, რომ ეს არ არის პოლიტიკური ნიშნით მიმდინარე დაპატიმრებები, ვერც საერთაშორისო საზოგადოებას მოატყუებ და ვერც — ქართულს.

ხელისუფლებისგან ვერ მოვისმინე ვერანაირი სამართლებრივი არგუმენტი, რატომ დააკავეს გვარამია, ხეთაგური, სხვები... ის ზღაპრები, რაც გუშინ წავიკითხეთ, ივანიშვილს შეუძლია, მოუყვეს თავის შვილებს.

**— „შერჩევითი სამართალი" ამ ხელისუფლების პირობებში არ დაწყებულა. ყველას გვახსოვს, თუნდაც, თქვენი ბრძოლა სააკაშვილის განათლების მინისტრებთან და პროკურატურაში გაგზავნილი საქმეები, რომლებსაც რეაგირება არ მოჰყოლია.**

— გეთანხმებით, ბევრი რამ იყო არასწორი, მაგრამ ეს დაკავებული ადამიანები აბსოლუტურად არ არიან კავშირში იმ ყველაფერთან. შეიძლება, სააკაშვილის ხელისუფლების დროს რაღაც ცუდად კეთდებოდა, მაგრამ ხალხმა ხომ უკეთესობისთვის აირჩია „ქართული ოცნება"? დიახ, ბევრი რამ იყო არასწორი, მაგრამ ამის გამო, ვერ მომეწონება ის, რაც დღეს ხდება.

აქციის დასრულების შემდეგ, არასამთავრობოთა ახლადშექმნილი კოალიციის წევრები, „რუსთავი-2"-ის გენერალური დირექტორისა და სხვა დაკავებულების გათავისუფლების მოთხოვნით, ქალაქის მთავარი სამმართველოსკენ დაიძრნენ.

## ვერსიანიუსი

### სინოდმა მამა გაბრიელი წმინდანად შერაცხა



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა მამა გაბრიელი წმინდანად შერაცხა. საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა 20 დეკემბერს გაიმართა. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას, ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონმა განაცხადა, წმინდა სინოდის სხდომამ წმინდანად შერაცხა სამთავროს დედათა მონასტერში მოღვაწე მამა გაბრიელი. მამა გაბრიელის ხსენების დღედ 2 ნოემბერი დაწესდა.

მიტროპოლიტის განმარტებით, სხდომაზე განიხილეს ასევე ისეთი საკითხები, რომლებიც საეკლესიო ყოფას შეეხება.

**„გარდა ამისა, ვიმსჯელეთ, თუ როგორ გამოვხატოთ მადლიერება და კეთილგანწყობა პატრიარქის მიმართ და აღვნიშნოთ მისი საიუბილეო თარიღები",** — აღნიშნა მიტროპოლიტმა ანტონმა.

ამასთან, ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტის თქმით, წმინდა სინოდის სხდომაზე დაისვა აფხაზეთში დაღუპული მამა ანდრიას კანონიზაციის საკითხი. არსებული ცნობით, წმინდანად მისი შერაცხვის საკითხს სპეციალური კომისია შეისწავლის.

საქართველოს პატრიარქი მცხეთაში გაემგზავრა, სადაც მამა გაბრიელის საფლავს მოილოცავს.

*„ინტერპრესნიუსი"*

## პოზიცია



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

# „ამ სამ ადამიანს დანაშაულებრივი რეჟიმის მსხვერპლად უფრო განვიხილავ, ვიდრე — დამნაშავედ“



## როგორ აფასებს გია ხუხაშვილი გვარამია-ხეთაგური-დამენიას დაპატიმრებას და მიდის თუ არა „დანაშაულის“ კვალი სააკაშვილ-მერაბიშვილამდე?

**რა იყო ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების რეალური მიზეზი? რას ნიშნავს, როდესაც არასამეწარმეო მიზნით, 2012 წლის ივლისში, ანუ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, ზუსტად სამი თვით ადრე იქმნება ცრუ საწარმო „ელენდეფ სერვისი“. რატომ ურიცხავს ცრუ კომპანიას, თითქოს საკონსულტაციო მომსახურებისთვის „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“, შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ და სააქციო საზოგადოება „თელასი“ 1 000 000 აშშ დოლარს? რა კავშირი აქვს ამ ყველაფერთან ალეკო ხეთაგურს, ნიკა გვარამიას, კახა დამენიას, იზაბელა გუტიძესა და გიორგი ნემსიწვერიძეს? სინამდვილეში, ვისზე აპირებს გამოძიება გასვლას — ყოფილ პრემიერ ვანო მერაბიშვილზე თუ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე? „ვერსიის“ კითხვებს ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში, გია ხუხაშვილი პასუხობს:**

**— ბატონო გია, რეალურად, შესაძლებელი იყო, ხეთაგური-გვარამია-დამენია ცრუ საწარმოს შექმნისა და ქრთამის აღება-მიცემის მოტივით დაეკავებინათ?**

— ამ საქმის სამართლებრივ მხარეს არ განვიხილავ, მაგრამ, ფაქტობრივად, ყოფილი ხელისუფლების სისტემა კრიმინალიზებული იყო. ამ კრიმინალურ სისტემაში საკმაოდ ბევრი ადამიანი იყო ჩართული, მათ შორის ისინიც, ვისაც ნამდვილად შეეძლო, ქვეყნის მშენებლობაში თავისი წილი აგური დაედო. სამწუხაროდ, ეს ადამიანები ტალახში გასვარეს. ყველას არ ვიცნობ, მაგრამ ალეკო ხეთაგურს, ნიკა გვარამიასა და კახა დამენიას ინტელექტუალური პოტენციალიც ჰქონდათ და საკმარისი წესიერებაც, რომ ქვეყნის სამსახურში ყოფილიყვნენ. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მთელ ამ ოპერაციაში მათ პირადი სარგებელი ნახეს. მგონია, ისინი სხვა ტიპის ინტერესთა კომბინაციაში, უბრალოდ, ხელფასს იღებდნენ. ეს არის „ნაცმოძრაობის“ წინასაარჩევნო, პოლიტიკური ინტერესი, რისთვისაც ხეთაგური, გვარამია და დამენია ასეთ მახინჯ და კრიმინალურ ოპერაციაში გამოიყენეს. არ მინდა, კატეგორიული ვიყო, მაგრამ მეჩვენება, რომ ამ ფულით მათ არ უსარგებლიათ. ჩემი აზრით, ეგრეთ წოდებულმა, დანაშაულებრივმა პოლიტიკურმა ძალამ ისარგებლა, რომელსაც ჩვენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით ვიცნობთ.

**— „ინტერ რაო ეესის“ განცხადება რას ნიშნავს? რატომ ადასტურებს ის, რომ მართლაც არსებობდა კომპანია, რომელიც დაიქირავეს საქართველოში და რატომ აკეთებს ამას გამოძიების დასრულებამდე?**

— ჩემი აზრით, არასწორია, როცა „ინტერ რაო“ ასეთ განცხადებას წინასწარ აკეთებს. უმჯობესი იქნებოდა, ჯერ სიტუაციაში გარკვეულიყვნენ. შესაძლოა, „ინტერ რაოში“ არც სცოდნოდათ, რომ მათი კუთვნილი კომპანიების ხელმძღვანელები კონკრეტულ დანაშაულებრივ სქემაში იყვნენ გარეულები, რადგან ამ შემთხვევაში, ეს კონკრეტული ფაქტი მენეჯმენტის დანაშაულია და არა — კომპანიის ხელმძღვანელობისა. წინასწარი მონაცემებით, საგადასახადო სამსახური „თელასს“ საკმაოდ მსხვილ თანხას ედავება. თუ საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე, ამ დავის დასრულება იყო დაგეგმილი, ეს საკმაოდ სერიოზულ ეჭვს ბადებს. დამერწმუნეთ, გამორიცხული არ არის, გაცილებით დიდ და სოლიდურ თანხაზე იყოს საუბარი, ვიდრე 1 000 000 აშშ დოლარია.

**— არის რეალური საფუძველი, ასე ვიფიქროთ?**

— შესაძლებელია. როგორ გგონიათ, ამ შემთხვევაში, რას უკავშირდება ქრთამის მიცემა? რეალურად, ეს ნიშნავს — როცა ბევრად დიდი გადასახადის გადახდა გიწევს, უფრო დიდი პრობლემის დასამალად, პატარა ქრთამს იხდი. „თელასში“ საგადასახადო შემოწმება მიმდინარეობს და თუ აღმოჩნდება, რომ ამ კომპანიებს უფრო დიდი დავალიანება აქვთ, ეს ამ ტიპის ეჭვისთვის დამატებითი საფუძველი იქნება.

**— საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კომპანიას შესაძლებლობა აქვს, საგადასახადო შეთანხმება გააფორმოს იმ შემთხვევაში, თუ მან დიდი ინვესტიცია განახორციელა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საგადასახადო ვალდებულებებისგან გათავისუფლება სჭირდება. ოღონდ ამ შეთანხმების გასაფორმებლად, სავალდებულო მოთხოვნაა, რომ კომპანიას არავითარი დავალიანება არ გააჩნდეს.**

— დეტალების განხილვა არ მინდა. აქ საუბარია სადავო საგადასახადო დარიცხვაზე. ფაქტია, უახლოეს მომავალში, „თელასში“, საგადასახადო შემოწმებას ელოდებოდნენ, რის გამოც, ცუდი შეგრძნება ჰქონდათ და არაა გამორიცხული, ამ თემის გენერალური დახურვა უნდოდათ. იმის გამო, რომ ყველაფერი წინასაარჩევნო პერიოდში ხდებოდა, ეჭვს ეს ფაქტი უფრო იწვევს. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ დაკავებულ ყოფილ მაღალჩინოსნებს ხელეწიფებოდათ, დამოუკიდებლად ემოქმედათ სააკაშვილის შექმნილ სისტემაში. ვფიქრობ, ეს ადამიანები მხოლოდ ტექნიკური შემსრულებლები იყვნენ, დავალება პოლიტიკური ცენტრიდან მოდიოდა და ეს ყველაფერი წინასაარჩევნო პროცესს უკავშირდებოდა. შესაბამისად, ამ სამ ადამიანს დანაშაულებრივი რეჟიმის მსხვერპლად უფრო განვიხილავ, ვიდრე — დამნაშავედ. მიუხედავად ამისა, თუ დანაშაულს ადგილი ჰქონდა, სამართლებრივად, მათი პასუხისმგებლობის საკითხი ფორმალურად დგება. წმინდა ადამიანური თვალსაზრისით კი, სამივე ისეთივე მსხვერპლია, როგორც არაერთი ადამიანი, რომელიც ამ რეჟიმის გამო, „ხორცსაკეპ მანქანაში“ გაატარეს.

**— ფარულ სატელეფონო საუბრებში, ვანო მერაბიშვილის საუბარიც გაშიფრეს. ამ საქმეზე მერაბიშვილსაც დაკითხავენ?**

— ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მხოლოდ ალეკო ხეთაგურს, ნიკა გვარამიასა და კახა დამენიას ამ ყველაფრის ჩადენა არ შეეძლოთ. აქ უფრო მაღალი პოლიტიკური ცენტრის დანაშაულებრივი კვალი ჩანს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, კვალი ვანო მერაბიშვილზე ზემოთაც წავა. ეს იყო ერთიანი რეჟიმი, სადაც ასეთი ტიპის გადაწყვეტილებებს პოლიტიკურ ვერტიკალში იღებდნენ და ქვეყნის პირველი პირიც საქმის კურსში იყო. ვვარაუდობ, რომ პოლიტიკური სისტემა ზუსტად ასე მუშაობდა. რაც შეეხება მერაბიშვილის დაკითხვას, გამოძიების ასეთ დეტალებს არ ვიცნობ, მაგრამ წმინდა პოლიტიკური და ექსპერტული შეფასების საფუძველზე, ვფიქრობ, თუ ქრთამის მიცემასთან დაკავშირებულ დანაშაულს განვიხილავთ, ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკური რეჟიმის დავალებით გაკეთდებოდა. საით წავა გამოძიება, რა ჩვენებებს მიიღებს, ან რა მტკიცებულებებს შექმნის, ვერ გეტყვით, რადგან ამ პროცესში არ ვმონაწილეობ.

**— ცნობილია, რომ ელექტროენერგიის ტარიფი შემცირდება. ამ ტიპის დანაშაულებრივი სქემა იყო მიზეზი, რომ დენის გადასახადი ქვეყანაში გაცილებით მაღალი ყოფილიყო?**

— ვფიქრობ, ტარიფის ფორმულაში შემცირების მცირე რეზერვი არსებობს. ეს ფაქტია. ამაზე ენერგეტიკის სამინისტრო საკმაოდ ინტენსიურად მუშაობდა და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია. სამწუხარო ის არის, რომ ყოფილი ხელისუფლება არ ფიქრობდა სოციალურ რისკებსა და იმ გაჭირვებულ მოსახლეობაზე, რომელიც დენის საკმაოდ მაღალ ტარიფს იხდიდა. გამორიცხული არ არის, სხვადასხვა ინტერესის გამო, წინა ხელისუფლება ხელოვნურად ბერავდა ამ ტარიფს. რეალურად, ჩვენი მსჯელობა მხოლოდ ვარაუდია, რადგან ესეც მხოლოდ ძიების საქმეა. თუ ეს ფაქტი დადასტურდება, სერიოზული მნიშნელობა იქნება, რომ ტარიფში პოლიტიკური კომპონენტი იდო. სამწუხაროდ, არ ვიცი, ეს პოლიტიკური ინტერესი კონკრეტული მაღალი რანგის თანამდებობის პირების პირადი სარგებელი იყო, თუ — პარტიის ერთიანი სალარო. ესეც გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

## პროტესტი

# გოკა გაბაშვილი: „პოლიტიკურ დევნას ვუპასუხებთ ყველა ხერხით, რასაც კანონი არ გვიკრძალავს“!



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

## ნაციონალური მოძრაობა დაპატიმრებული მაღალჩინოსნების მხარდამჭერ აქციებს აგრძელებს!




**20 დეკემბერს, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან ნაციონალურმა მოძრაობამ ნიკა გვარამიას, ალექსანდრე ხეთაგურისა და სხვა დაპატიმრებული მაღალჩინოსნების მხარდამჭერი აქცია გამართა. საპარლამენტო უმცირესობა ამტკიცებს, აქცია ჩვენი დაგეგმილი და ორგანიზებული კი არა, სპონტანურიაო, თუმცა ფაქტია, მომავალი ასეთივე შეკრება სწორედ კობა ხაბაზმა დააანონსა — შემდეგი აქცია 21 დეკემბერს, ნიკა გვარამიასთვის ბრალის წაყენების დღეს, საქალაქო სასამართლოს შენობასთან გაიმართებაო.**

როგორც ჩანს, „ნაციონალები“ აქციების ციკლს გეგმავენ, ოღონდ მას „საპროტესტოს“ კი არა, „მხარდამჭერს“ უწოდებენ და ვერც პირველი აქციის მასშტაბურობით დაიკვეხნიან. სამაგიეროდ, გვარამიას გასამხნევებლად პოლიციის სამმართველოსთან პოეტი დეფი გოგიბედაშვილი, მუსიკოსი აჩიკო გულედანი, ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი და სხვა ცნობილი სახეები მივიდნენ. „ნაციონალი“ ლიდერები კი სიტყვით ნაკლებად გამოდიოდნენ, კობა ხაბაზსა და უჩვეულოდ გააქტიურებულ გიორგი ვაშაძეს თუ არ ჩავთვლით. სამაგიეროდ, საინტერესო განმარტებებს აკეთებდნენ.

დავით ბაქრაძე: „აქ ის ხალხია შეკრებილი, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, ამ ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლება დარჩეს, ტელევიზიების გენერალურ დირექტორებს რაღაც მითოლოგიური ბრალდებებით არ იჭერდნენ და ქვეყნის სტაბილური განვითარება გაგრძელდეს. აქ მარტო იმიტომ კი არ ვარ, რომ ნიკა გვარამია ჩემი მეგობარია, არამედ იმიტომ, რომ არ შეიძლება, ნორმალურ ქვეყანაში ტელევიზიის დირექტორს პირველივე დაკითხვის მერე აპატიმრებდნენ, როცა კაცი მოწმის სახითაა მისული. ის არც ყაჩაღია და არც — ბანდიტი, რომ მისმა გარეთ დატოვებამ საზოგადოებას საფრთხე შეუქმნას. ეს ყველაფერი კი მაშინ ხდება, როცა თავად შემკვეთი კომპანია „ინტერ რაო“ აცხადებს, ეს კომპანია ლეგალურ კონტრაქტორს წარმოადგენდა და ამ ფირმასთან მართლაც, არსებობდა ლეგალური კონტრაქტი და მომსახურების რეალურად გაწევა ხდებოდაო. აქ ხალხი ნიკა გვარამიას დასაცავად კი არა, იმისთვისაა მოსული, რომ ასეთი რაღაცები ქვეყანაში აღარ მოხდეს. ეს ვიღაცის წინააღმდეგ მიმართული აქცია არაა — ეს აქცია თავად ამ პროცესის წინააღმდეგაა მიმართული. რაც შეეხება ჩვენი პარტიის მომავალს, ნებისმიერი სერიოზული ორგანიზაცია, მარცხის შემდეგ, იმაზე უნდა დაფიქრდეს, რა მოხდა, რატომ არ დაუჭირა ხალხმა მას მხარი, სად შეიქმნა პრობლემები, სად იქნა დაშვებული შეცდომა და რის გამო წავაგეთ არჩევნები, სხვანაირად პარტია ადეკვატური ვერ იქნება. დღეს კი ჩვენს პარტიაში ამაზე მსჯელობა მიდის და ვფიქრობთ იმაზეც, რა უნდა გავაკეთოთ მომავალში, ხალხის მეტი მხარდაჭერის მოსაპოვებლად“.

აქციაზე „ვერსიისთვის“ ისიც გახდა ცნობილი, რომ ნაციონალური მოძრაობა, სავარაუდოდ, მიმდინარე კვირის ბოლოს, სპეციალურ ბრიფინგს გამართავს, სადაც სამოქმედო გეგმას დეტალურად გამოაცხადებს. გამორიცხული არც ისაა, საპარლამენტო უმცირესობამ მომავალი კვირაც ბოიკოტის რეჟიმში გაატაროს. ამ ინფორმაციას „ნაციონალი“ დეპუტატები არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

მიხეილ მაჭავარიანი: „ჩვენ დავტოვეთ პარლამენტის სხდომა, გასაგები მიზეზები გამო და საკანონმდებლო ორგანოში დავბრუნდებით მაშინ, როცა დავინახავთ, საპარლამენტო უმრავლესობა მზადაა პოლიტიკური ბრძოლისთვის და არა — ფიზიკური დაპირისპირებისთვის. მანამდე კი პარლამენტში ყოფნას აზრი, უბრალოდ, არ აქვს“!

უფრო აღშფოთებული ჩანდა ხათუნა გოგორიშვილი, რომელმაც მიმდინარე პროცესებს „ივანიშვილის ხუშტურები“ უწოდა: „აქ ვარ, როგორც ერთი მოქალაქე, რომელსაც არ სურს, 20 წლის განმავლობაში ნაშენები დემოკრატია, ვიღაცის ხუშტურების გამო, ხელის ერთი მოსმით რუსეთს ჩაბარდეს. ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი სიტყვა უნდა იყოს, არ უნდა ხორციელდებოდეს მოსამართლეებზე ზეწოლა და არ უნდა აშანტაჟებდნენ ადამიანებს, რაზეც „ოცნება“ ამდენს საუბრობდა. ძალიან კარგად მახსოვს, არჩევნების მერე „თავისუფალი სუნთქვა“ რომ გაეხსნათ და ბედნიერები, ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდნენ. მგონი, ახლა დროა, ვისაც თავისუფლება და ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება უნდა, ერთად დავდგეთ! „ქართული ოცნების“ არგუმენტებია, რა იყო წარსულში. ჰოდა, ხომ სურთ უკეთეს ქვეყანაში ცხოვრება?! უკეთესობას ვერაფერში ვხედავ. შესაბამისად, ჩვენი საპარლამენტო ბოიკოტის რეჟიმი იმდენ ხანს გაგრძელდება, სანამ ეს უმსგავსობა არ შეწყდება ქვეყანაში“.

**გოკა გაბაშვილმა** პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება ახსნა და „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ბრძოლის საპასუხოდ, იმ დასაშვებ ხერხებზე ალაპარაკდა, რასაც ნაციონალური მოძრაობის წევრები ოპონენტებს დაუპირისპირებენ: „არანაირი მუქარა პრეზიდენტის განცხადებაში არ ყოფილა. ეს პოლიტიკური ბრძოლაა. ოღონდ, „ოცნების“ მხრიდან — ბრძოლა წესების გარეშე. როცა თავისუფალი ტელეკომპანიის დირექტორსა თუ სხვა მაღალჩინოსანს აპატიმრებ, აბსოლუტურად გაუგონარი, სასაცილო და ყურით მოთრეული ბრალდებებით, სასამართლოს თანამშრომლებზე ახორციელებ ზეწოლას, „ავერბოვკებ“, იარაღს უდებ პოლიციის მაღალჩინოსნებს და ა.შ. ეს ყველაფერი, სწორედაც, პოლიტიკური დევნაა. ამაზე პასუხი აუცილებლად იქნება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს პოლიტიკური ბრძოლა ცალმხრივი მოძრაობაა, ძალიან ცდება — ჩვენ პასუხად გავაკეთებთ ყველაფერს, რასაც საქართველოს კანონმდებლობა არ გვიკრძალავს“!



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

ცრუ მეწარმეობასა და ქრთამის მიცემის ფაქტზე დაკავებული მაღალჩინოსნებიდან, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, ასევე „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“, შპს „მტკვარი ენერგეტიკისა“ და „თელასის“ გენერალური დირექტორი დევი კანდელაკი, საკონსულტაციო კომპანია „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენის“ მმართველი პარტნიორები — კახა დამენია და იზაბელა გუტიძე, შპს „ელენდეფ სერვისის“ დამფუძნებელი გიორგი ნემსიწვერიძე, დილომში, პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან. ამავე საქმეზე დაკავებული ენერგეტიკისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრი ალეკო ხეთაგური კი მოდულის შენობაში, წინასწარი დაკავების საკანში რჩება. დაკავებული მაღალჩინოსნებისთვის ბრალის წაყენების ოფიციალური ვადა დღეს, 21 დეკემბერს, საღამოს 18.00 საათზე იწურება. დაკავებულების ადვოკატები აცხადებენ, რომ ნიკა გვარამია, ალეკო ხეთაგური და კახა დამენია, ბრალდებას ოფიციალურად უარყოფენ და თავს დამნაშავეებად არ ცნობენ. 19 დეკემბერს, გვიან ღამით, დაკავებული მაღალჩინოსნების საცხოვრებელი სახლებიც გაჩხრიკეს, საიდანაც მათი კუთვნილი კომპიუტერები ამოიღეს.

# რა დანაშაულებრივი სქემა გაშიფრა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა



ალეკო ხეთაგურის, ნიკა გვარამიას, კახა დამენიას და დევი კანდელაკის დაკავება ელექტროენერგიის ტარიფს უკავშირდება?!

## საგადასახადო დოკუმენტების გაყალბების სქემა

**ოფიციალური ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ერთობლივად გაატარეს ოპერატიული, სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან თანამშრომლობით კი გამოვლინდა ოფიციალური, საგადასახადო დოკუმენტების გაყალბების გზით შემუშავებული და განხორციელებული დანაშაულებრივი სქემა. გაირკვა, რომ ამ სქემაში ყოფილი მაღალჩინოსნები მონაწილეობენ, რადგან მათი ორგანიზებითა და უშუალო მონაწილეობით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტები დაფიქსირდა. საგადასახადო დოკუმენტების გაყალბების დანაშაულებრივი სქემა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა:**

„გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებითა და ჩვენებებით დადგინდა, რომ „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“, შპს „მტკვარი ენერგეტიკისა“ და „თელასის“ მფლობელი კომპანია „ინტერ-რაოს“ წარმომადგენელმა ვ. მიტიუშინმა, მაშინდელ ენერგეტიკის მინისტრთან ა. ხეთაგურთან, დაიწყო მოლაპარაკება სახელმწიფოს მხრიდან საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე, რის შედეგადაც, არსებითად არ მოხდებოდა საგადასახადო შემოწმების ჩატარება ზემოხსენებულ ორგანიზაციებში და შესაბამისად, თავიდან იქნებოდა აცილებული ამ კომპანიების სახელით, ათობით მილიონი ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრება. ა. ხეთაგურისა და „ინტერ რაოს“ მხარის მიერ, ამ დანაშაულებრივი მოლაპარაკების პროცესში, ორივე მხარისთვის სანდო პირი, დევი კანდელაკი ჩაერთო, რომელმაც ზემოხსენებული მიზნისთვის, ალექსანდრე ხეთაგურს შესთავაზა, რომ ქრთამის სახით, 1 000 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, სახელმწიფოს მიეცა თანხმობა საგადასახადო შეთანხმებაზე დიალოგის დასაწყებად და შესაბამისად, არ მომხდარიყო ათობით მილიონი ლარის დარიცხვა. ა. ხეთაგური დაეთანხმა ამ წინადადებას და აღნიშნული 1 000 000 აშშ დოლარისთვის „კანონიერი“ სახის მიცემის მიზნით, კონკრეტული დანაშაულებრივი სქემის შემუშავებისა და განხორციელებისათვის, მისთვის ნდობით აღჭურვილ პირთან, ნიკა გვარამიასთან გაგზავნა, რომელთანაც ხეთაგურს წინასწარ ჰქონდა მოლაპარაკება ამ საკითხთან დაკავშირებით.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალექსანდრე ხეთაგურთან შეთანხმებით, დევი კანდელაკი დაუკავშირდა ნიკა გვარამიას და შეხვდა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ოფისში, ეგრეთ წოდებული პიქსელის შენობაში, სადაც გვარამიამ კანდელაკს აუხსნა 1 000 000 აშშ დოლარის გადაცემის შესანიღბად შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმა. ამის შემდეგ, ნ. გვარამია დაუკავშირდა მეგობარს, გიორგი ნემსიწვერიძეს და შეუთანხმდა, ფიქტიურად, ცრუ მეწარმეობის მიზნით, შეექმნა შპს „ელენდეფ სერვისი“, რომლის ფუნქციაც ვითომდა საკონსულტაციო საქმიანობით განისაზღვრებოდა და რისი გამოცდილება, ან თუნდაც მცირე კვალიფიკაციაც კი ამ უკანასკნელს არ გააჩნდა, რაც ნ. გვარამიამ თავიდანვე იცოდა. შპს „ელენდეფ სერვისი“ ნ. გვარამიას გადაცემული თანხით, 2012 წლის 26 ივლისს, 15.56 საათზე, გ. ნემსიწვერიძის სახელზე დარეგისტრირდა. ამის შემდეგ, აღნიშნული საკონსულტაციო კომპანიის ანგარიშზე, თითქოს როგორც ამ სამუშაოების შესრულების ერთადერთ წყაროსთან, რაც თავიდანვე სიცრუე იყო, „ინტერ რაო ეესის“ კუთვნილი ენერგოკომოპანიებიდან — სს „ხრამჰესს 1“, „ხრამჰესი 2“, ასევე „მტკვარი ენერგეტიკა“ და „თელასი“, თანხები გადაირიცხა. კერძოდ, კომპანია თელასიდან — 500 000 აშშ დოლარი, „ხრამჰესი 1“-დან — 50 000 აშშ დოლარი, „ხრამჰესი 2“-დან — 50 000 აშშ დოლარი, „მტკვარი ენერგეტიკიდან“ — 400 000 აშშ დოლარი, რამაც ჯამში, 1 000 000 აშშ დოლარი შეადგინა.

ამის შემდეგ, ა. ხეთაგურის დავალებითა და ნ. გვარამიას ორგანიზებით, ასევე იმავე ნ. გვარამიას უშუალო მონაწილეობით და დ. კანდელაკთან შეთანხმებით, იმ ვითარებაში, როდესაც არავითარი საჭიროება და აუცილებლობა არ არსებობდა, გაფორმდა ყალბი ოფიციალური დოკუმენტები. კერძოდ, ეს იყო ხელშეკრულებები საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე შპს „ელენდეფ სერვისსა“ და „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“, შპს „მტკვარი ენერგეტიკასა“ და „თელასს“ შორის. ყალბი ხელშეკრულების გაფორმების თარიღია — 2012 წლის 22 აგვისტო, რითაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის მიცემა-აღების შენიღბული ფორმა შეიქმნა. ეს თანხები ჩაირიცხა შპს „ელენდეფ სერვისის“ ანგარიშზე.

2012 წლის 30 აგვისტოს, გ. ნემსიწვერიძემ, ნ. გვარამიას დავალებით, „ელენდეფ სერვისის“ საბანკო ანგარიშებზე აკუმულირებული თანხები, საფულე ჩეკის მეშვეობით გამოიტანა და გადასცა ნ. გვარამიას, რითაც ფაქტობრივად, დასრულდა აღნიშნული დანაშაულებრივი სქემის განხორციელება.

2012 წლის ოქტომბერში, „თელასის“ საფინანსო სამსახურმა გამოავლინა „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები. კერძოდ, არ არსებობდა „თელასის“ ცენტრალური შესყიდვების ორგანოს გადაწყვეტილება, შპს „ელენდეფ სერვისისგან“ საკონსულტაციო სამუშაოს შესყიდვის თაობაზე. ამან შექმნა საშიშროება, რომ ცნობილი გახდებოდა შპს „ელენდეფ სერვისის“ ფიქტიურობა და თანხების ვითომდა საკონსულტაციო საქმიანობისთვის გადარიცხვის სიყალბე. ამ მიზნით, დოკუმენტები ძველი რიცხვით გაყალბდა.

ნ. გვარამიამ განიზრახა, ქრთამის სახით მიღებული ზემოაღნიშნული თანხისთვის უფრო სარწმუნო და კანონიერი სახის მიცემა, რისთვისაც დახმარება სთხოვა შპს „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენ“-ის დამფუძნებლებს და პირად მეგობრებს — იზაბელა გუტიძესა და კახა დამენიას. ნ. გვარამიამ, მათთან ერთად, შეიმუშავა ქრთამის სახით აღებული თანხის სარწმუნო-სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის გზები და 2012 წლის 27 აგვისტოს თარიღით, შპს „ელენდეფ სერვისსა“ და შპს „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენს“ შორის, ყალბი ოფიციალური დოკუმენტები შედგა. ეს იყო ფიქტიური ქვეკონტრაქტის ხელშეკრულებები სს „ხრამჰესი 1“, სს „ხრამჰესი 2“, შპს „მტკვარი ენერგეტიკასა“ და „თელასში“ საკონსულტაციო და სხვა სახის სამუშაოების ჩატარებაზე. იმავე წლის ნოემბერში, მას შემდეგ რაც ნ. გვარამიას, კ. დამენიასა და ი. გუტიძისათვის ცნობილი გახდა, რომ ამ საკითხის შესწავლით დაინტერესდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, გამოძიებისათვის კვალის არევის მიზნით, კ. დამენიას პირად სეიფში მოთავსებულ იქნა, თითქოსდა, შპს „ელენდეფ სერვისის“ სალაროს ნაშთის თანხა — 1 184 950 ლარი, რაც გამოძიების მიერ ამოღებულია“.

**ამ ეტაპზე, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის, მე-2 და მე-3 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 193-ე მუხლით. ნიკა გვარამიას, ალეკო ხეთაგურისა და კახა დამენიას ადვოკატები აცხადებენ, რომ დაკავებული მაღალჩინოსნები ცრუ მეწარმეობისა და ქრთამის მიცემის ფაქტებს უარყოფენ. მეტიც, გვარამიას ადვოკატმა, მამუკა ჭაბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ნიკა გვარამია მის დაკავებას „რუსთავი 2“-ზე ზეწოლის ფაქტად მიიჩნევს.**

## „ინტერ რაოს“ სკანდალური განცხადება

**საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსმა“ რუსული კომპანია „ინტერ რაო ეესის“ განცხადება გაავრცელა, რომლითაც დასტურდება, რომ საკონსულტაციო მომსახურებისთვის, „ინტერ რაომ“, მართლაც დაიქირავა ის ფირმა, რის გამოც ყოფილი მაღალჩინოსნები და სააქციო საზოგადოება „თელასის“ გენერალური დირექტორი დააკავეს:**

„ჩვენ ნამდვილად დავიქირავეთ საქართველოში საკონსულტაციო ფირმა, რომელიც ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობასთან მუშაობს. გვსურდა, ამ ფირმას შეემუშავებინა საგადასახადო შეთანხმების პროექტი საქართველოსთან საშუალოვადიან პერსპექტივაში, რათა ჩვენი საგადასახადო ვალდებულებების პროგნოზირება შეგვძლებოდა და ისიც გაგვეგო, რა ბაზა არსებობს ტარიფების შესამცირებლად. აღნიშნულ ფირმასთან შეთანხმებაზე, ნახევარი წლის წინ მოვაწერეთ ხელი. სამუშაოები გრძელდება, რადგან ჯერ მთელი სამუშაო შესრულებული და ანაზღაურებული არ არის“, — აღნიშნულია კომპანიის განცხადებაში.

**„ინტერ რაო ეესის“ წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული სამუშაო იმიტომ უნდა შესრულებულიყო, რომ საქართველოში, „ინტერ რაოს“ კუთვნილი აქტივების კონსოლიდაციის საკითხი შეესწავლათ. მეტიც, ეს ყველაფერი საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამჭვირვალობას ისახავდა მიზნად. რუსული კომპანიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ამგვარი საგადასახადო შეთანხმებები ფართოდაა გავრცელებული, როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ასევე — საქართველოში.**

**„ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ სულ მალე, ელექტროენერგიის ტარიფი უნდა შემცირდეს. ამასთან დაკავშირებით, ენერგეტიკის სამინისტრო „ინტერ რაო ეესთან“ მოლაპარაკებებს მართავს. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ დაადასტურა, რომ მოლაპარაკება თითქმის დასრულდა. მან განმარტა, რომ როგორც კი კონტრაქტს ხელი მოეწერება, სპეციალურ ბრიფინგს გამართავს და საზოგადოებას ამცნობს, რამდენი თეთრით გაიაფდა ელექტროენერგიის ტარიფი. შესაბამისად, ყოფილი მაღალჩინოსნებისა და მათ შორის, „თელასის“ გენერალური დირექტორის დაკავების ფაქტი ამ მოლაპარაკებების პროცესზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს.**

**ცხადია, ძნელია იმის თქმა და მით უმეტეს — მტკიცება, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გაშიფრული საგადასახადო დავალიანების დანაშაულებრივი სქემა იყო ის ხელისშემშლელი ფაქტორი, რის გამოც, საქართველოში ელექტროენერგიის საკმაოდ მაღალი ტარიფი მოქმედებდა. გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და საკმაოდ ბევრი დეტალი უცნობია, მაგრამ ფაქტია, კახა კალაძის დაანონსებული ბრიფინგი, სადაც ელექტროენერგიის შემცირება უნდა გვახარონ, დროში გაიწელა. ახლა მხოლოდ ორი რამ ვიცით, პირველი — დენის ტარიფი უეჭველად გაიაფდება და მეორე — ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, „ინტერ რაო ეესის“ კუთვნილი კომპანიების საგადასახადო დავალიანებისთვის თავის არიდების დანაშაულებრივი სქემა გაგვიშიფრა, რის გამოც ყოფილი მაღალჩინოსნები დააკავა. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე დღეში, ენერგეტიკის მინისტრი დენის გაიაფებასაც გვახარებს და მეტი დამაჯერებლობისთვის დასძენს — მიზეზი, რის გამოც, ელექტროენერგიის ტარიფი არ მცირდებოდა, სწორედ ეს დანაშაულებრივი სქემა იყო!**

## ცოტა რამ „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენის“ შესახებ

**კომპანია „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენი“ 2008 წლის დეკემბერში, ბელა გუტიძემ, კახა დამენიამ და დავით ჩანტლაძემ დააფუძნეს. კომპანიის მიზანია, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის პრობლემებისა თუ სირთულეების ეტაპზე, ანუ ფინანსური კრიზისის დროს, რეალური გამოსავლებისა და გადაჭრის გზების მოძიება.**

**კომპანია „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენი“ საქართველოში მოქმედ უმსხვილეს ადგილობრივ, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასევე, სახელისუფლებო ორგანოებთან თანამშრომლობს. მათ შორისაა, „საქართველოს რკინიგზა“, ს/ს „მადნეული, ს/ს „კვარციტი“, „კიევგიპროტრანსი“, „ენერგო-პრო ჯორჯია“, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ბუნებრივი რესურსების სააგენტო, „ჰაიდელბერგ ცემენტ საქართველო“, ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, „რომპეტროლ საქართველო“, შპს „პიქსელ ინვესტ გრუპი“, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“, შპს „ნორიოს ნავთობის კომპანია“, ს/ს „ენერჯი ინვესტი“, შპს „გაზ ექსპორტი“, შპს „მტკვარი ენერგეტიკა“, შპს „გეო ინვესტი“...**

**აღსანიშნავია, რომ 2002-2004 წლებში, კახა დამენია სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) — „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი, ქავთარაძე“ (დვნკ) პარტნიორი და ამავდროულად, ფინანსური და ეკონომიკური პროექტების კოორდინატორი იყო. სპს „დვნკ“-ს ძირითადი მიმართულებაც სხვადასხვა კომპანიისთვის კონსულტაციების გაწევა და მათი ფინანსური მენეჯმენტის მართვა იყო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კახა დამენია ეკონომიკის მინისტრის მოადგილეა, 2008 წლის თებერვალ-ნოემბერში კი შპს „N კონსალტინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობდა.**

**კომპანია „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენის“ კიდევ ერთი, მმართველი პარტნიორი იზაბელა გუტიძე, 1996-2000 წლებში, მუშაობდა აუდიტორულ ფირმა „ალექსანდრეში“, სადაც აუდიტორულ მომსახურებას უწევდა ისეთ კომპანიებსა და პროექტებს, როგორებიცაა: „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია“, „ქართუ ჯგუფი“, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, მსოფლიო ბანკისა (WB) და გაერო-ს განვითარების პროგრამების (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტები. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს, ზედამხედველობას უწევდა მიმდინარე პროექტების განხორციელებას შემდეგ კომპანიებთან: „ბრიტიშ პეტროლიუმი“, „სტატოილ აზერბაიჯანი“, ს/ს „მადნეული“, ს/ს „კვარციტი“, „რუსთავცემენტი“, „GPI ჰოლდინგი“, სასტუმრო „მეტეხი პალასი“, „ბრიტანულ-კავკასიური სადაზღვევო კომპანია“, „კანარგო სტანდარტ ოილი“, „ბათუმის საზღვაო პორტი“, „ენერგო-პრო ჯორჯია“, „ბლოკ ჯორჯია“, „გაერთიანებული ტელეკომი“ და სხვები.**

# ფარული სატელეფონო საუბრები



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**19 დეკემბერს, დილის 11 საათზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაკითხვაზე დაიბარეს „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ, ჯერ გენერალური პროკურორის მოადგილე, შემდეგ კი განათლების მინისტრი იყო. მასთან ერთად, დაიბარეს ენერგეტიკისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრი ალეკო ხეთაგური, „თელასის“ გენერალური დირექტორი დევი კანდელაკი და საკონსულტაციო კომპანია „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენის“ მმართველი პარტნიორი კახა დამენია, რომელიც ადრე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე იყო. 7-საათიანი დაკითხვის შემდეგ, საღამოს 20.00 საათზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკითხვაზე დაბარებული მაღალჩინოსნები, ასევე კახა დამენიას პარტნიორი, იზაბელა გუტიძე და შპს „ელენდეფ სერვისის“ დამფუძნებელი, გიორგი ნემსიწვერიძე, ცრუ მეწარმეობისა და ქრთამის მიცემის ბრალდებით დააკავეს. გვიან ღამით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ფარული სატელეფონო საუბრების ჩანაწერები გაავრცელა, რასაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ. ამ საუბრებში ფიგურირებს ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი, ვანო მერაბიშვილი. ძიების ამ ეტაპზე უცნობია, რა ფორმით მონაწილეობდა ვანო მერაბიშვილი ამ საქმეში, მაგრამ აშკარაა, რომ ძიების კვალი მასზეც გადის.**

**მოგვიანებით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ არასამეწარმეო მიზნით, 2012 წლის ივლისში, შეიქმნა ცრუ საწარმო „ელენდეფ სერვისი“. თითქოსდა საკონსულტაციო მომსახურებისთვის, ამ საწარმოს ენერგოკომპანიებმა 1 000 000 აშშ დოლარი გადაურიცხეს. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით, მოწმის სახით იკითხებოდნენ ყოფილი მაღალჩინოსნები, რომლებიც გვიან საღამოს დააკავეს კიდეც.**

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გამოაქვეყნა ორი დოკუმენტი, რომლითაც სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებს ნება დართო, რომ 2012 წლის 10 ნოემბრიდან, 2013 წლის 13 იანვრამდე პერიოდში, ნემსიწვერიძისა და დამენიას სატელეფონო მოსმენები განეხორციელებინა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ფარული სატელეფონო საუბრები ვებ-გვერდზეც გამოაქვეყნა. პირველ ფარული ჩანაწერი, გიორგი ნემსიწვერიძისა და ნიკა გვარამიას დიალოგს ასახავს:**

**გიორგი ნემსიწვერიძე**: ხო.

**ნიკა გვარამია:** სადაც დადიხარ ახმეტელზე, სამუშაოდ, იქ არის დოკუმენტები, გული რომ გადამიქანე მძინარეს. ხო იყავი იმ დღეს, ჭავჭავაძის 33 ა-ში, დამენიას ოფისში?

**გიორგი ნემსიწვერიძე:** ააა, იქა?

**ნიკა გვარამია:** ვინც შენი კონტრაქტორია, გული გადამიქანე, კაცო. ვერ გავიგე, რას მეუბნებოდი, ახლა გავიღვიძე. სუბკონტრაქტორი ვინც გყავს დაქირავებული, შენ ვინც გიკეთებს მაგ სამუშაოს, რა მოგივიდა?

**მეორე ფარულ ჩანაწერში კახა დამენია და ვანო მერაბიშვილი საუბრობენ:**

**კახა დამენია:** ჩემს სეიფში იყო ის თანხა, ის 400 კი არა, 1 100 000 რაღაცაა.

**ვანო მერაბიშვილი:** მერე, წაიღე?

**კახა დამენია:** ის ხო, ის რაც იყო, კომპანიის ვარიანტში.

**ვანო მერაბიშვილი:** ხოდა კომპანიის, არ უნდა დააბრუნონ ესაც?

**კახა დამენია:** ეგ ხო. როგორც თქვეს, გამოძიების ბოლომდე არ დავაბრუნებთო.

**ვანო მერაბიშვილი:** იყოს რა, რაც უფრო გვიან დააბრუნებ, უფრო კაი არ არი? მერე, ხო იცი, ტკბილად შეგვრჩება.

**კახა დამენია:** იქედან, ხო იცი, იქედან დასაბრუნებელია „თელასზე“.

**ვანო მერაბიშვილი:** დასაბრუნებელია?

**კახა დამენია:** ხო, „თელასზე“ დასაბრუნებელია.

**ვანო მერაბიშვილი:** საქმე ხო გაუკეთე „თელასს“ და რა პრობლემაა?

**კახა დამენია:** არაა, მაგი ხო 4 კომპანიის კონტრაქტი იყო, „თელასი“ იყო, „ხრამები“ და „მტკვარი“, „თელასი“ არაა, კაკრაზ. „თელასში“ ხო სექტემბერში საგადასახადო შევიდა და მაგიტო შეჩერდა მაგის ისა, ეგ ისედაც დასაბრუნებელია და ასედაც, პრინციპში.

**ვანო მერაბიშვილი:** „თელასს“ რად უნდა ფული, იმდენი ფული აქვს, კაცო.

**კახა დამენია:** თუ დაგვიტოვებს, დაგვიტოვოს, მაგრამ არა მგონია.

**ვანო მერაბიშვილი:** სხვა, როგორ ხარ?

**კახა დამენია**: რავი კარგად, კარგად, შენ რას შვები?

**ვანო მერაბიშვილი:** მე კარგად ვარ, ტელევიზიაში მოვედი ახლა.

**კახა დამენია:** „პოსტკრიპტუმს“ ვუყურებდი და გნახე.

**ვანო მერაბიშვილი**: სანამ დამიჭერენ, ვივლი ტელევიზიებში, ალბათ.

**მესამე ფარულ ჩანაწერში ალექსანდრე ხეთაგური, დევი კანდელაკს ესაუბრება:**

**დევი კანდელაკი:** ალო.

**ალექსანდრე ხეთაგური:** როგორ ხარ, პატივცემულო?

**დევი კანდელაკი:** რავი, ნიჩევო, ვზივარ, შენა?

**ალექსანდრე ხეთაგური:** რავი აბა, დაიწყე უკვე?

**დევი კანდელაკი:** ნუ, ხო, რაღაც თემებს გავდივარ.

**ალექსანდრე ხეთაგური:** „იასნა“, ამ დამენიას კომპანიაზე, თუ იმაზე, რამე წერილი და რამე ხო არ გაქ?

**დევი კანდელაკი:** კი, ახლა.

**ალექსანდრე ხეთაგური:** და პასუხი? იმიტომ, რომ...

**დევი კანდელაკი:** ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა გაცდეს, რა. მოაწერენ ხელს და გაუშვებენ, რა.

**ალექსანდრე ხეთაგური:** ხო, მართალი გითხრა, რა აზრი აქ, გამაგებინე უკვე.

**დევი კანდელაკი:** არავითარი.

**ალექსანდრე ხეთაგური:** მთელი ამბავი, შემოწმება შემოწმებაზე არის შესული და ახლა კიდევ საგადასახადო რისკები ამოწმებინე, გინდა, ესენი? უკვე რა აზრი აქ, ხო?

**დევი კანდელაკი:** არა, ხო, რა აზრი აქ, ამიტო თანხა დააბრუნონ.

**ალექსანდრე ხეთაგური:** ამასაც უნდა, ესეც ეგრე ფიქრობს და რაც უფრო მალე გადაწყდება, მაშინ მით უფრო უკეთესი არის, იმიტო, რო...

**დევი კანდელაკი:** აი, დღეს რა, დღევანდელი რიცხვით წავა.

**ალექსანდრე ხეთაგური:** რაღაც უაზროდ იმას შვებიან, სანამდე უნდა გაგრძელდეს მართლა და მართლა, ის ხო არ არი.

**დევი კანდელაკი:** ხარაშო, მშვიდობაა ხო, დანარჩენი?

**ალექსანდრე ხეთაგური:** მე ვიცი, რო შემოთავაზება გაკეთებული აქვს, მითხრა კახამ.

**დევი კანდელაკი:** კი, კი, ახლა ველაპარაკებოდი, კაკრაზ ხალხს და ნუ იძახიან, რა აზრი აქო, დააბრუნე თანხა და იმას ქნანო, მშვიდობაა დანარჩენი?

**ალექსანდრე ხეთაგური:** მშვიდობაა, კი, კი, რატო არ უნდა იყოს? იმას ქენი რა, გაუშვი იმასთან და თუ ის არი.

**დევი კანდელაკი:** მიტუშინი ჩამოსულა და ზუსტად მაგაზე უნდა გასაუბრებაო.

**ალექსანდრე ხეთაგური**: მე არ მინდა მიტუშინთან გასაუბრება.

**დევი კანდელაკი:** ხალხს უნდა გასაუბრება, მოსაზრება არი ისეთი, დღეს რომც გააკეთონ, არაფერში გვჭირდება და დააბრუნონ ფულიო.

**ალექსანდრე ხეთაგური:** ხო, როცა შემოწმება შესულია, აზრი აღარ აქვს, ხო.

**დევი კანდელაკი:** კი, კი, აღარ აქვს არავითარი, თუ გინდა აკეთე, თუ გინდა არ აკეთო.

**მეოთხე ფარულ ჩანაწერში, ვანო მერაბიშვილი და ნიკა გვარამია საუბრობენ:**

**ნიკა გვარამია:** ალო.

**ვანო მერაბიშვილი:** რას შვები?

**ნიკა გვარამია:** რა ვიცი.

**ვანო მერაბიშვილი:** გეძინა?

**ნიკა გვარამია:** არა, კაცო.

**ვანო მერაბიშვილი:** როგორ არა, გეძინა.

**ნიკა გვარამია:** რა მეძინა, ღადაობ?

**ვანო მერაბიშვილი:** მისმინე შენა, ესეთი აზრია, უცხოური კომპანია რომ დავიქირავოთ, იურიდიული.

**ნიკა გვარამია:** ოქეი.

**ვანო მერაბიშვილი:** ჩვენ ვაპირებთ, რა.

**ნიკა გვარამია:** ხო.

**ვანო მერაბიშვილი:** და მე მგონი, ახლა „რუსთავი 2“-საც ეხლა, ესენი ხო, პირდაპირ თქვა, რო აჩიმ, უჩივლოთო, ხოდა, აი.

**ნიკა გვარამია:** ჩვენ ისედაც ვაპირებთ უცხოური კომპანიის დაქირავებას და არი აქ.

**ვანო მერაბიშვილი:** არი აქ?

**ნიკა გვარამია:** საქართველოში.

**ვანო მერაბიშვილი:** არა, არა, სხვა რამეს გეუბნები. აი, ესეთი უცხოელები, უცხოელის სახელი და გვარი და განცხადების გაკეთების დროს, ეხლა ინტერვიუს, რომ მიცემენ უცხოელები, მაგარია, არა?

**ნიკა გვარამია:** ეგეთი გვარები და სახელები ძაან ცოტაა და ძაან ძვირი ღირს.

**ვანო მერაბიშვილი:** როგორ სახელებს გეუბნები, იმას, ბიჭო, ჩვეულებრივს გეუბნები. ეგეთი სახელი და გვარი რა შუაშია?

**ნიკა გვარამია:** ააა. ხოდა, არი-თქო, საქართველოში, ეგ უცხოური კომპანიები წარმოდგენილი.

**ვანო მერაბიშვილი:** გავიგე, მარა, იმათ ქართველი თანამშრომლები ყავთ, ხო?

**ნიკა გვარამია:** ცოტა, შეიძლება, არც ყავთ.

**ვანო მერაბიშვილი:** ააა, სხვა რამეს ვიძახი, კაცო, წარმოიდგინე, ეხლა ეთერში.

**ნიკა გვარამია:** გავიგე, მივხვდი, მივხვდი, მივხვდი.

**ვანო მერაბიშვილი:** ვიღაცა დააპატიმრეს, მათ შორის, სისხლის სამართალზე და უცხოელი ადვოკატი გამოდის და იძახის, ეს არის ესა, ესე და ესე, ხო იცი? ან ვთქვათ, აღუძრეს საქმე „რუსთავი 2“-ს და ან ვთქვათ, ან რაღაცა, ვერ მიხვდი?

**ნიკა გვარამია:** გავიგე, დავილაპარაკოთ დღეს, თუ გინდა.

**ვანო მერაბიშვილი:** ხო, დავილაპარაკოთ, რა.

**ნიკა გვარამია:** კაი.

**ვანო მერაბიშვილი:** რა გვაქვს დასამალი, შეგვიძლია საჯაროდ გავარკვიოთ ეს, ხო?

**ნიკა გვარამია:** დასამალი რა მაქ, კაცო? რას ვმალავ, რას ვიძახი, ცუდს?

**ვანო მერაბიშვილი:** არა, ზოგადად, ღიად გავაკეთოთ, რა.

**ნიკა გვარამია:** არა, კაცო, დავილაპარაკოთ, ხო.

**ვანო მერაბიშვილი:** კაი, გენაცვალე.


#5338/11ბ
ბრძანება
საქართველოს სახელით
10 ნოემბერი, 2012 წელი
თბილისი


#5357/11ბ
ბრძანება
საქართველოს სახელით
12 ნოემბერი, 2012 წელი
თბილისი

## შსს–მ ქუთაისში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო



შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ქუთაისში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო. გამოძიებას ქუთაისის რაიონული სამმართველო სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით აწარმოებს. სამართალდამცველები დაადგენენ და სათანადო რეაგირებას მოახდენენ ყველა კანონდამრღვევი პირის მიმართ.

გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით, საზოგადოებას მიეწოდება სრული ინფორმაცია.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## სააკაშვილმა ბოკერიას უფლებამოსილება გაუზარდა



საქართველოს პრეზიდენტი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს, გიგა ბოკერიას დამატებით უფლებებს აძლევს.

პრეზიდენტმა ცვლილებები საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულებისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ ბრძანებულებაში შეიტანა. ახალი წესის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში, იგივე ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს, უფლებამოსილების განხორციელება შეეძლება როგორც უშუალოდ, ისე დელეგირების საფუძველზე მის მიერ უფლებამოსილი რამდენიმე პირის მეშვეობით.

*„ნიუსპრესი“*

## გიორგი ვაშაძეს ახსოვს განცხადებები, რომ „მოსმენები საერთოდ არ იქნებოდა“



საპარლამენტო უმცირესობის წევრს გიორგი ვაშაძეს ახსოვს განცხადებები, რომ „მოსმენები საერთოდ არ იქნებოდა“.

**„დღეს ყველა ჩვენს მობილურს უსმენენ და მე მახსოვს განცხადებები, რომ მოსმენები საერთოდ არ იქნებოდა, აბა, დღეს საიდან გამოქვეყნდა კადრები მობილურ ტელეფონზე საუბრისა, დღეს მთელ ქვეყანაში ტოტალური კონტროლი მიდის. ჩვენ რა გვინდა დღეს, მართლა მაინტერესებს თქვენი მოსაზრება რა არის ამასთან დაკავშირებით. ავდგეთ, გავჩუმდეთ და მივცეთ ტოტალური კონტროლის შესაძლებლობა – გავაკონტროლებინოთ სასამართლო, თვიმმართველობები, მივიდეთ ჩვენი ფეხით, ციხეში ჩავსხდეთ და ვთქვათ, რომ ყველაფერში ვართ დამნაშავეები და მერე, რა ვქნათ? დავანგრიოთ ეს ქვეყანა თავიდან ბოლომდე თუ... მართლა არ მესმის“,** — განაცხადა ვაშაძემ.

*„პირველი“*

## ვანო მერაბიშვილი: „ჩემი სატელეფონო ჩანაწერების გამოქვეყნება გაფრთხილება იყო, რომ ოპოზიციას უსმენენ“



„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, მისი სატელეფონო ჩანაწერების გამოქვეყნება გაფრთხილება იყო, რომ ოპოზიციას უსმენენ. ამის შესახებ მერაბიშვილმა პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ სატელეფონო საუბრების ჩანაწერს გამოეხმაურა, რომელშიც მერაბიშვილიც ფიგურირებს.

**„მე, პირადად, ვერ გავიგე, რატომ გამოქვეყნდა ჩემი ჩანაწერი. იმიტომ, რომ ჩემი ჩანაწერი პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ ვერსიას, რომელიც გამოძიებამ გამოხატა. მე მგონია, რომ ეს საუბარი მხოლოდ ერთი მიზეზის გამო გამოაქვეყნეს გვითხრან, რომ გვაკონტროლებენ და გვისმენენ. მათი მიზანი ჩვენი დაშინებაა. მე მინდა, მათ ვუთხრა, რომ წლების განმავლობაში ჩემი არაერთი საუბარი გამოქვეყნდა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, როცა ვიმყოფებოდი უცხოეთში, ამიტომ ამას კარგა ხანია, შეჩვეული ვარ და ტელეფონში სერიოზულ თემებზე არ ვსაუბრობ. აქედან გამომდინარე, დღეს მით უმეტეს, როცა მე სახელმწიფო მოხელე აღარ ვარ და იმას, რასაც ჩემს მეგობრებთან ჩუმად ვლაპარაკობ, რამდენიმე ხანში პრესკონფერენციაზე ვაცხადებ. დასამალი არაფერი მაქვს, მათ შეუძლიათ მისმინონ“,** — განაცხადა მერაბიშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნული ჩანაწერების გამოქვეყნება იყო დეკლარირება იმისა, რომ ოპოზიციას უსმენენ.

**„სატელეფონო ჩანაწერში ჩანდა, რომ მე საკმაოდ ირონიულად ვუყურებ ზეწოლის მცდელობას, დაკითხვებზე დაბარებას და ა.შ. ამიტომ ამით ახალი არაფერი იყო ნათქვამი“,** — აღნიშნა მერაბიშვილმა.

***„პირველი“***

## Wall Street Journal ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებას ეხმაურება




**Wall Street Journal**-ი საქართველოში ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებას ეხმაურება.

როგორც გამოცემა წერს, საქართველოში ორი ყოფილი მინისტრი და ოთხი სხვა თანამდებობის პირი დააკავეს, **„რაც ნაწილია პროდასავლელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მთავრობის ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიმართული დაპატიმრებებისა და სისხლის სამართლის ბრალდებების ტალღისა“.**

**„ეს რეპრესიები მოჰყვა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ექსცენტრიული მილიარდერის, ბიძინა ივანიშვილის მიერ მართული პოლიტიკური კოალიციის გამარჯვებას. პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ, ივანიშვილმა პირობა დადო, გამოეძიებინა სააკაშვილის პროტეჟეების სავარაუდო დანაშაულები. რამდენიმე თანამდებობის პირი დაპატიმრებულია და მათ ბრალად ედებათ თანამდებობის ბოროტად გამოყენება, უკანონო დაპატიმრებებზე ბრძანების გაცემა და პირადი ინფორმაციის ჰაკერული მეთოდებით მოპოვება. ოთშაბათს, ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ფინანსთა და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, ალექსანდრე ხეთაგური, განათლებისა და იუსტიციის ყოფილი მინისტრი, ნიკა გვარამია და ოთხი ყოფილი თანამდებობის პირი დაკავებულ იქნენ და მათ ბრალი 1 მილიონი დოლარის ოდენობის თანხის არალეგალურ გადარიცხვაში, მოქრთამვასა და დოკუმენტების გაყალბებაში ედებათ“,** — წერს გამოცემა.

# დავით დარჩიაშვილი: „ეს პროცესები ქაოტურ მდგომარეობაში დაგვაბრუნებს!“





ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**კოჰაბიტაცია არ შედგა — საპარლამენტო უმცირესობა დისიდენტურ მოქმედებებზე გადადის! უკანასკნელი 2 დღის განმავლობაში მოვლენები ელვისსისწრაფით ვითარდება — ექსმინისტრისა და „რუსთავი 2-“ის დირექტორის, ასევე სხვა „ნაციონალი“ მაღალჩინოსნების დაკავება-დაკითხვის შემდეგ, „ნაციონალების“ ქუთაისის ოფისში შეჭრის მცდელობა და დეპუტატ აკაკი მინაშვილის ფიზიკური შეურაცხყოფა, საკანონმდებლო ინიციატივები, რაც პრეზიდენტს უფლებებს უკვეცს — მოკლედ, ნაციონალურ მოძრაობას ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ საპარლამენტო მუშაობა მიატოვოს, კვლავ ბოიკოტის რეჟიმში გადავიდეს და თანაგუნდელების დაპატიმრება ხან მოდულის, ხანაც თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან გააპროტესტოს. უკანასკნელ მოვლენებს „ვერსიისთვის“ დავით დარჩიაშვილი აფასებს:**

## ნაციონალური მოძრაობა დისიდენტურ მოქმედებებზე გადადის!

— პირველ რიგში იმას გეტყვით, უშუალო დაკვირვების შედეგად, რა შთაბეჭდილებაც დამრჩა „ნაციონალების“ ოფისზე თავდასხმიდან — ვიდრე ფრაქციის შეხვედრა გვქონდა, გარეთ 2 კაცი იდგა, შეხვედრის დასრულების შემდეგ კი, ჩემი ვარაუდით, 30 კაცამდე მოგროვდა, რომლებიც შენობაში შემოჭრას ცდილობდნენ. მაინცდამაინც, დიდი შემართებით არც პოლიცია გამოირჩეოდა, რათა ვითარება განმუხტულიყო. პასიურობდნენ. არსებობს კადრები, სადაც ჩანს ამ ხალხის სახეები. ჩემი აზრით, დიახაც, ისინი „ქართული ოცნების“ აქტივისტები იყვნენ, თუმცა ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. მაქვს ინფორმაცია, რომ მათგან ერთი-ორი ადამიანი ე.წ. კანონიერ ქურდთა წრეს ეკუთვნოდა!

— **გვარები დააკონკრეტეთ**.

— გვარების თქმა არ შემიძლია, მაგრამ ყველაფერი გაირკვევა. ფაქტია, მოხდა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, აკაკი მინაშვილის მისამართით გამოიწიეს და ჩვენც ადამიანები ვართ, ბუნებრივია, ამდენის მოთმენა ძნელია!

**— უცნაურია, პოლიციის პასიურობაზე რომ საუბრობთ, როცა ეს თქვენი ხელისუფლების მიმართ ერთ-ერთი ბრალდება იყო.**

— აჯობებს, უფრო კონკრეტული მაგალითებით ვისაუბროთ, თუმცა თუ პოლიცია სიტუაციაში გარკვევას არასწორად ცდილობდა, რიგ შემთხვევებში, მაშინ მზად ვართ და ამას ყოველი შესაძლებლობის დროს ვამბობთ — ვისაც რა ინციდენტი აინტერესებს, ის გამოიძიოს. ისიც პირდაპირ თქვან, ჩვენი შეცდომების გაღრმავება თუ უნდათ! ვხედავთ, როგორ დააკავეს ადამიანები ძალიან უცნაური ბრალდებებით — საქმე წლების წინ მომხდარ ფინანსურ საკითხს ეხება, რაც ნებისმიერ ცივილურ ქვეყანაში შეიძლება გაირჩეს, მაგრამ არა — დაკავების ფორმით. ეს პროცესი დროში ისე უნდა გაიწელოს, ყველა კითხვას პასუხი გაეცეს და არავის გაუჩნდეს ეჭვი დაკავების პოლიტიკური მოტივის შესახებ. თუმცა, როცა მყისიერად ხდება „რუსთავი 2“-ის ახლადდანიშნული დირექტორის, ნიკა გვარამიას დაპატიმრება, აბა, ეს რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა ბატონი ივანიშვილისა და ქალბატონი წულუკიანის გაცხადებულ სურვილს, ნაციონალურ მოძრაობას არანაირი ტრიბუნა აღარ ჰქონდეს.

**— ამბობთ, რომ ნაციონალურ მოძრაობას სატელევიზიო ბერკეტსართმევენ?**

— იცით, რა, „რუსთავი 2“ ნამდვილად არასოდეს იქნება პოპულარული, თუკი ის რომელიმე ერთი პარტიის ბერკეტი გახდება, რადგან პარტიული ტელევიზია იქნება. ასეთის შექმნის მცდელობა უკვე არის ქვეყანაში, მაგრამ ეს ტენდენცია, ჩემი აზრით, „რუსთავი 2“-ს არ ეხება, ხოლო თუ „რუსთავი 2“ ბოლომდეა დაინტერესებული, ჩვენი სიტყვა მაინც ვთქვათ, შესაძლოა, ეს ბატონ ივანიშვილს არ მოეწონოს. თუ ამ ტელევიზიას პრობლემებს შეუქმნიან, მაშინ, ზოგადად, ქვეყანაში მედიის მდგომარეობა გახდება ძალიან სავალალო.

**— მოვლენების განვითარების ფონზე, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კიდევ ერთხელ შეწყვიტა საპარლამენტო მუშაობა — შეთანხმდით რა იქნება თქვენი სამოქმედო გეგმა?**

— გადაწყვეტილება მიღებულია შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე — ჩვენ პარლამენტში არ გვეძლევა ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე დებატების გამართვის საშუალება. უნდა ვაღიაროთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე მაქსიმალურად კი ცდილობს, არავის წაერთვას სიტყვის უფლება და ამაში აბსოლუტურად გულწრფელია, მაგრამ პროცესები პარლამენტსმიღმა მიმდინარეობს — ანუ, ერთს ვამბობთ პარლამენტში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობა და მეორე ხდება გარეთ — დაწყებული პარტიულ ოფისთან თავდასხმებით, დასრულებული „რუსთავი 2“-ის, დამოუკიდებელი ტელევიზიის დირექტორის დაპატიმრებით! აი, ამ ფონზე, ძალიან ძნელია, იმაზე ვიმსჯელოთ, პენსია 150 ლარამდე უნდა გაიზარდოს, თუ „ქართული ოცნების“ დაპირების შესაბამისად, 230 ლარამდე. ჩვენ ამ და ბევრ სხვა საკითხზე გვინდოდა მსჯელობა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში, ეს შეუძლებელი და არაადეკვატურია!

**— ამიტომ გეკითხებით, რა ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას გეგმავს ნაციონალური მოძრაობა?**

— ჩვენი ამოცანაა, ეს პროცესი არ გაგრძელდეს, პირიქით, შერბილდეს და შეწყდეს ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრება. ფაქტია, რომ სპეციალურად, გამორჩევით ხდება წინა ხელისუფლებასთან დაკავშირებული ადამიანების დაჭერა! ჩვენი ნაბიჯები იმითაა განპირობებული, როდის მოვა გონს ახალი ხელისუფლება და მიხვდება, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა თანაარსებობა ამ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზაა! ამ თანაარსებობას კი პატივისცემა უნდა, მათ შორის, სახელმწიფო ინსტიტუტების პატივისცემაც — როცა არჩევნებს იგებ პარლამენტში, ეს იმად არ უნდა თარგმნო, რომ პრეზიდენტს კონსტიტუციურ უფლებებსაც შეუკვეცავ, ან უშვერი სიტყვებით მოიხსენიებ, პირადად თუ მომხრეების საშუალებით, მერე თვითმმართველობას მიადგები და ბოლოს — სასამართლოს. ამას თანაცხოვრებასთან საერთო არაფერი აქვს და თუ ასე გაგრძელდა, გამოდის, საბჭოთა პერიოდში ცნობილი დისიდენტური მოძრაობის ფორმატში გადავდივართ. რაც მალე გააცნობიერებს ამ ვითარებას ახლანდელი ხელისუფლება, ჩვენი მოქმედებებიც ამაზე იქნება დამოკიდებული. სამწუხაროდ, ვეჭვობ, მოქმედი პრემიერი ამას ვერ აცნობიერებს ისევე, როგორც მისი მარჯვენა და მარცხენა ხელები — ირაკლი ღარიბაშვილი და თეა წულუკიანი!

**— და თუკი ეს „გაცნობიერება“ არ მოხდა, მაშინ ნაციონალური მოძრაობის მუშაობა დისიდენტურ რეჟიმში გაგრძელდება?**

— ჩვენ ყველა შესაძლო ტრიბუნას გამოვიყენებთ, რათა სათქმელი ყველასთან მივიტანოთ. საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ კონკრეტული დაპირებების მოლოდინის რეჟიმშია. ახალი ხელისუფლება კი არა ამ დაპირებების შესრულებით, არამედ პოლიტიკური ოპონენტების დემონიზაციით, მათ წინააღმდეგ ათასგვარი ჭორის აგორებითა და მათზე ზეწოლითაა დაკავებული და ამით ცდილობენ ხალხის მოლოდინის დაკმაყოფილებას — ეს არანორმალურია და ასეთი რამ ძალიან ცოტა ხანს გასტანს!

**— პრეზიდენტის სიტყვებს იმეორებთ — იგი გვარამიას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს და ამბობს: ეს ყველაფერი ძალიან ჩქარა და ცუდად დამთავრდება — იმაზე ჩქარა, ვიდრე „ქართულ ოცნებას“ ჰგონია — ეს სააკაშვილის პირდაპირ მუქარად უნდა გავიგოთ?**

— მე მგონია, რომ პრეზიდენტმა „ქართული ოცნება“ საკმაოდ მკაფიოდ და პრინციპულად გააფრთხილა და ცალსახაა, რომ იმ ხალხს, ვისაც ჰგონია, ქვეყანაში პროცესებს რევოლუციური გზით წარმართავს, ეს ყველაფერი ძალიან ცუდად შემოუბრუნდება.

**— „ცუდად შემობრუნებასა“ და „მალე დამთავრებაში“ რა იგულისხმება?**

— საზოგადოების მხრიდან მოვლენების ძალიან სწრაფი გადაფასება! ხალხს ჰქონდა კითხვები ნაციონალური მოძრაობის მიმართ, რომელიც 9 წელი იყო ხელისუფლებაში და ეს კითხვები იმაში გამოვლინდა, რომ არჩევნები წავაგეთ. თუმცა ის, რასაც დღეს აკეთებს „ოცნება“, არჩევნებით მოპოვებული ხელისუფლებით სარგებლობა კი არა, შურისძიებაა პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. თუ ასე გაგრძელდა, ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ საქმე ძალიან მოკლე ხანში, ძალიან ცუდად წაუვათ! თუ მათ ხალხმა ხმა მისცა სამართლიანობის აღდგენისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მალე გამოჩნდება, რომ ეს სამართლიანობა ცალმხრივია, ხოლო სოციალური ვალდებულებები — მივიწყებული! ეს ქართულ საზოგადოებას დასკვნებს ძალიან მალე გამოატანინებს!

**— და რაში გამოიხატება დასკვნა — ვადამდელი არჩევნების საჭიროებაში, თუ ახალ რევოლუციაში?**

— ღმერთმა დაგვიფაროს ახალი რევოლუციებისგან, მაგრამ ქვეყნისა და ინსტიტუტების ნგრევა, მათ შორის, უსაფრთხოების სისტემის ხელისხლება სრულიად გაუცნობიერებლად, ძალზე სახიფათოა — ეს პროცესები ქაოსში დაგვაბრუნებს! ჩვენ ეს არ გვინდა და ამას ხელს არ შევუწყობთ, მაგრამ მოვლენები თავისთავად შეიძლება განვითარდეს. ამასობაში, პარლამენტში ქვეყნის კონსტიტუციური მოდელის წინააღმდეგ სვლა და საპრეზიდენტო ინსტიტუტზე თავდასხმა მიდის — ვერ გავაგებინეთ ჩვენს ოპონენტებს უმრავლესობიდან, რომ როცა პრეზიდენტი ქვეყნის უსაფრთხოებისა და ერთიანობის გარანტია, არ აქვს მნიშვნელობა, ეს მიხეილია, თუ ვახტანგი, მის ინსტიტუტს თავს რაღაც უბრალო საკანონმდებლო ცვლილებებით არ უნდა დაესხა. როცა გინდა, შეიარაღებული, გასამხედროებული სტრუქტურა ერთი შტოდან მეორეში გადაიტანო, ამას დიდი კონსტიტუციური განხილვები სჭირდება და არა — გაპარება და „გაპრავება“ ერთი ჩვეულებრივი საკანონმდებლო ცვლილებით! ჩვენ გვაინტერესებს: რა რეაგირება იქნება, თუნდაც ბატონი დავით უსუფაშვილის მოთხოვნაზე, გამოძიებულ იქნას ინციდენტი ქუთაისში, რა რეაგირება მოჰყვება სასამართლოს წარმომადგენელზე თავდასხმას და მასზე ზეწოლას კუდის თანამშრომლების მიერ?! ჩვენ ამაზე საუბარს გავაგრძელებთ როგორც ამომრჩეველთან, ისე ტელევიზიითა და საერთაშორისო დონეზე.

**— ქუჩის აქციების დონეზე?**

— მხარდამჭერი აქცია სხვა თემაა, ქუჩის აქციებს თავის დრო აქვს — არის დრო ქვების შეგროვების და არის დრო ქვების სროლისა! სასაცილო და უცნაური ისაა, რომ ხელისუფლება ებრძვის თავის პოლიტიკურ ოპოზიციას ქუჩის აქციებით, საერთოდ ვერ გაუგია, რას ნიშნავს ქვეყნის მართვა, რადგან თავის მომხრეებს აგროვებს და ჩვენი პარტიის ოფისებში შევარდნას ცდილობს! ამ ეტაპზე, კოჰაბიტაცია ძალიან სერიოზულ პრობლემებს განიცდის. უმრავლესობის მხრიდან კი ეს სიტყვა გაგებული იქნა ასე — შენ გაიწიე, მე უნდა დავდგე ღუმელთანო. რატომ უშვებს უკვე დაშვებულზე უარეს შეცდომებს „ქართული ოცნება“, მართლა არ მესმის!

# „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 2013 წლის ოქტომბერში ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს!




ნინო თურმანიძე

**„წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერებმა 19 დეკემბერს, წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს, 571 დელეგატით ახალი პარტია, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ დააფუძნეს! პარტიის პირველი ყრილობა „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა, თუმცა დარბაზმა ყრილობაზე დასწრებისა და პარტიის რიგებში გაწევრიანების მსურველები ვერ დაიტია — ღონისძიების დაწყებამდე პარტიული ბლანკი ათობით ადამიანმა შეავსო და „პატრიოტთა ალიანსის“ რიგებში ჩაეწერა, თუმცა, რეგისტრაცია რუსთაველის გამზირზე მდებარე კინოს სახლში მომავალშიც გაგრძელდება!**

## რა იქნება ახალი პარტიის ორი მთავარი ამოცანა და პირველი კონკრეტული ნაბიჯები ქართულ პოლიტიკაში




დღის სამ საათზე ჩანიშნული ღონისძიება „ობიექტივის“ დამფუძნებელმა, ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა გახსნა, რომელიც სხვა კოლეგებივით პოლიტიკაში არ წასულა, მაგრამ ახალ პარტიას მხარდაჭერა ღიად გამოუცხადა: „ეს ძალა მოდის თავისი ისტორიით და სუფთა ფურცლიდან არ იწყებს მოქმედებასა და მოღვაწეობას. მას წინ ორწლიანი, ძალიან რთული პერიოდი უძღვის, რაც ჩვენ ყველამ ერთად გავიარეთ. „წინააღმდეგობის მოძრაობის“ შესახებ, ალბათ, ბევრი რამ იცით. შესაძლოა, მაშინ ბევრ ადამიანს არ სჯეროდა, რომ ამ ბოროტებას, „ნაციონალური მოძრაობის“ სახით მოვერეოდით, მაგრამ მოვერიეთ! თუმცა ბრძოლა გრძელდება და ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს ერთად გასაკეთებელი, რადგან ამ ტიპის ბოროტებამ, ჩვენი ქვეყანა ხელში აღარ უნდა ჩაიგდოს და საქართველოს ასეთი ძალა აღარასდროს უნდა დაეპატრონოს. მე ვრჩები ჟურნალისტიკაში, თუმცა ჩემს მეგობრებთან ერთად, დღეს საფუძველს ვუყრით ამ ახალ პოლიტიკურ ძალას და, რა თქმა უნდა, მე მათი მხარდამჭერი ვიქნები, რადგან ვენდობი ამ ადამიანებს და ვიცი, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ სიკეთეს მოუტანენ ჩვენს ქვეყანას!“ სიტყვას საქმეც მოჰყვა და ირმა ინაშვილმა მის მიერ დამონტაჟებული ფილმი გვიჩვენა 2010 წელს დაფუძნებული „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ორწლიანი მოღვაწეობის შესახებ. ინაშვილმა და მოძრაობის სხვა ლიდერებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაახსენეს ყველა ის აქცია, რაშიც მონაწილეობა მიუღიათ თუ დაუგეგმავთ და თითოეული ის საპროტესტო ტალღა, რაც ქვეყანაში სწორედ მათი ინიციატივით აგორებულა. დაახლოებით 15 წუთიანი ფილმის ჩვენების შემდეგ დარბაზსა და მხარდამჭერებს პარტიის ყრილობაზე არჩეულმა თავმჯდომარემ, დავით თარხან-მოურავმა მიმართა: „ყრილობის ჩატარება ნიკოლოზობა დღეს იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი მთავარი ოცნება აგვისრულოს წმინდა ნიკოლოზმა. რისთვის ვქმნით პარტიას და რა არის ჩვენი მთავარი ოცნება — ერთიანი, მშვიდობიანი და ზნეობრივი საქართველო! ეს ყველაზე მთავარი რამაა, რისთვისაც უნდა



ვიბრძოლოთ. ბოლო 9 წელი ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან ახლა სხვა საუკუნეში ვცხოვრობთ — ინტერნეტისა და განვითარებული ტექნოლოგიების საუკუნეში, როცა უკვე შექმნილია ადამიანის გონებასა და ფსიქიკაზე ზემოქმედების საშუალებები და შეგიძლია, კაცი ხმლის გარეშე გადააგვარო! მთელი 9 წელი ეს ხელისუფლება მხოლოდ 4 ბოროტებას ნერგავდა ჩვენს გონებაში: არ უნდა გვწამდეს ღმერთი, არ უნდა გვიყვარდეს საქართველო, არ უნდა იყვნენ მანდილოსნები და მამაკაცები, რადგან სქესი საჭირო საერთოდ არ არის და არ უნდა გვქონდეს ზნეობა! ამიტომ ჩაჯდა ციხეში 48 000 კაცი, ამიტომ აწამებდნენ ხალხს, ამიტომ აღარ ილიმებოდა ქვეყანაში არავინ და ერთმანეთში ყველა ჩურჩულით ლაპარაკობდა. ახლა ვითარება შეიცვალა, მაგრამ ეს ძველი ბოროტება ჯერ მთლიანად არ წასულა ხელისუფლებიდან...




## „ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება და ჩვენ შევეცდებით, ეს ბრძოლა მოვიგოთ!“

ჩვენი პარტია უნდა შეიქმნას იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში გაჩნდეს ჭეშმარიტი ქართული იდეალები — ერთგულება, თავდადება, ვაჟკაცობა, მეგობრობა“.

დავით თარხან-მოურავმა პარტიის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ერთ-ერთი პირველი მოქმედება, რასაც „საქართველოს პატრიოტები“ გეგმავენ, სააკაშვილის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი იქნება: „ჩვენი პარტიის პირველი ნაბიჯები ის იქნება, რომ თუ საჭიროა, პოლიტპატიმრების თემაზე მიტინგებსაც განვაახლებთ. თუმცა ყველაზე მთავარი ისაა, რომ ვიწყებთ ახალ პროცესს — შევიტანთ სარჩელს, რათა მიხეილ სააკაშვილის უფლებამოსილება 2013 წლის იანვარში შეწყდეს! არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლო, მაგრამ ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება და ჩვენ შევეცდებით, ეს ბრძოლა მოვიგოთ! 2012 არჩევნები კოალიციამ მოიგო, მაგრამ ეს პირველი ეტაპია, დღეს კი მეორე ეტაპი უნდა დაიწყოს — ქართველმა ხალხმა ქართული სახელმწიფო თავად უნდა ჩაიბაროს! ამისთვის ბევრი ახალი პარტია უნდა შეიქმნას და მათი ძირითადი ამოცანა გამჭვირვალე პოლიტიკა და საქართველოს ინტერესების დაცვა უნდა იყოს. სწორედ ესაა ჩვენი პარტიის ორი მთავარი ამოცანაც! საზოგადოებამ ყველაფერი უნდა იცოდეს იმის შესახებ, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ესაა გამჭვირვალე პოლიტიკა და ამ მიზნის მქონე რაც მეტი პარტია შეიქმნება, მით უკეთესი ქვეყნისთვის! ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას ყველა ტიპის არჩევნებში და აუცილებლად გავიმარჯვებთ, რადგან ძალიან ბევრი ისეთი ნოვატორული იდეა გვაქვს, რაც სხვებს არ გააჩნიათ. თუმცა არ მინდა ახლა ჩვენი იდეები აიტაცონ, შემდეგ დაიყვანონ არარაობამდე, გააფუჭონ, ვერაფერი გააკეთონ და ამ იდეების ნიველირება მოხდეს. ამ ჩვენს იდეებს თავადვე განვახორციელებთ — აღარ იქნება იდეების გაჩუქება“, — განაცხადა დავით თარხან-მოურავმა, ამ იდეების ნაწილი კი პარტიის ერთ-ერთმა წევრმა, ადა მარშანიამ ჩვენთან საუბრისას გაამხილა: „თქვენ გგონიათ, 4 წელი ამ არჩევნებით უნდა ვიცხოვროთ?! არა, საპარლამენტო არჩევნები წინაა და იდეალური იქნება, თუ შემოდგომაზე, 2013 წლის ოქტომბერში ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება შეცვლილი საარჩევნო კოდექსით, საარჩევნო გარემოთი და ა.შ. მით უმეტეს, რასაკვირველია, პარლამენტში ოპოზიცია არ გვყავს. უახლოესი მომავლის გეგმებში, აგრეთვე, გვაქვს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებაც, თორემ ყველა კარგად ხედავს, რა ცვლილებები მიდის ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე. უნდა ჩატარდეს რიგგარეშე ადგილობრივი არჩევნები და თუნდაც ვერსად მოვხვდეთ, დამიჯერეთ, სამივე არჩევნები ჩასატარებელია!“





ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**კითხვა, რომელსაც სვამს მასმედიის, პოლიტიკოსებისა და საზოგადოების დიდი ნაწილი, ასეთია: რატომ ვერ მოხვდა საგამოძიებო ჟურნალისტიკაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახე, შვეიცარიის მიერ პოლიტიკურ დევნილად აღიარებული, რამდენიმე წლის წინ ქვეყნიდან წასული ვახტანგ კომახიძე იმ ჩამონათვალში, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პარლამენტმა პოლიტდევნილებისა და პოლიტპატიმრების სიად აღიარა?! ამ კითხვით მისთვის ჯერ არავის მიუმართავს. თავად კომახიძეც, სუბიექტური მიზეზების გამო, საქართველოში ვერ ბრუნდება. „ვერსია“ ცნობილ ქართველ ჟურნალისტს შვეიცარიაში დაუკავშირდა. გთავაზობთ ვახტანგ კომახიძის ინტერვიუს.**



**„სიტყვა „დევნილი“ სხვა სიტყვით უნდა ჩაენაცვლებინათ და უფრო გასაგები გახდებოდა, ვის გულისხმობდნენ ამ სიაში“!**

# რატომ არ შეიყვანეს პოლიტიკური დევნილების სიაში ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე

**— გია ბარამიძემ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებისა და აფრასიძეების საქმეებზე, რომელთაც პროკურატურა ინტენსიურად იძიებს და რომლებზეც დოკუმენტური ფილმები გაქვთ გადაღებული, განაცხადა, რომ მისი პოზიციით არასოდეს დაინტერესებულხართ. ამ ფილმებში აქცენტი ბარამიძეზე არაა გაკეთებული. როგორ ფიქრობთ, მისი აქტიურობა რამ გამოიწვია?**

— მის სინდისზე იყოს, როცა ამბობს, თითქოს მასთან დაკავშირებას არ ვცდილობდი. არა მგონია, ეს გამოძიებისთვის საინტერესო იყოს, თორემ მარტივად შემიძლია დავამტკიცო, რამდენი ადამიანი იყო ჩართული ჩემი და მისი დაკავშირების პროცესში! სულაც არ მინდოდა, იმ ფილმებს ვინმეს პოზიცია დაკლებოდა, თუმცა არც ის მგონია, ბარამიძეს რამე ისეთი ეთქვა, რაც სურათს შეცვლიდა. იმ ფილმებში ისეთ ფაქტებზეა საუბარი, კითხვებს ვერ გაანეიტრალებს — ადამიანები დახოცეს, ომი ატეხეს სოფლის წინააღმდეგ! მას, უბრალოდ, დამოკიდებულების გამომჟღავნება შეუძლია, თორემ ფაქტებს ვერ უარყოფს!

**— პირიქით, ბევრად საინტერესო იქნებოდა მისი პასუხები, რადგან გამოძიებისას ამ საქმეებში ერთ-ერთ მთავარ მოწმედ სახელდება.**

— ცხადია, უამრავ კითხვას დავუსვამდი, მაგრამ შეხვედრას თავი არაერთხელ აარიდა. თუ პასუხები აქვს, დღეს უპასუხოს, ვინ უშლის? არ ვიცი, თუ დაიჭერენ ბარამიძეს. პროკურორი არ ვარ და არც მსურს, პროკურორის პოზიციიდან ვილაპარაკო, სამაგიეროდ, შემიძლია ყველა დავარწმუნო, ჩემი პროფესიული მოვალეობა პირნათლად შევასრულე და ყველაფერზე პასუხს ვაგებ!

**— ისე, უამრავი საინტერესო მასალა გექნებათ — ახალ ხელისუფლებას თუ მიაწვდით და მათთან თუ ითანამშრომლებთ?**

— ჩემი მასალების საფუძველზე, ადამიანების დაჭერა არა, მაგრამ გამოძიების დაწყება შეიძლება, თუმცა არანაირი სურვილი არ მაქვს, საგამოძიებო ორგანოების ფილიალად ჩამოვყალიბდე!

**— ზოგადად, დაჭერებზე გკითხავთ. დასავლეთი „პოლიტიკურ დევნასა“ და „შერჩევით სამართალზე“ საუბრობს. შვეიცარიიდანაც ასე ჩანს საქართველოში მიმდინარე პროცესები?**

— „ნაციონალებს“ საკმაოდ ხანგრძლივი კომუნიკაცია ჰქონდათ ევროსტრუქტურებთან. იქ ყველა საკვანძო ადგილი მოიპოვეს და ბუნებრივია, ეს ურთიერთობები უკვალოდ ვერ გაქრება. შეფასებებზე გავლენას ჯერ კიდევ შემორჩენილი შთაბეჭდილებები ახდენს. არის მეორე, დასავლეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი — ზოგადად, პოსტსაბჭოთა და აღმოსავლური ქვეყნები ძალიან შორსაა რეალური დემოკრატიისგან. იქ ყოველთვისაა მაღალი რისკი, ავტორიტარული რეჟიმები კვლავ ავტორიტარულმა შეცვალოს. პრინციპში, დასავლეთის მხრიდან გამოთქმული ეს შიში, უსაფუძვლო არც არის. დაპატიმრებებს რაც შეეხება, მოტივზე მსჯელობა იმის მიხედვით შეიძლება, რა მტკიცებულებებია საქმეებში.

**— სწორედ მტკიცებულებების ნაკლებობას ედავებიან ივანიშვილის ხელისუფლებას „ნაციონალები“ და საზოგადოების ნაწილი...**

— ძალიან რთულია, საქმის მასალები გამოძიების პროცესში გახსნა. ამას არავინ აკეთებს. ჩემი სუბიექტური აზრი ასეთია: 20 წელია, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც კვალიფიციური პროკურატურა და სასამართლო საჭირო არ იყო. ისინი პოლიტიკურ ნებას ექვემდებარებოდნენ. დღეს ქვეყანაში იმის ცოდნის დეფიციტი იქნება, როგორ უნდა გაკეთდეს საქმე კითხვისნიშნების დატოვების გარეშე. ისიც ძალიან ცუდია, თუ რამე პიარისთვის ხდება. ეს ევროპაში კარგი ტონი კი არა, პოლიტიკური უზრდელობაა! ვერცერთი ხელისუფალი ევროპულ საზოგადოებას ამას ვერ შესთავაზებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მწარე პასუხს მიიღებს. ჩანს, დღეს საზოგადოება „ქართულ ოცნებას“ სთხოვს, კარგად შეფუთონ, ბრჭყვიალა ქაღალდებში გაახვიონ მიმდინარე პროცესები. არადა, პირიქით უნდა იყოს — ყველა ფაქტი მაქსიმალურად უნდა გაშიშვლდეს, რათა ვნახოთ, რეალურად, რა ხდება! ხალხის დაკვეთა ვიღაცის დაჭერა-არდაჭერა კი არა, სამართლიანობის აღდგენა უნდა იყოს. უკეთესი იქნება, თუ ჩვენი ხალხი ნაკლებ აგრესიას გამოავლენს. მესმის, ეს ძალიან რთულია, რადგან მგონია, მეც ძველი რეჟიმის ძალადობის მსხვერპლი ვარ, მაგრამ სულაც არ მინდა, ძალადობით ვუპასუხო. მინდა, ჩემს დევნასთან დაკავშირებით ყველაფერი გამოიძიონ, მაგრამ ეს ემოციური ფონის გარეშე უნდა მოხდეს.

**— შეგიძლიათ, არაემოციურ ფონზე თქვათ, ვისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს?**

— სწორედ ეგაა საქმე — განცხადებების დონეზე საუბარი არ მინდა. გამოძიებამ უნდა დაადგინოს ყველაფერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამაზე ლაპარაკი პოლიტიკური უზრდელობა იქნება. მაქვს ვარაუდი, მაგრამ თავს უფლებას არ ვაძლევ, აზრი მტკიცებულებად ვაქციო! გაბრაზებული რომ ვარ, ეს გადაწყვეტილება მე არ უნდა მივიღო. აი, არჩილ კბილაშვილსა და თეა წულუკიანს კი პროფესია ავალდებულებს, გადაწყვეტილებები გაბრაზების გარეშე მიიღონ!

**— სადავო იყო გადაწყვეტილება პოლიტდევნილების სიის შემადგენლობისა და საერთოდ, მისი აღიარების შესახებ. რატომ არ არის ამ სიაში ვახტანგ კომახიძე, რომელიც ქვეყნიდან წასვლის დროს აცხადებდა, ხელისუფლება ფიზიკური ლიკვიდაციითაც კი მემუქრებაო?**

— ალბათ იმიტომ, რომ ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საქმე არ აღძრულა. „პოლიტიკური დევნილი“, შესაძლოა, გაუმართავი ტერმინი იყოს. ვფიქრობ, სიტყვა „დევნილი“ სხვა სიტყვით უნდა ჩაენაცვლებინათ და უფრო გასაგები გახდებოდა, ვის გულისხმობდნენ ამ სიაში. ამ კანონის მიღებისას, სამიზნე ჯგუფი აშკარად, ის ადამიანები იყვნენ, ვის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეები არსებობდა და ამის გამო, ეს ხალხი საქართველოში ვერ ბრუნდებოდა.

ვფიქრობ, მაშინ ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მზადდებოდა. ქვეყნიდან რომ წავედი, ტელეკომპანიები მომზადებულები იყვნენ, რათა ჩემზე დარტყმა განეხორციელებინათ. ჟურნალისტი ვარ და ვიცი, 2-3 დღეში ამდენ მასალას ვერ მოაგროვებ. დღემდე არ ვიცი, კონკრეტულად, რა საქმეზე იყო საუბარი და რა მასალებს აგროვებდნენ. რამდენჯერმე გაიჟღერა, თითქოს, საჯარო სამსახურში მუშაობის დროს რაღაც დარღვევები მქონდა.

**— ფინანსური დარღვევები...**

— ასე იყო, თუმცა ფინანსებთან არანაირი კავშირი არ მქონია და, ალბათ, ობიექტურად იყო შეუძლებელი ჩემთვის ბრალის წაყენება. რაც შეეხება პოლიტპატიმრების საკითხს, აქ ერთ სერიოზულ უხერხულობას ვხედავ — როცა ეს ხალხი უკანონო პატიმრებად აღიარეს, მაშინვე უნდა გაეთავისუფლებინათ და არა — საახალწლოდ! ეს სამართლებრივი კაზუსია. შესაბამისად, ახლა ამ ადამიანებმა საჩივარი რომ შეიტანონ სასამართლოში, თუნდაც ერთსაათიანი უკანონო პატიმრობის გამო, ქვეყანაში დიდ პრობლემებს შექმნიან. მათ ასევე, სრული უფლება აქვთ, დამნაშავეების დასჯა მოითხოვონ. უცებ ვერავინ გახდება მშვიდობის მტრედი და ამ ხალხს ვერ ეტყვის, მოდი, შენს წარსულ უბედურებაზე ბედნიერ მომავალს ავიწყობო!

**— ის პრინციპი სწორია, რის მიხედვითაც პოლიტიკური დევნილების სია შედგა?**

— ვფიქრობ, კანონის მიზანი იყო, სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვეტილიყო ამ ადამიანების მიმართ და მათ ქვეყანაში დაბრუნება შეძლებოდათ. მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი შემიძლია დაგისახელოთ, ვინც ევროპაშია, მათზე სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის, მაგრამ ისინი პოლიტიკური დევნის ობიექტები იყვნენ! მაგალითად, ასეთია კალაძის საქმის ადვოკატი, ზურაბ გებუაძე, რომელსაც თავშესაფარი გერმანიამ მისცა. ფაქტია, კანონის მიზანი სხვა იყო და პოლიტიკური ტერმინი სულ სხვა რამეს ნიშნავდა!

## პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტში წარმოდგენილი რამდენიმე მუხლის მიღება საკითხის მესამე მოსმენით განხილვისთვის გადადო



პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი მეორე მოსმენით მიიღო.

კანონპროექტს, მუხლობრივი განხილვის შემდეგ, მხარი 80-მა დეპუტატმა დაუჭირა, თუმცა უმრავლესობამ პროექტში წარმოდგენილ რამდენიმე მუხლს კენჭი არ უყარა და მისი მიღება საკითხის III მოსმენით განხილვისთვის გადადო.

უმრავლესობის წევრები პროექტის V, VIII, XI და XVI მუხლების ფორმულირებაზე ვერ შეთანხმდნენ. V მუხლი იმ პატიმართა ამნისტირებას ეხება, რომლებიც სასიკვდილო შედეგით დასრულებული გაუფრთხილებელი დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს, თუმცა პროექტის თანახმად, მისი გათავისუფლებისთვის დაზარალებული მხარის უფლებამონაცვლის თანხმობაა საჭირო. უმრავლესობაში აზრი გაყოფილია, რა ფორმით შეიძლება მოხდეს ასეთ შემთხვევებზე დაზარალებულთა უფლებამონაცვლის ჩართვა და მის მიერ თანხმობის მიცემა.

დეპუტატთა ნაწილისთვის მიუღებელი გახდა სსკ-ს 260-ე მუხლის III ნაწილით მსჯავრდებულთათვის სასჯელის განახევრების გადაწყვეტილება. გარდა ამისა, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სადავო გახდა კანონპროექტის ის ნაწილი, რომლის საფუძველზეც, თაღლითობისთვის მსჯავრდებულ პატიმართა ამნისტირებისთვის დაზარალებული მხარის თანხმობის საჭიროება შემოდის. ამ საქმეში დაზარალებული მხარის თანხმობის შემოტანას უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელი არ იზიარებს.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კრიტიკის საგანი გახდა იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის გადაწყვეტილებაც, რომლის თანახმად, სასჯელის ერთი მეოთხედით შემცირება უკლებლივ ყველა პატიმარს, მათ შორის განზრახ მკვლელობისთვის, გაუპატიურებისათვის, ტერორისტული დანაშაულისთვის გასამართლებულ პირებს ეხება. „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტის შესაბამისი მუხლიდან იმ დათქმის ამოღება, ვისზეც არ შეიძლება, სასჯელის ერთი მეოთხედით შემცირება გავრცელებულიყო, დეპუტატმა კობა დავითაშვილმა გააპროტესტა.

შესაბამისად, პარლამენტის გადაწყვეტილებით, „ამნისტიის შესახებ“ პროექტის V, VIII, XI და XVI მუხლების II მოსმენით მიღება საკითხის III მოსმენით განხილვისათვის გადაიდო.

*„პირველი“*

## შვილმა დედა ცულით დაჭრა




გორში ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, შვილმა დედა ცულით დაჭრა. ერთ-ერთი ვერსიით, ახალგაზრდა ნასვამი იყო.

56 წლის მანანა ლომსაძე საავადმყოფოში მარჯვენა არეში მიყენებული ჭრილობითა და ღია მოტეხილობით მიიყვანეს. მას შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს.

დამნაშავე საპატრულო პოლიციამ ადგილზე დააკავა. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## ვერსიანიუსი

### ზურაბ აბაშიძე: „კოჰაბიტაციას ჯერ ვერ მივეჩვიეთ“

რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში კოჰაბიტაციას ჯერ ვერ მიეჩვივნენ.

Независимая газета-სთან ინტერვიუში აბაშიძემ განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, გრიგორი კარასინთან პირველ შეხვედრაზე საქართველოს შიდაპოლიტიკური სიტუაციის განხილვა არ ყოფილა:

„ქართული მხარე რუსულთან შეხვედრისთვის, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, მზად იყო 2008 წლიდან, მაგრამ რუსეთის მხრიდან პასუხი მივიღეთ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა საქართველოში სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები განხორციელდა. დასკვნა აქედან თავისთავად გამომდინარეობს. ვფიქრობ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩვენთან საზოგადოება ძალიან შეიცვალა. ეს სერიოზული გამოცდა იყო, რომელიც ღირსეულად გავიარეთ. ახლა ჩვენთანაც არაერთგვაროვანი სიტუაციაა. ანუ, მთლად ვერ მივეჩვიეთ კოჰაბიტაციას. ეს არის ნაწილი დემოკრატიის რთული მომენტებისა და თუ ამ ეტაპს ღირსეულად გავივლით, ჩვენი საზოგადოება გაძლიერდება. ვფიქრობ, ეს ეტაპიც ღირსეულად იქნება განვლილი და გაჩნდება იმედი, რომ ყველა პოლიტიკურ პრობლემას მშვიდად, პროგნოზირებულად და პრაგმატულად გადავწყვეტთ. საქართველოს ძალიან კარგი ურთიერთობები აქვს ყველა მეზობელთან — აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან, ასევე შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანასა და დასავლეთთან. მხოლოდ რუსეთთან არის ეს ურთიერთობები რთული. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ პატარ-პატარა ნაბიჯებით წინსვლას შევძლებთ. იმის ილუზია, რომ ცვლილებები სწრაფად მოხდება, არ გვაქვს. ეს რთული პროცესი იქნება, თუმცა მე საუკეთესოს იმედი მაქვს“.



*„პირველი“*

# თბილისის 2013 წლის ბიუჯეტი — „ნაცმოძრაობის“ უკანასკნელი პოლიტიკური შანსი!



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**თბილისის 2013 წლის ბიუჯეტი 633 000 000 ლარითაა განსაზღვრული, საიდანაც 500 000 000 ლარამდე ხარჯვითი ნაწილია. თბილისის ბიუჯეტში პრიორიტეტები ასეა განსაზღვრული: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება – 97 385 000 ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება – 151 370 000 ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება – 28 575 200 ლარი; ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა – 7 697 500 ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება – 44 784 000 ლარი; ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა – 154 719 700 ლარი, მათ შორის, ჯანდაცვა – 23 800 000 ლარი, სოციალური დაცვა — 130 919 700 ლარი; განათლება – 48 670 000 ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 16 042 500 ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 17 955 300 ლარი; თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 72 800 800 ლარი.**

**თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ წარმომადგენელი და პარტია „საქართველოს გზის“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა ბალიაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ თბილისის 2013 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ჯანდაცვის დაფინანსება საკმაოდ არასახარბიელოა. მისი თქმით, 2013 წელს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნება თბილისს, რადგან მთელი რიგი პროგრამები გათვალისწინებული არ არის:**

„დიდ პატივს ვცემ ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელს, მამუკა ქაცარავას, რომელიც კონსტრუქციულია, მაგრამ არის საკითხები, რაც მის ძალებს აღემატება და რომელთა გადაჭრა არ ძალუძს. დარწმუნებული ვარ, მამუკა ქაცარავას უნდა, რომ ჯანდაცვის ბიუჯეტი რამდენიმე ასეული მილიონი ლარი იყოს, მაგრამ უგულავას პოლიტიკური გადაწყვეტილებით, მხოლოდ 23 800 000 ლარია. პრობლემა ის არის, რომ ჯანდაცვაზე გამოყოფილი მთლიანი თანხიდან, 21 000 000 ლარი სასწრაფო დახმარების ავტოპარკის განახლებისთვისაა გამოყოფილი, მაგრამ ბიუჯეტის მიხედვით, ჩვენ არ ვიცით, რამდენი მანქანის შეძენას გეგმავენ, ან რამდენი მანქანაა საჭირო. მეორე პრობლემა ის არის, რომ 2 800 000 ლარი რჩება ჯანდაცვის სხვა პროგრამებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ წელს, დედაქალაქში ჯანდაცვა არც ერთი მიმართულებით არ ანაზღაურდება“.

**რაც შეეხება თბილისის ბიუჯეტის სოციალურ ნაწილს, მამუკა ბალიაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ კომუნალური გადასახადებისთვის გამოყოფილი 100-ლარიანი ვაუჩერი, რომელსაც თბილისელები მიიღებენ, ბევრს არაფერს ნიშნავს:**

„რეალურად, ეს 100-ლარიანი ვაუჩერი, თვეში დაახლოებით, 8 ლარს ნიშნავს, რაც ნამდვილად არ არის კომპენსაცია. გარდა ამისა, გაურკვეველია ამ ვაუჩერის მიზნობრიობა. მაგალითად, პირადად მე, სულაც არ მჭირდება ეს ვაუჩერი, რადგან ანაზღაურებადი სამსახური მაქვს. რაც შეეხება 250-ლარიან ვაუჩერს, რომელსაც სოციალურად დაუცველები მიიღებენ, დიდი ტყუილია. სოციალურად დაუცველები 250-ლარიან ვაუჩერს ვერ მიიღებენ, ისინი მხოლოდ 150 ლარს აიღებენ ხელზე და დარჩენილი 100 ლარია სწორედ ის ვაუჩერი, რომელსაც ყველა მივიღებთ — თქვენც, მეც და გიგი უგულავაც!“

**მამუკა ბალიაშვილი აცხადებს, რომ თბილისის ბიუჯეტის პრიორიტეტებში გათვალისწინებული არ არის არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, არც მრავალშვილიანი და არც მარტოხელა დედების დახმარება. მისი თქმით, უზარმაზარი პრობლემაა ონკოდაავადებების დაფინანსებაც:**

„თუ ონკოდაავადებულ ადამიანს არ აქვს სახლი, რომელსაც გაყიდის და იმკურნალებს, მაშინ უნდა მოკვდეს. მერიის პროგრამა კი ამ შემთხვევაში, მხოლოდ ბოლო სტადიაზე ერთვება, ზუსტად მაშინ, როდესაც ადამიანი სიკვდილის სარეცელზეა. იცით, რა არ მესმის? როდესაც 100%-იანი გარანტია გვაქვს, რომ ადამიანი ვერ გადარჩება, იმის მდგომარეობას ვაფინანსებთ, მაგრამ სამაგიეროდ, არ ვაფინანსებთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ონკოდაავადებული ადამიანის მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია. რამდენიმე წლის წინ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, თბილისის მერიასთან ერთად, სხივური თერაპიის საკმაოდ ძვირადღირებული აპარატი ჩამოიტანეს. ეს აპარატი სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადასცეს კონკრეტულ ბიზნესმენს და ონკოდაავადებული ადამიანების ხარჯზე, დღეს ეს ბიზნესმენი დიდ ფულს შოულობს. ერთი სხივის გაკეთება ონკოპაციენტს 10 000 ლარი უჯდება. ვფიქრობ, შესაბამისი ორგანოები ამ საკითხის შესწავლით უნდა დაინტერესდნენ“.




**სამწუხაროდ, თბილისის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 55% ხარჯია, რომელიც მამუკა ბალიაშვილის თქმით, გაშიფრული არ არის. თბილისის ბიუჯეტში, ეგრეთ წოდებული, სხვა ხარჯების მუხლში გამოყოფილია 110 000 000 ლარი, მაგრამ ბიუჯეტის პროექტში არ არის დაკონკრეტებული, რას უნდა მოხმარდეს ეს თანხა:**

„გარდა ამისა, არაფინანსური აქტივებისთვის ბიუჯეტში 155 000 000 ლარია გამოყოფილი. როდესაც ვიკითხე, რა არის ეს არაფინანსური აქტივი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, თამაზ შოშიაშვილმა ამიხსნა, რომ როდესაც ამხანაგობის ტერიტორიაზე, ანუ ეზოში ასფალტს ვაგებთ, ეს არის არაფინანსური აქტივი. ასეც რომ იყოს, ხომ უნდა ვიცოდეთ, რამდენი კვადრატული მეტრი ასფალტის დაგებას აპირებენ, ან სად აგებენ ამ ასფალტს? აი, სწორედ ეს არ არის ჩაშლილი. ახლა გვსაყვედურობენ, რატომ არ მივიღეთ მონაწილეობა თბილისის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცებაში, მაგრამ როგორ უნდა დაგვემტკიცებინა ბიუჯეტი, სადაც ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისთვის გამოყოფილია 154 719 700 ლარი, ხოლო 155 000 000 ლარი — სხვა ხარჯებია, რომელიც არც კი ვიცით, კონკრეტულად, რას უნდა მოხმარდეს.

**საინტერესოა, რა პროგრამების დაფინანსება გაგრძელდება თბილისის 2013 წლის ბიუჯეტის მიხედვით. მამუკა ბალიაშვილმა აღნიშნა, რომ დასაქმების პროგრამა გაგრძელდება, რისთვისაც ბიუჯეტში 2 000 000 ლარია გამოყოფილი. უფრო კონკრეტულად, ეს ის პროგრამაა, რომლის მიხედვითაც, თბილისის მერია მოსახლეობას ინგლისურისა და კომპიუტერის შემსწავლელ უფასო კურსებს სთავაზობს. მამუკა ბალიაშვილი ამბობს, რომ დღემდე უცნობია, რომელ ორგანიზაციაში და რამდენი ადამიანი დასაქმდა მას შემდეგ, რაც ინგლისურისა და კომპიუტერის უფასო კურსები გაიარა:**

„გარდა ამისა, თბილისის ბიუჯეტის მიხედვით, გაგრძელდება გარე განათების დაფინანსებაც. 2012 წელს, თბილისის მერიამ გარეგანათების ქსელის მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციისთვის, 19 000 000-ლარიანი ტენდერი გამოაცხადა, რაც 2013 წლის ბიუჯეტიდან უნდა ანაზღაურდეს. შესაბამისად, თბილისში, გარეგანათების 400 ბოძი უნდა დამონტაჟდეს და ამ 400 ბოძზე 1 000 სანათი უნდა დამაგრდეს. ქალაქში რომ გაიაროთ, ნახავთ ერთ, ორ, სამსანათიან ბოძებს, მაგრამ 400 ბოძზე დამაგრებული 1 000 სანათის მიხედვით, გამოდის, რომ თითო ბოძზე 2,5 სანათი უნდა დავამაგროთ. აქედან გამომდინარე, სატენდერო მასალების შედგენის დროს ან ელემენტარული შეცდომა გაეპარათ, ან ძალიან მაგარ აფერასთან გვაქვს საქმე. ეს ტენდერი „თბილქალაქგანათებამ“ მოიგო, რომელიც ამ მომსახურებას თბილისს, წლების განმავლობაში უწევდა. საგულისხმო ის არის, რომ ამ ტენდერში არც ერთი სხვა კომპანია არ მონაწილეობდა“.

**2013 წლიდან, იმ დაწესებულებებში, რომლებსაც თბილისის მერია აფინანსებდა, შრომითი ანაზღაურება 20%-ით გაიზრდება, რისთვისაც დედაქალაქის ბიუჯეტში 72 800 000 ლარია გამოყოფილი. თუმცა მამუკა ბალიაშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას დააზუსტა, რომ 50%-ით ხელფასი გაეზრდებათ საბავშვო ბაღების აღმზრდელებს. მისი თქმით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებსაც კი, რომელთა შემოსავალი თვეში 300 ლარს არ აჭარბებს, ხელფასი არ გაეზრდებათ:**

„რეალურად, თბილისის 2013 წლის ბიუჯეტში, ამხანაგობების გაძლიერებისა და კომუნალური მეურნეობების განვითარებისთვის საკმაოდ დიდი თანხებია გამოყოფილი. ეს ზუსტად ის პროექტებია, რაც ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ მდგრადობას სჭირდება. კორპუსის ამხანაგობის არც ერთი თავმჯდომარე არ მინახავს, რომელიც კორპუსის პრობლემის მოგვარებაზე იყო ორიენტირებული, სამაგიეროდ, ეს ხალხი საარჩევნო უბნებზე, სიებით ხელში მინახავს. სინამდვილეში, ყველაფერი ისევ არჩევნებსა და პოლიტიკურ მდგრადობასთან მიდის, რაც იმას ნიშნავს, რომ მართალია, ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები წააგო, მაგრამ ცდილობენ, ძალაუფლება თბილისის დონეზე მაინც შეინარჩუნონ. ასეა თუ ისე, არ მინდა, მოვლენები დრამატულად განვითარდეს, მინდა, გიგი უგულავამ თავისი უფლებამოსილების ვადა ჩაამთავროს და თვითმმართველობის არჩევნები კონსტიტუციურ ვადებში ჩატარდეს. თუმცა ჩაამთავრებს თუ არა გიგი უგულავა, ეს ჩვენზე, პოლიტიკოსებზე კი არა, თვითონ გიგი უგულავასა და ხალხის კეთილ ნებაზეა დამოკიდებულია “.

## ვერსიანიუსი

### საპარლამენტო უმცირესობა: „ხელისუფლებამ გამოაცხადა ბრძოლა წესების გარეშე“



საპარლამენტო უმცირესობა აცხადებს, რომ ხელისუფლებამ გამოაცხადა ბრძოლა წესების გარეშე, რის გამოც საპარლამენტო საქმიანობას წყვეტს და თბილისში ბრუნდება. დეპუტატთა ნაწილმა პარლამენტის შენობა უკვე დატოვა. უმცირესობის წევრებმა პარლამენტის შენობის დატოვებამდე სპეციალური განცხადება გააკეთეს.

უმცირესობის განცხადებით, რამდენიმე ისეთი მოვლენა მოხდა, რომელიც ახალი პოლიტიკური რეალობის დაწყებაზე მიუთითებს. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დაკითხვაზე დაბარება, ქუთაისში პრეზიდენტისა და ოპოზიციონერი დეპუტატების წინააღმდეგ მიმართული აქცია, რომელიც დაპირისპირებაში გადაიზარდა და ბოლოს, ნიკა გვარამიასა და ალექსანდრე ხეთაგურის დაპატიმრება.

**„ქვეყანა მიადგა ზღვარს, როცა მთავრდება დემოკრატია და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანების პოლიტიკური დევნა და განადგურება იწყება. ხელისუფლებამ გამოაცხადა ბრძოლა წესების გარეშე“,** — აცხადებს საპარლამენტო უმცირესობა.

საპარლამენტო უმცირესობა მიიჩნევს, რომ მათ საპარლამენტო დემოკრატიის ფასადური იერსახე არ უნდა შექმნან და მიზანშეწონილია, თუკი პარლამენტში საქმიანობას შეაჩერებენ.

ამ ეტაპზე უცნობია, რა ფორმითა და მეთოდებით გააგრძელებს უმცირესობა პოლიტიკურ საქმიანობას.

*„ჯი-ეჩ-ენი“*

### მცხეთის კულტურის ცენტრი დაიწვა

მცხეთაში, მცხეთის კულტურის ცენტრს ცეცხლი გაუჩნდა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა შენობა მთლიანად დაიწვა. ამ დრომდე უცნობია ხანძრის გამომწვევი მიზეზი. მიმდინარეობს გამოძიება.

ზარალის ოდენობას სპეციალური კომისია დაადგენს.

*„ჯი-ეჩ-ენი“*

### ბენგაზში აშშ-ს ელჩის დაღუპვის მიზეზი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის არასაკმარისი ყურადღება გახდა

2012 წლის სექტემბერში, ლიბიის ქალაქ ბენგაზში აშშ-ს ელჩისა და დიპლომატიური მისიის თანამშრომლების დაღუპვის მიზეზი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან უსაფრთხოების საკითხებისადმი არასაკმარისი ყურადღება გახდა.

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მოხსენების ავტორები, რომელიც ინციდენტის დამოუკიდებელი გამოძიების მასალებზე დაყრდნობით მომზადდა. გამოძიებას სპეციალური კომიტეტი აწარმოებდა, რომლის შედეგებიც აშშ-ს სახელმწიფო მდივანს, ჰილარი კლინტონს გადაეგზავნა. გამოძიების მასალები დახურულია და მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილი გამოქვეყნდა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა არ უზრუნველყო საკონსულო გამოცდილი მცველებით და ზედმეტი ნდობა გამოუცხადა დაცვის ადგილობრივ სამსახურს.

მოხსენების ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ აშშ-ს დაზვერვა არ ფლობდა ინფორმაციას საკონსულოზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ ბენგაზში აშშ-ს საკონსულოზე თავდასხმისას, 2012 წლის 11 სექტემბერს, აშშ-ს ელჩი კრისტოფერ სტივენსი, დიპმისიის ორი თანამშრომელი და ორი ყოფილი სპეცრაზმელი დაიღუპნენ.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

### ავღანეთში ქართული სამხედრო გაუჩინარდა



ავღანეთში ქართული სამშვიდობო კონტინგენტიდან ჯარისკაცი ჯერჯერობით გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 19 დეკემბერს, ავღანეთში ქართული სამშვიდობო კონტინგენტიდან ჯარისკაცი ჯერჯერობით გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა. მიმდინარეობს ქართველი სამხედროს „ძიება-გადარჩენის“ ოპერაცია, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების სარდლობა.

**„მომხდარის შესახებ ინფორმირებულია სამხედრო მოსამსახურის ოჯახი. ავღანეთში მყოფ ქართულ ქვედანაყოფებს მიღებული აქვთ უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები.**

**„ძიება-გადარჩენის“ ოპერაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ფაქტის შესახებ კონკრეტული დეტალები არ სახელდება“,** — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# „ოცნება“ „ოცნების“ წინააღმდეგ ცაგერში და ახალი გამგებლის საყვედური კოალიციას



ნინო კომახიძე
პოლიტიკა



**„ცივი ომი“ რაიონებში გრძელდება — თვითმმართველობების დასაკუთრებისთვის ერთმანეთს ხან „ოცნება“ და „ნაციონალები“, ხან „ოცნების“ ერთი და მეორე ნაწილი ებრძვის! ასე მოხდა ცაგერში, სადაც იმის მიუხედავად, რომ „ნაციონალების“ მაჟორიტარმა, სერგო ხაბულიანმა გაიმარჯვა, ხალხმა „ნაციონალი“ გამგებლის გაშვება მაინც მოისურვა და მის ნაცვლად, „ოცნების“ მაჟორიტარობის დამარცხებული კანდიდატი მამუკა ჩაჩხიანი დაინიშნა. თუმცა კოალიციის პოზიცია ცოტა უცნაური იყო — ჩაჩხიანის კანდიდატურას გამგებლის პოსტზე მხარი საკრებულოს „ნაციონალმა“ წევრებმა დაუჭირეს, „რესპუბლიკელებმა“ — არა, თავად ჩაჩხიანი კი ცაგერის ყოფილი მაჟორიტარის, ყოფილი „რესპუბლიკელის“, ამჟამად, პარტია „ქართული ოცნების“ სიით პარლამენტში გასული კარლო კოპალიანის პირად ინტერესებზეც ალაპარაკდა. აი, რას უამბობს „ვერსიას“ ახლადდანიშნული გამგებელი:**

## ვინ არის ბიძინა ივანიშვილის ძმის მეგობარი მამუკა ჩაჩხიანი და როგორ აპირებს ცაგერის მართვას „აბსურდის თეატრში“ მოხვედრილი გამომგონებელი

— ქალბატონი ბელა საღინაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე სტაჟიანი „რესპუბლიკელია“, მასთან პრობლემა არ გვაქვს. უბრალოდ, აქ გვყავს კარლო კოპალიანი, რომელიც იყო ცაგერის მაჟორიტარი და ახლა პარტიული სიით შევიდა პარლამენტში. იგი ძალიან ამბიციური კაცია, რაღაცები აწუხებს და რა აწუხებს, არ ვიცი. როგორც თვითონ ამბობს, თავად უნდა, რომ რაიონი დაალაგოს. ცაგერში მაჟორიტარად გავიდა სერგო ხაბულიანი, „ნაციონალებიდან“. ხაბულიანსა და კოპალიანს კი ერთმანეთი არ უყვართ და ამის გამო, ხაბულიანს უნდა, ცაგერში სადამსჯელო ექსპედიციასავით შემოვიდეს, ყველა დაიჭიროს, ჩამოახრჩოს... კოპალიანს კი სურს, ყველაფერი თავის გემოზე დაალაგოს და რაიონს თვითონ გაუძღვეს. მოკლედ, ცოტა ამპარტავანი კაცია. ამასობაში, ჩვენ საკრებულოს მივმართეთ, რომლის წევრებიც შეგნებული ხალხია და მათ ავუხსენით, რომ ჩხუბითა და უბედურებით კი არა, უმტკივნეულოდ სჯობდა ხელისუფლების გადაბარება. საკრებულოს ვადა 2014 წლამდე აქვს, მაგრამ გამგებელი აუცილებლად უნდა შეცვლილიყო.

**— თუმცა, მხარი საკუთარმა თანაგუნდელებმა არ დაგიჭირეს — მისი კანდიდატურა „ოცნებასთან“ არ იყო შეთანხმებულიო.**

— ეს აბსოლუტური აბსურდია. სინამდვილეში, კარლოს მომხრეებს გამგეობის კარის აჭედვა, ხალხის გამოყრა და მთელი რია-რია უნდოდათ. საკრებულოში კი, რომელიც, რა თქმა უნდა, 99% „ნაციონალებითაა“ დაკომპლექტებული, მიხვდნენ, რომ კოპალიანს იქ ძალით შესვლა უნდოდა, ამიტომ ორ უარესს შორის აირჩიეს უკეთესი — ანუ მე! აქ ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ქალბატონი ბელა, „რესპუბლიკელი“, ზუსტად ერთი კვირით ადრე, ამავე საკრებულომ აირჩია თავმჯდომარის მოადგილედ. ჰოდა, ჩემზე რომ ამბობს, „ნაციონალებმა“ აირჩიესო, აბა, ეგ ვინ აირჩია? თან, „ნაციონალები“ იმასაც ხომ ხედავენ, რა დაპირისპირებულია კოალიცია. ფიქრობენ, ისინი ცალკე არიან, ესენი — ცალკე, სხვადასხვა ფრაქციებს აკეთებენო. აქ, ფაქტობრივად, კოალიცია აღარც არსებობს!

**— მერე, თქვენი ეს კინკლაობა რაიონის განვითარებას ხელს არ შეუშლის?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერს შეუშლის ხელს! თქვენ არ იცით, რა ხდება გამგეობაში. ჯერ მარტო ერთ ადგილზე 30 კაცი მუშაობს და მისი ატირებული ნათესავები მოდიან, ნუ გაათავისუფლებთო. მოკლედ, ამ მარხვაში საშინელ დღეში ვარ. გარდა ამისა, ერთ, უბრალო მაგალითს გეტყვით — თავდაცვის სამინისტროს უზარმაზარი ბიუჯეტი აქვს, ამ დროს, კომისარიატი გამგეობას ეკუთვნის და მას დიდ ფულს უხდის — ეს ხომ აბსურდის თეატრია? 17 თანამშრომელი ჰყავთ კომისარიატში და სულ 10 წვევამდელი ჰყავს ცაგერს წელიწადში. რისთვის არჩენს გამგეობა კომისარიატს, როცა ის თავდაცვის სამინისტროს უწყება უნდა იყოს, არ მესმის. ახლა წარმოიდგინეთ, ისეთ კაბინეტში ვზივარ, სადაც არც ტელეფონი არსებობს, არც არაფერი!

**— აბა, თქვენამდე გამგებელი როგორ მუშაობდა?**

— რას მუშაობდა, რო? გამგეობა პარტიის დანამატია — აქ, უბრალოდ, შემოდის ფული, რომელიც მერე სოფლებში ნაწილდება. თუ ეს სისტემა თავში არ შეიცვალა, მე აქ რა უნდა შევცვალო? ჩათვალეთ, გამგეობაში ისე ვარ, ხელ-ფეხი რომ შეგიკრან და სადღაც დაგაგდონ! თუ კანონი არ შეიცვალა, ჩემს აქ ყოფნას არავითარი აზრი არ აქვს. ვინმეს გათავისუფლების უფლებაც კი არ მაქვს, თუ კრიმინალი არ არის. აი, სერგო ხაბულიანი მდიდარი კაცია და რაც გააკეთა, ვინ დაუშლის — შეაგროვა გაჭირვე-



ბულები და ფქვილი, კარაქი, შაქარი დაურიგა, ოღონდ ამორჩევით, მარტო თავის მხარდამჭერებს. სამწუხაროდ, ვერც მე და ვერ სხვებმა, სხვა რაიონებში, იმას ვერ მივაღწიეთ, რომ კოალიციას არჩევნების დროს დაპირებული თანხა გადაეხადა კოორდინატორებისთვის. წავაგეთ თუ მოვიგეთ, ხალხმა ხომ იბრძოლა? მაგრამ ფული ვერ მიიღო. თან, „ოცნება“ ამათ 100-120 ლარს დაპირდა, „ნაციონალების“ ხალხმა კი 500 ლარი მიიღო, მერე მაჟორიტარმა დაურიგა საახალწლოდ საკვები და ეს ყველაფერი მაშინ, როცა „ოცნებამ“ მოიგო, „ნაციონალებმა“ — წააგეს. ახლა ხომ წარმოგიდგენიათ, რაში მაქვს თავი გაყოფილი. მე არ ვიცი, რა ვქნა, როცა რაიონში სულ 8 000 კაცია და წარმომიდგენია, ბიძინა ივანიშვილი რა დღეში იქნება — მაგრად მეცოდება, როგორც კაცი კაცს!

**ბრალდებებზე პასუხის გაცემის საშუალება დეპუტატ კარლო კოპალიანსაც მივეცით, რომელიც არც დაპირისპირებული ჩანდა და არც — უკმაყოფილო. მეტიც, „ვერსიასთან“ საუბრისას ახალ გამგებელს გვერდით დგომასაც ეფიცება:** „მე მანდ გამგებლების დანიშვნასთან კავშირი არ მაქვს — არც თავში ვყოფილვარ, არც — შუაში. უკვე მეორედ ვარ პარლამენტის წევრი და თავში ეგეთი იდეები არასოდეს მომსვლია. თუ ჩემთან ვინმეს რამე პრეტენზია აქვს, გაზეთს კი არა, მე უნდა მითხრას! პირიქით, რაიონის ხელმძღვანელობას რამე თუ დასჭირდება, დავეხმარები, თორემ, მაგ ხალხთან სხვა საქმე არც მაქვს. მამუკა ჩაჩხიანთან, ანუ კოალიციის მიერ დანიშნულ გამგებელთან, არც პრეტენზია გამაჩნია. ახლაც, როგორც ყოველთვის, ნაციონალურ მოძრაობას ვებრძვი. ამ შემთხვევაში, ცაგერში „ნაციონალების“ კანდიდატმა, სერგო ხაბულიანმა გაიმარჯვა. ხალხს მანდატი ათასგვარი ხრიკით, დაშინებით, ტერორით მოპარა და ამაში ადგილობრივი ბიუჯეტის ფული, 1,5 მლნ ლარი დახარჯა. ის მანდატი, რომელსაც 4 წელი ველოლიავე, რომლის ყიდვას ჩემგანაც აპირებდნენ, დაშინებასაც ჰქონდა ადგილი და ყველა ამ ცდუნებას გავუძელი, ხაბულიანის წყალობით, დაიკარგა! ახლა, ცალკე ფრაქციაში რომ გადავიდა და ცხვარივით, თვალებს ნაბავს პარლამენტში, მაგას „ქართული ოცნება“ თავშესაფარი და ცოდვების მოსანანიებელი ადგილი ხომ არ ჰგონია? წავიდეს ეკლესიაში! ამ კაცს ვებრძოდი და მომავალშიც შევებრძოლები, ჩაჩხიანთან კი არაფერი მაქვს გასაყოფი, პირიქით, მას გვერდით დავუდგები!“

**მოკლედ, მამუკა ჩაჩხიანს ცაგერის პრობლემებთან გამკლავება ამ პოლიტიკურ აჯაფსანდალში უწევს. მართალია, ცოტა ხნის წინ იქადნებოდა, ნაციონალური მოძრაობა რაიონში 5%-საც ვერ აიღებსო, თავად დამარცხდა, იმის მიუხედავად, რომ მთიანი ლეჩხუმისთვის მეტად გამოსადეგი პროფესია აქვს — გამოცდილი სამთო ინჟინერია. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას „გვარდიელიცაა“, ღვინის ქარხნის ყოფილი მფლობელიც და რამდენიმე გამოგონების ავტორიც:** „10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 8 გამოგონება მაქვს. ჩემი გამოგონებები სამთო წარმოებას შეეხება — როცა მაღაროებში, სადაც ნახშირი და სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება, მიწისქვეშ ტექნიკა ვერ მუშაობს, მხოლოდ ხელის მანქანებია საჭირო. ჩემი გამოგონება იმაში მდგომარეობს, რომ ხელის მანქანების ძალიან დიდი, ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნებელი ვიბრაცია საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმამდე შეამციროს. ასეთი ტიპის სამუშაო პნევმონიას, სმენის დაქვეითებას, ხელის კანკალსა და სხვა უკურნებელ დაავადებებს იწვევს. სამთოელი ვარ და ვიცი, ეს რასაც ნიშნავს“, — ამბობს ახალი გამგებელი, რომელიც ამ რაიონში არც „ციდან ჩამოვარდნილა“ — მშობლების გარდაცვალების შემდეგ თბილისიდან ისევ ცაგერში გადასახლდა და დღეს რიგითი ცაგერელივით ცხოვრობს: „62 სოფელია ლეჩხუმში. კაცის გვარს რომ მეტყვით, თუ ჩასიძებული არ არის, ზუსტად ვიცი, ვინაა და რომელი სოფლიდან. ვიცი, რომელ სოფელში, რა ხილი მოდის, როგორი ვაზი ხარობს, აქაური კაცი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვსა და თბილისში დიდხანს ვცხოვრობდი, აქედან არასოდეს წავსულვარ“, — **აცხადებს მამუკა ჩაჩხიანი, ოღონდ, ერთი გულისტკივილი დღემდე აწუხებს — აფხაზეთის ომში ვერ წავიდა და ამასაც თავისი ახსნა აქვს:** „მეუღლე ტრაგიკულად დამეღუპა და ჩემი შვილები ძალიან პატარები, 3 და 1 წლისები დარჩნენ. ეს რომ არ მომხდარიყო, ომში აუცილებლად წავიდოდი“. **და კიდევ — თავის დროზე, „ოცნებიდან“ მისი მაჟორიტარობის კანდიდატად არჩევაში გადამწყვეტი როლი ბიძინა ივანიშვილის ძმასთან, ალექსანდრე ივანიშვილთან მეგობრობამ შეასრულა — ახლა საინტერესო ისაა, რა როლს შეასრულებს ცაგერის განვითარებაში ახლა უკვე გამგებლის პირადი კონტაქტები პრემიერ-მინისტრთან. ამ მეგობრობის დეტალებს კი მამუკა ჩაჩხიანი ასე იხსენებს:** „ბატონი ბიძინას უფროსი ძმა, ალექსანდრე ივანიშვილი მეღვინეა. ჩემი მეორე სპეციალობაც ესაა და თითქმის 15 წლის განმავლობაში, ღვინის ქარხნის დირექტორი ვიყავი. ეს ქარხანა „მხედრიონისა“ და შევარდნაძისგან გადავარჩინე, მაგრამ 2004 წელს „ნაცები“ მოვიდნენ, იქიდან გამოგვყარეს და ქარხანა ჯართში ჩააბარეს. მე და ალექსანდრეს ძალიან ახლო, თბილი, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ვიცოდი, რომ მის ძმაზე, ბიძინაზე ლეგენდებს ყვებოდნენ, მაგრამ სურათზეც კი არ მყავდა ნანახი. ალეკოს ვუთხარით, რომ ლეჩხუმელებს დიდი სურვილი გვქონდა, მის ძმას გვერდით დავდგომოდით. ასეც მოხდა და ზუსტად ვიცი, იმ ხალხს, ვინც ჩემთან ერთად გამარჯვებისთვის იბრძოდა, ახლა ჩემი იმედი აქვს“.



# „არავის კარის მომღერალი არ გავხდები!“

თამარ ლომსაძე

**ის „სანამ ჩვენამდე მოვიდა, ძალიან ბევრი იარა“... რუსეთი-საქართველო-რუსეთი — ასეთი გახლდათ სამშობლოში რამდენიმე დღით ჩამოსული თემურ თათარაშვილის მარშრუტი. 18 დეკემბერს ფილარმონიაში, ქართველი მაყურებლის წინაშე წარსდგა და ასე მოეფერა მონატრებულ ხალხს. თუმცა მანამდე, ბევრი რამ მოხდა მის ცხოვრებაში: იყო სკანდალური ისტორია ნარკოტიკებთან დაკავშირებით, ციხეში გატარებული 16 თვე, ექვსწლიანი განშორება ოჯახთან და არაერთი გულისტკენა, რომელიც ორად გაყოფილი საზოგადოებისა და მოღალატედ შერაცხვის მიუხედავად, მსმენელის სიყვარულმა და ნოსტალგიამ გადაფარა. „ჩემი მეგობრები სცენაზე, სიმღერებით მეფერობდნენ“, — ასე შეაფასა საკუთარი კონცერტი თემურ თათარაშვილმა, რომელმაც „ვერსიასთან“ საუბარი პატრიარქთან შეხვედრით დაიწყო:**



## როგორ სთხოვა პატრიარქმა საქართველოში დაბრუნება და ვისთან არ აპირებს საქმის გარჩევას თემურ თათარაშვილი

— უბედნიერესი ადამიანი ვარ, პატრიარქთან შეხვედრის საშუალება რომ მომეცა. საათზე მეტხანს ვიყავი მასთან. ვისაუბრეთ. მთხოვა, მემღერა და ძალიან ავღელდი, დავიბენი იმიტომ, რომ დიდი ხანია, ფორტეპიანოზე არ დამიკრავს, თუმცა უარს როგორ ვეტყოდი? ვიმღერე, დამლოცა და ბოლოს მითხრა — აუცილებლად უნდა დაბრუნდე საქართველოშიო.

**— აპირებთ დაბრუნებას? მით უმეტეს, რუსეთში უკეთეს ცხოვრებას მიეჩვიეთ. არ გაგიჭირდებათ იმ ყველაფრის დათმობა?**

— მინდა, რომ აქ უკეთესი ცხოვრება იყოს, ვიდრე — იქ. საქართველოა ჩემი სამშობლო და არა — რუსეთი. აქ ჩემი შვილი, შვილიშვილი, მეუღლე, დედა... ჩემი ოჯახი ცხოვრობს და მეც მათთან ერთად ცხოვრება მინდა. აქამდე, „სკაიპით“ ვკონტაქტობდით და ბედნიერი ვარ, რომ ახლა ჩამოსვლის საშუალება მომეცა. როგორც იქნა, ჩემი შვილიშვილი გავიცანი, რომელიც ხან ბაბუს მეძახის და ხან — თემურს... თუ ხასიათზეა, მეფერება, თუ არა — ახლოსაც არ მიკარებს... ძალიან საყვარელი ვინმეა.

**— აქამდე ვინ გიშლიდათ საქართველოში ჩამოსვლას?**

— არ გვიშვებდნენ აქ და რა უნდა გვექნა? გამაგებინეთ, სოსო პავლიაშვილი თავისიანებს რატომ უნდა ხვდებოდეს ერევანში? სხვათა შორის, „ფეისბუქზე“ ჩემს უახლოეს მეგობრად რომ მივიჩნევდი, იმ ადამიანს დაუწერია — გამაგებინეთ, ვინ ბლოკავდა თათარაშვილს, სულ გაუფრენია ამ ბიჭსო...

**— ისიც ითქვა, თათარაშვილს „კონცერტზე იაღლიში მოუვიდაო“...**

— დაიწერა. არ უარვყოფ... საქმე ის გახლავთ, რომ რატომღაც მეგონა, ემოციურად მზად ვიყავი ამ კონცერტისთვის, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. პირველი სიმღერა ვერ ვიმღერე, მეორეზე ცრემლი წამომივიდა და მეგონა, რომ კონცერტს ვეღარ გავაგრძელებდი. დრო დამჭირდა, რომ თავი ამეყვანა ხელში. საერთოდ ამერია პროგრამა, ყველა ლამის გავაგიჟე. კიდევ კარგი, მომღერლები კულისებში იდგნენ და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ კონცერტს კარგად ჩაევლო.

**— ამდენწლიანი განშორების შემდეგ, როგორი დაგხვდათ თბილისი?**

— სხვანაირია ქართველი ერი... რაც შეეხება ქალაქს, ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია ისაა, რომ ახალ გზებზე დავიკარგე. მარჯანიშვილზე მივდიოდი და ვაკეში აღმოვჩნდი.

**— სამაგიეროდ, მოსკოვში არ „იკარგებით“, არა?**

— იქ ექვსი წელია ვცხოვრობ. ვმუშაობდი სხვადასხვა ადგილებში, ვმღეროდი რესტორნებში... თავიდან ძალიან გამიჭირდა. რომ არა ჩემი მეგობრები, ალბათ ამ ყველაფერს ვერ გადავიტანდი.



**„ციხიდან რომ გამოვედი, კახუჩელამ მითხრა, ჩვენ სადაც მოგვინდება, იქ იმღერებო... ამიტომ წავედი მოსკოვში. კახუჩელას გადასაწყვეტი არ უნდა ყოფილიყო, სად ემღერა თემურ თათარაშვილს. ჯერ ჩემამდე მოვიდნენ ეგენი და მერე ითვალონ ფული!“**

**— ახლა რას საქმიანობთ?**

— ახლა, ერთ-ერთი უდიდესი რესტორნის გენერალური დირექტორი ვარ. იცით, ამას წინათ, ერთმა მეგობარმა, რომელიც ეგვიპტეში ცხოვრობს, მომწერა, ძალიან მენანები, კაფეში რომ მღერიო... ხმა არ ამომიღია, ისე გავუგზავნე ამ რესტორნის სურათები და ვუთხარი, ეს თუ კაფეა, მაშინ რესტორანი რაღას ჰქვია-მეთქი. იმის ბრალიც არაა, ასე მიწერეს თბილისიდან, თათარაშვილი კაფე „ხინკალნაიაში“ მღერისო. არადა, ეს უბრალოდ, კაფეების ქსელია, რომელსაც ორი უდიდესი რესტორანი აქვს და ერთი მათგანის გენდირექტორი ვარ. ისე, ჩემი მეგობრები იცინიან, ასეთ ფეშენებელურ რესტორანს „ხინკალნაია“ რომ ჰქვია.

**— ალბათ, ამიტომაც ამბობდნენ, თათარაშვილს აქეთ გამოხედვაც არ უნდაო...**

— რას ჰქვია, „გამოხედვა არ მინდა“? ესაა ჩემი სამშობლო. აგვისტოს ომის დროს, რუსეთში მყოფი ყველა ქართველი საშინელ დღეში ვიყავით. ინფორმაცია ნაკლებად გვქონდა და ლამის გავგიჟდით. თუნდაც ახლა, ჩემს კონცერტზე, ქართველი მსმენელის წინაშე რომ გამოვედი, ცრემლებმა დამახრჩო. ასე რომ, მოსკოვში სიკვდილს ნამდვილად არ ვაპირებ. ბოროტმა ენებმა კი, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. კი, ბატონო, დაწერონ, რომ „იაღლიში მომივიდა“, არაა პრობლემა. მე ნამდვილად არ ვარ ის მომღერალი, რომელიც პლუსზე მღერის. ჩემს კონცერტზე ყველაფერი ბუნებრივი იყო და არა — ყალბი. ახლა რაც უნდათ, ის დაწერონ...

**— თუნდაც ის, რომ თემურ თათარაშვილი მოღალატეა და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო?**

— მე მოღალატედ გამომაცხადეს ჩემმა კოლეგებმა. ასე ჰქვიათ, თორემ მათ კოლეგებად ნამდვილად არ მივიჩნევ. ასე რომ ვიფიქრო, ჯერ მომღერლებად უნდა ჩამოყალიბდნენ. ჩემ მეგობრებს არაერთი ასეთი ბოროტი ადამიანის მოგერიება მოუწიათ. ახლა არ დავაკონკრეტებ, ვისზე მაქვს საუბარი. გამგები გაიგებს.

**— პირადად, რა მოიმოქმედეთ მათ დასაშოშმინებლად?**

— არაფერი. ენას ძვალი არ აქვს. რა უნდა გამეკეთებინა? მოქალაქეობა რომ მივიღე, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. თუ მოქალაქე არ ხარ, ვერაფერს გააკეთებ. ვერ იმუშავებ, საჭესაც კი ვერ მართავ, ამიტომ გავხდი იძულებული, ეს ნაბიჯი გადამედგა. სხვათა შორის, როცა ჟურნალისტები ჩემთან კომენტარისთვის მოვიდნენ, მათაც იგივე ვუთხარი და ჩემი გეგმების შესახებაც ვესაუბრე — რომ ვაპირებდი პრეზიდენტისთვის მიმემართა, რათა ორმაგი მოქალაქეობა მიმეღო. ტელევიზიით კი, რადიკალურად განსხვავებული სიუჟეტი გავიდა. მთელი აქცენტი ჩემს ხელებზე იყო გადატანილი, ვერ გავიგე, რა აინტერესებდათ... ალბათ ის, „ვკაიფობდი“ თუ არა. არადა, მაქსიმალურად მშვიდობიანი კომენტარი გავაკეთე იმიტომ, რომ აღარ მინდოდა ომი. არც არასოდეს მიომია ვინმესთან.

*დასასრული მე-12 გვერდზე*

## facebook NEWS



***ნინო ასათიანი***

კარავი გაშლილია ალექსანდროვის ბაღში, ქაშუეთის უკან. კეთილი ადამიანების წყალობით, დავდგით შეშის ღუმელი და გვაქვს ცოტა შეშა, ცოტა თბილი ტანსაცმელიც მოგროვდა და ჭურჭელი. საჭიროა ინფორმაციის გავრცელება, რომ ის ხალხი მოვიდეს, ვისაც ასეთი თავშესაფარი ესაჭიროება. ასევე გვჭირდება „ლეჟანკები“. დღეისთვის კარავში ღამეს ათევს 3 ადამიანი, მათ შორის ერთ-ერთი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი, რომელიც ეტლით გადაადგილდება. ძალიან გთხოვთ, ხვალ დილიდან კვლავ გავერთიანდეთ ადამიანების დასახმარებლად, გკოცნით, გეხვევით :***

## facebook NEWS



***ფოტოები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო***

1998 წლის 14 ოქტომბერს, ერთ-ერთ საკონტინენტთაშორისო ავიალაინერის ბორტზე, ერთმა ქალმა, რომელიც სალონში შავკანიანი მამაკაცის გვერდით მოხვდა, სტიუარდს მოთხოვა, მისთვის სხვა ადგილი გამოენახათ. ის ისე აშკარად გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას თანამგზავრის კანის ფერის გამო, რომ დანარჩენი მგზავრები, გაოცებულები და თან, ცოტა არ იყოს, შეწუხებულნი იყვნენ მისი საქციელით სტიუარდმა ქალს უთხრა:

— თვითმფრინავი სავსეა, მაგრამ ვნახავ, იქნებ ბიზნეს-კლასში არის ადგილი. — ამან მთლად აღაშფოთა მგზავრები. „ის არ იყო საკმარისი, რომ ქალი ასე უტაქტოდ იქცეოდა? ახლა კიდევ ბიზნეს-კლასით გააგრძელებს ფრენას“, – ფიქრობდნენ ისინი. შავკანიანი მამაკაცი, რომელიც საკმაოდ უხერხულ და დამამცირებელ სიტუაციაში აღმოჩნდა, თავჩაღუნული იჯდა და ხმას არ იღებდა. ქალი, დარწმუნდა რა, რომ ცოტა ხნის მერე, არ მოუწევდა ამ კაცის გვერდით ჯდომა და თანაც ფრენას ბიზნეს-კლასით გააგრძელებდა, კმაყოფილი სახით, მოუთმენლად ელოდა სტიუარდის დაბრუნებას. რამოდენიმე წუთის მერე ის დაბრუნდა და ქალს მიმართა:

— მაპატიეთ, რომ შევყოვნდი. ვიშოვე ერთი ადგილი ბიზნეს-კლასში, ამან ცოტა დრო წამართვა, თანაც კაპიტნისგან უნდა მიმეღო ნებართვა ადგილის შეცვლაზე. მან მითხრა, რომ – „არ შეიძლება, ვინმე ვაიძულოთ, იჯდეს იმის გვერდით, ვინც პრობლემებს უქმნის“ – და მომცა ნებართვა. ქალმა ტრიუმფატორის სახით გადახედა სხვა მგზავრებს და ის ის იყო, წამოიწია ასადგომად, რომ სტიუარდი მიუბრუნდა შავკანიან მამაკაცს და უთხრა:



— მისტერ, გთხოვთ გამომყვეთ, მე მიგაცილებთ თქვენს ახალ ადგილამდე ბიზნეს-კლასში. კაპიტანი ბოდიშს გიხდით ჩვენი ავიაკომპანიის სახელით, რომ თქვენ მოგიწიათ იმ ადამიანის გვერდით ჯდომა, ვინც შექმნა ასეთი არასასიამოვნო სიტუაცია.

ყველა მგზავრი, ერთხმად, აპლოდისმენტებით მიესალმა ავიალაინერის პერსონალის გადაწყვეტილებას, ასეთი გზით მოეგვარებინათ პრობლემა. იმ წელს ავიაკომპანიის ხელმძღვანელობამ კაპიტანი და სტიუარდი პრემიებით დააჯილდოვა, ხოლო კომპანიის პერსონალისთვის, ყველა ოფისში, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოაკრეს შემდეგი ფრაზა: **„ადამიანებს შეუძლიათ დაივიწყონ ის, რაც მათ უთხარით; ადამიანებს შეუძლიათ დაივიწყონ ის, რაც მათ გაუკეთეთ, მაგრამ ადამიანები ვერასდროს ვერ დაივიწყებენ იმას, თუ როგორ იგრძნეს მათ თავი თქვენი სიტყვებისგან და თქვენი საქციელისგან“.**

# facebook NEWS



*ელისო ჩაფიძე*

ჩვენს პატრიარქს ილია II-ს უკვე 13 021 ნათლული ჰყავს.



# facebook NEWS



**ცირა გოდერძიშვილი**

მივმართავ საპარლამენტო უმრავლესობას, კოალიცია „ქართულ ოცნებას“, დაპირება უნდა შესრულდეს და ყველა პატიმარს და მუხლებს, ვისაც ამნისტია არ ეხებოდა, ¼-ით უნდა შემცირებოდა სასჯელი!!!!! ნუ დაგავიწყდათ წამების კადრები და რეალობა, რომ იყო წამება, არაადამიანური მოპყრობა და შერჩევითი სამართალი!

როგორ დაავიწყდათ ზოგიერთ პარლამენტარს — უკანონო განაჩენები, უსამართლო სასამართლოები, ნაწამები, გაუბედურებული პატიმრები, იმ ნაწამები პატიმრების დამსახურებაა ზოგიერთი პარლამენტარის პარლამენტში, ხალხის სამსახურში ყოფნა. ესე მალე გავიწყდებათ წამება და არაადამიანური მოპყრობა, ადეიშვილ-კუბლაშვილის შერჩევითი სამართალი???? ნუთუ ყოველ დღე უნდა უყურონ ამ კადრებს, რომ შეიცოდოთ პატიმრები 1/4-ით მაინც????? ეს ხომ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ბატონმა ბიძინამ თქვა — ყველას შეეხოს ამნისტიაო??? მათ ხომ არ შეგხებიათ წამება და არაადამიანური მოპყრობა, მათ ახლობლებს არ შეხებიათ წამების შემდგომ ფსიქიკური აშლილობა, ხალხი იმედით შემოჰყურებს პარლამენტს, იმედით ელოდება ამნისტიას, რომ ყოველ მუხლს შეახონ, ნაწამები, გაუბედურებული, დამცირებული ბიჭები ჰუმანურობას, სამართლიანობას ელიან!!! რამ გაუყინა გული ზოგიერთს...

ამ ნაწამებ, ფსიქიკაშერყეულ, დამცირებულ პატიმრებს ნუთუ არ ეკუთვნით ამდენი წამების შემდგომ, ზოგიერთი პარლამენტარის მხრიდან 1/4-ით მაინც მხარდაჭერა? იცით, რამდენია მათ შორის უდანაშაულო, ადეიშვილის მიერ შეკერილი ბრალდებებით!!! ამ წამების შემდგომ 1/4 კი არა 1/3-ით უნდა დახმარებოდით, მაგრამ ზოგიერთს აღარ აინტერესებს ხალხის წამება - ე.ი. მაშინ აღარ ყოფილა დამნაშავე ის რეჟიმი? სამ თვეში დაავიწყდა ზოგიერთს, რომ ამ ნაწამები ბიჭების კადრებმა ითამაშა დიდი როლი, ნუთუ ღმერთი არ სწამს ზოგიერთს, რომელ სამართალზე ლაპარაკობს და მუხლებზე????? თქვენ ხომ არ გადაგიტანიათ არც თქვენს ოჯახის წევრს ეს დამცირება, წამება, არაადამიანური მოპყრობააააააააა??????? ეს გასაცოდავებული პატიმრები ელოდებიან იმედით თქვენს ჰუმანურობას, გაიხსენეთ, თქვენი თავი 1 წუთით წარმოიდგინეთ მათ ადგილას, რატომ გაწირეთთთთთთთთთთთთთთთ.

ამნისტია ყველა მუხლს უნდა შეეხოს ნაწამებ გაუბედურებულ ბიჭებს, რომლებმაც ჯოჯოხეთი გამოიარეს!!!! ნუ დაგავიწყდებათ კრიმინალური რეჟიმის დროს წამება, ისინი ხომ დაავადებულნი, ფსიქიკაშერყეულნი არიან, ამ ჯოჯოხეთს, რომც გამოუშვათ, ვერაფერი დაავიწყებთ! თქვენ კი ნაწამები ბიჭებისთვის 1/4-ი არ გემეტებათ? წარმოიდგინეთ თქვენი თავი მათ ადგილას ერთი წუთით.

# facebook NEWS






**ჩვენ გვიხარია ცხოვრება**

**ექსკლუზივი**

# „არავის კარის მომღერალი არ გავხდები!“

## როდის სთხოვა პატრიარქმა საქართველოში დაბრუნება და ვისთან არ აპირებს საქმის გარჩევას თემურ თათარაშვილი



*მე-11 გვერდიდან*

**— შესაძლოა, არ გიომიათ, მაგრამ თქვენმა დაპატიმრებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.**

— სწორედ იმიტომ არ ჩამოვდიოდი საქართველოში, რომ კიდევ რამე არ მომხდარიყო.

მოგეხსენებათ, ციხეში 16 თვე ვიჯექი და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ბევრი მეგობარი დავკარგე. ცოტა გასაკვირია, მაგრამ გოგონები, ჩემი კოლეგები უფრო დამიდგნენ გვერდში და მთელი ის პერიოდი, ერთი დღეც არ მიუტოვებივარ. რაც შეეხება ბიჭებს, ყველა დაიკარგა, სოსო პავლიაშვილის გარდა... და კიდევ ერთი — ციხიდან რომ გამოვედი, დამირეკა დათო გომართელმა და მითხრა: კვირაში ერთხელ ჩემს კლუბში უნდა იმღეროო. ამის გამო, ძალიან მადლიერი ვარ მისი.

**— პატიმრობის 16 თვე ადვილი ასატანი არ არის...**

— ძალიან ცუდია ციხე... სხვათა შორის, ციხის კადრები რომ გავრცელდა, იქ რამდენიმე ადამიანი ვიცანი და ძალიან გამიკვირდა, ასე რომ ექცეოდნენ პატიმრებს. ალბათ, ვიღაცის ბრძანებას ასრულებდნენ. მე არავის ვუცემივარ. სოდ-შიც კი მსგავსი არაფერი მომხდარა, თუმცა საკმაოდ ბევრი მუქარის მოსმენამ მომიწია — დანაშაული აღიარე, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენს შვილს ჩანთაში და შენს ცოლს მანქანაში აღმოაჩნდება ნარკოტიკიო.

ციხეში რომ მიმიყვანეს, ერთ-ერთი ბადრაგი მივიდა ციხის უფროსთან და რაღაც ჩასჩურჩულა. შემდეგ უფროსის კაბინეტში ამიყვანეს, ყავა შემომთავაზეს... მოგვიანებით გავიგე, რომ ახალი პატიმარი უნდა შემოეყვანათ და წესი ჰქონიათ ასეთი — ახალს ყოველთვის სცემენ. მე რომ არ მენახა ეს ყველაფერი, ამიტომ გამარიდეს იქაურობას.

პატიმრებს რაც შეეხება, იქ ძველი ბიჭი, კაი ბიჭი, ცუდი ბიჭი არ არსებობდა, ყველა ძალიან კარგად იყო ჩემ მიმართ განწყობილი, გამოსვლის მომენტი მახსოვს, მთელი ციხე რომ ყვიროდა, თემო გილოცავთო. სხვათა შორის, ვერც ბადრაგებზე ვიტყვი ცუდს და ამიტომ მიჭირს საუბარი... ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ყელის სამკურნალო წამალი არ მქონდა, ამიტომაც დავკარგე ხმა და ოპერაცია დამჭირდა. სხვა მხრივ კი, რა გითხრათ... ძალიან გამიჭირდა იქაურ სიტუაციასთან შეგუება, ერთი თვე, ფაქტობრივად, საჭმელი არ მიჭამია. მახსოვს, ერთხელ ბადრაგმა ჩაილაპარაკა — რას დამსგავსებიაო...

**— ფიქრობთ, დაუმსახურებლად იხდიდით სასჯელს?**

— იმ დილას, სანამ დამიჭერდნენ, 11-12 საათისთვის კანცელარიიდან დამირეკეს და მითხრეს, რიყეზე რთველია, შენ, ოლიმპიელებმა და მიხეილ სააკაშვილმა დიდ საწნახელში ყურძენი უნდა დაწუროთ და ამიტომ, სამ საათზე უნდა მოხვიდეო. უარი ვუთხარი და ტელეფონი გავთიშე...

**— უარი რატომ თქვით?**

— ...არ მინდოდა. მე არასოდეს გავხდებოდი ვიღაცის კარის მომღერალი. სამ საათზე არ მივედი და 4-ს თხუთმეტი წუთი აკლდა, რომ დამაკავეს. ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი ჩემთან რომ შემოვიდა, ასეთი რამ მითხრა — შენ რომ დაგაკავეს, ადეიშვილის კაბინეტში ვიჯექი. დაურეკეს და მოახსენეს, რომ დაპატიმრებული ხარო. ეს უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. გენპროკურორს, ჩვეულებრივი მომღერლის დაკავებას არ მოახსენებდნენ. ამის შემდეგ, ყავლაშვილმა მითხრა: არაფერი გეშველება, ადეიშვილის მაგიდაზე დევს სატელეფონო ჩანაწერი, სადაც ამბობ, რომ მიშას გვერდით არ დადგები და ამიტომ ბრალის საკუთარ თავზე აღება მოგიწევსო.

**— მანამდე არასოდეს დაგიფიქსირებიათ თქვენი პოზიცია?**

— პოლიტიკიდან ყოველთვის შორს ვიყავი. ერთადერთხელ მივედი „ვარდების რევოლუციის“ აქციაზე, ხალხს მოვულოცე გიორგობა და ვუთხარი, მიხარია, ყველაფერი ასე მშვიდობიანად რომ მიმდინარეობს-მეთქი... სულ ეს იყო, თორემ პოლიტიკაში არასოდეს ჩაურეულვარ, არ ვიცი, რა არის პოლიტიკა დაიჯერა თქვენი უდანაშაულობა, სხვათა შორის, შოუბიზნესის წარმომადგენლებიც ეთანხმებოდნენ.

— არ სჯეროდა იმას, ვისაც არ უნდოდა ჩემი გარეთ ყოფნა. რა ვქნა, არავისთან არაფრის გარკვევას არ ვაპირებ. აბსოლუტურად გარკვეული მაქვს, ვინაა ჩემი მეგობარი და ვინ — არა... ვისაც არ ვუნდივარ, კარგად იყოს, მე მათი მხოლოდ კარგი გამიხარდება და ცუდი, გულწრფელად მეწყინება იმიტომ, რომ ოდესღაც, ისინი ჩემი ახლო მეგობრები იყვნენ. ლელა წურწუმია დღესაც ძალიან მიყვარს, მაგრამ არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. რაღაც სულელური ენების გამო, გაუგებრობა მოხდა. ვიღაცას უნდოდა, რომ მე და ლელას გვეჩხუბა და ვიჩხუბეთ... თორემ ციხიდან რომ გამოვედი, სანამ რუსეთში წავიდოდი, გვერდიდან არ მომშორებია. მერე მოხდა რაღაც, ახლაც მიყვარს, მაგრამ დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა, რა ვქნა. მან არ მოისურვა, ჩემთვის დაერეკა და თუ დამნაშავე ვიყავი, ეთქვა: ეს რატომ თქვი, შე იდიოტოო? მან პირდაპირ დამკარგა, ვიღაცის ენის გამო, ვიღაცებმა ისეირეს და მორჩა! ამიტომაც ვამბობ, ვისაც ვუნდივარ, ძალიან კარგი, ვისაც არა და,



და არც მინდა, ვიცოდე.

**— არავის კარის მომღერალი არ გავხდებიო, თქვით. რა იგულისხმეთ?**

— რა და, ვინც მათიანი იყო, იმ მომღერლებს უდიდესი „სტავკები“ ჰქონდათ, სხვები კი მშივრები იყვნენ. ციხიდან რომ გამოვედი, კახუჩელამ ასეთი რამ მითხრა — ჩვენ სადაც მოგვინდება, იქ იმღერებო... სწორედ ამიტომ წავედი მოსკოვში. კახუჩელას გადასაწყვეტი არ უნდა ყოფილიყო, სად ემღერა თემურ თათარაშვილს და სად — არა. ზუსტად ვიცოდი, რომ ვეღარ ვიქნებოდი ის თემური, რადგან ეს „სასტავი“ წყვეტდა, ვინ გამოვიდოდა კონცერტზე, ვინ — არა, ვის გადაუხდიდნენ სიმღერაში ხუთი ათას დოლარს და ვის — 100 ლარს. ბოდიში, მაგრამ, ჯერ ჩემამდე მოვიდნენ ეგენი და მერე ითვალონ ფული.

**— ახლა აღარ გადაწყვეტს „ეს სასტავი“, ვინ სად უნდა იმღეროს?**

— არა მგონია, ასე იყოს. იმედია, ყველაფერი შეიცვლება. ის დრო უკვე ჩაბარდა წარსულს. ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ვინაა სცენაზე დგომისა და მათი სიყვარულის ღირსი და ვინ — არა. ისინი ვეღარაფერს გადაწყვეტენ, რა. ამისთვის არ უბრძოლია ამდენ ხალხს.

**— ამ ხალხმა, თავის დროზე, დიდად არ** საქმის გარჩევას ნამდვილად არ ვაპირებ, არც მაინტერესებს. მე ვარ ბედნიერი, რომ ჩემი ოჯახი ვნახე, ჩემი შვილიშვილი, მაქვს არაჩვეულებრივი სამსახური, ახლა ბინასაც ვიყიდი და ვისაც უნდა, შეუძლია, გულზე გასკდეს.

**— სხვათა შორის, მსმენელი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ ცოტა იმღერეთ.**

— 18 სიმღერა შევასრულე... არაფრით არ შეიძლება, მსმენელი დაღალო. პირიქით, შენი მოსმენის სურვილი უნდა დარჩეს და როდესაც მსმენელთან გულწრფელი ხარ, ის პატარ-პატარა შეცდომებსაც გპატიობს. არც მე დამიმალავს ჩემი ემოციები. რაც სცენაზე ხდებოდა, ყველაფერს ვამბობდი. ბევრი სისულელე ვილაპარაკე. რამდენჯერმე გავიმეორე, რომ დავიბენი...

**— და მაგიტომაც თქვეს, არცთუ კარგი კონცერტი იყო.**

— რა ვქნა ახლა. დაწერონ და თქვან, რაც მოესურვებათ, მე კი ჩემს მსმენელსა და სრულიად საქართველოს, თქვენი გაზეთის საშუალებით, დამდეგ შობა-ახალ წელს მივულოცავ და ვისურვებ, 2013 წელს საქართველო ისეთი ქვეყანა გამხდარიყოს, რომ თუკი სადმე ქართველი ცხოვრობს, ყველა სამშობლოში დაბრუნდეს.

# ხმაურიანი სხდომა საკრებულოში — მძღოლები და მეტროს მემანქანეები ხელმძღვანელობასთან ვერ შეთანხმდნენ



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

თბილისის საკრებულოში უმცირესობის ფრაქციის სხდომა, რომელსაც თბილისის ავტობუსის მძღოლები, მეტროს თანამშრომლები და მერიის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელობა ესწრებოდა, ხმაურით დაიწყო. საკრებულოს უმცირესობამ, სიტუაციის გასარკვევად, სიტყვა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორს, **ლევან კოპლატაძეს** მისცა, რომელმაც განმარტა რომ: **„მძღოლებთან, ხელფასებთან დაკავშირებით ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას. თბილისის სატრანსპორტო კომპანიას ხელფასებისთვის ბიუჯეტი 2013 წელს 9 600 000 ლარით გაეზარდა. მძღოლების ნაწილი აცხადებს, რომ ხელფასების 20%-იანი მატება არასაკმარისია. ე.წ. პატარა ბოგდანის მძღოლებს ხელფასი 20%-ით ემატებათ. მათ საათობრივი ანაზღაურება აქვთ და ნაცვლად 5,28 ლარისა, 6,34 ლარს აიღებენ. დიდი ბოგდანის მძღოლებს შეეხება 18%-იანი მატება. ისინი საათობრივად, 6,34-ის ნაცვლად, 7,46 ლარს აიღებენ. პროფკავშირების წინადადება იყო, რომ მაღალხელფასიანს მოემატოს შედარებით ნაკლები პროცენტიო. თუმცა მძღოლები მეტს ითხოვენ“.**

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა, **აკაკი ჯოხაძემ** შეახსენა მძღოლებს რომ: **„სატრანსპორტო კომპანიაში უფრო მაღალი ხელფასებია, ვიდრე სხვა შპს-ში. თუმცა გადავწყვიტეთ, დავაკლოთ თანხა რაღაც პროექტებს და სახელფასო ფონდებს დავუმატოთ“.**

მიუხედავად იმისა, რომ მძღოლებს ხელფასის მატების შესახებ ამცნეს, მათ მაინც უკმაყოფილება გამოხატეს ხელმძღვანელობის მიმართ. სხდომა ხმაურიან კამათში გადაიზარდა. ავტობუსის მძღოლმა **ფირუზ ლომიძემ** განაცხადა: **„500-დან 800 ლარამდე გვაქვს ხელფასი პატარა ავტობუსების მძღოლებს. ლევან კოპლატაძე კი აცხადებს, რომ ხელფასი 800-დან 1200 ლარამდეა. მე რომ ამხელა ხელფასი მქონოდა, აქ არ მოვიდოდი. მას წამოსცდა გარაჟში, მძღოლებს კოლონიის უფროსის ოდენ ხელფასს ვერ მივცემო. ჩვენი იდეაა, ვისაც 1200 ლარის ზემოთ აქვს ხელფასი, მათ არ უნდა მოემატოს და ის თანხა, დაბალხელფასიან მძღოლებზე გადანაწილდეს“.**

კოლეგას სიტყვა **მალხაზ ბარამაძემ** გააწყვეტინა, რომელმაც თქვა: **„სატრანსპორტო კომპანიაში ხელფასები 3 კატეგორიადაა დაყოფილი: 550-დან 800 ლარამდე, 800-დან 1200 ლარამდე, 1200-დან 1650 ლარამდე. ჩვენ გავდივართ 550-დან 800 ლარამდე კატეგორიაში. ჩვენ ვმსჯელობთ მარტივად. იმის მიხედვით, სახლში რა მიგვაქვს — ჯარიმებით, ეს ხელფასიც გვაკლდება. ამას ემატება საშემოსავლო გადასახადი 21%; აკლდება სალაროს გაფუჭების გამო გაცდენილი სამუშაო საათების რაოდენობა და საბოლოო ჯამში, 500 ლარს ვიღებთ. ზოგჯერ — მაგდენსაც ვერა“.**

მძღოლების საყვედურზე **ლევან კოპლატაძეს** ასეთი პასუხი ჰქონდა: **„სიცრუეა, როცა ისინი ამბობენ, თითქოს ხელფასი 500 ლარი აქვთ. ჩვენ გვყავს 1300 მძღოლი, ნაწილმა გამოიმუშავა 500 ლარი, ნაწილმა 800 და ნაწილმა 1300. მძღოლები იღებენ იმ ხელფასს, რასაც გამოიმუშავებენ“.**

სატრანსპორტო კომპანიაში შექმნილ პრობლემებს მეტროს პროფკავშირების თავმჯდომარე **ბესო ხარატიშვილიც** შეუერთდა. მან განაცხადა: **„ლევან კოპლატაძე შეხვედრების დროს მძღოლების პირად შეურაცხყოფაზე გადადის. ვერ დამისახელებს ტრანსპორტის სამსახური ვერც ერთ შემთხვევას, სადაც მძღოლებს ხელფასი ისე მომატებოდათ, რომ არ გაფიცულიყვნენ. 2008 წლიდან 2012 წლის ივლისამდე წარმოებაში ერთი ლარიც კი არ მომატებია არც ერთ დაბალ ფენას. ამ დროს ადმინისტრაციულ ერთეულში ხელფასების მატება 25%-ია“.**

**ლევან კოპლატაძეს** ამაზეც ჰქონდა პასუხი: **„1764 ადამიანია, ვინც მავნე პირობებში მუშაობს. მათთვის შევქმენით კომისია. 1 იანვრიდან, მათ, ვინც მძიმე პირობებში მუშაობს, თვეში 50 ლარი, ხოლო მათ, ვინც მავნე პირობებში მუშაობს, თვეში 38 ლარი მოემატება“.**

სხდომა კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც უმცირესობის წევრის, გულიკო ზუმბაძის თანაშემწემ განაცხადა, რომ მეტროს მემანქანე მელიაშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს 26 მაისის მოვლენებში მონაწილეობისთვის. მან მელიაშვილის ცემის ფოტოც წარადგინა. სადგურის უფროსმა ემზარ როგაძემ კი განაცხადა, რომ ამ მოტივით 3 ადამიანია სამსახურიდან დათხოვილი.

ლევან კოპლატაძემ სხდომაზევე პირობა დადო, რომ ამ საკითხს შეისწავლის. მეტროს გათავისუფლებული თანამშრომელი კი თავისთან დაიბარა, თან უსაყვედურა, აქამდე სად იყავი, რატომ არ მომაკითხეო.

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის, **აკაკი ჯოხაძის** განმარტებით: **„კარგია, რომ საკრებულოს წარმომადგენლები ჩართულნი არიან ამ პროცესების დარეგულირების საკითხში. თბილისის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა, რომლითაც 20%-ით მოემატებათ ხელფასი თბილისის მერიის საკუთრებაში არსებულ კომპანიებს. გარკვეულ ეტაპზე შეთანხმება მიღწეულია, თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც ხელფასების ასეთ მატებას არ ეთანხმებიან“.**

სხდომის შემდეგ, ბესო ხარატიშვილმა, მერიის მიერ მძღოლებისთვის და მეტროპოლიტენის თანამშრომლებისთვის ხელფასების ასეთი მატება შეაფასა და მას „უსამართლო“ უწოდა.

**„შედეგები, რომელიც მერიამ წარმოადგინა, უსამართლოა. მეტი პროცენტული მატება უნდა შეხებოდა მათ, ვისაც მძიმე და მავნე პირობებში უწევს მუშაობა. ასევე უნდა მოხდეს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული თანამშრომლების სამსახურში აღდგენა. ხელფასების გაცემა კი, უნდა მოხდეს კლასებისა და თანრიგების მიხედვით, რაც დღეს გაუქმებულია. უნდა აღდგეს ბრძანებით დანიშვნა და გაუქმდეს ინდივიდუალური ხელშეკრულებები“,** — ასეთია ხარატიშვილის მოსაზრება.

ავტობუსის მძღოლმა **მალხაზ ბარაბაძემ** „ვერსიას“ ექსკლუზიურად გაუმხილა, რომ მათი მოთხოვნები ყურად არავინ იღო. **„ჩვენი მოთხოვნები შესრულებული არ არის. კერძოდ, დღემდე მოუგვარებელია ტრანსპორტის უსაფრთხოება. ავტობუსების ტექნიკური პარამეტრებიდან გამომდინარე, გამორიცხულია დღევანდელ პირობებში უსაფრთხოდ მუშაობა. ავტობუსები ტექნიკურად გაუმართავია. სათადარიგო ნაწილები უხარისხოა და რა წუთში გაფუჭდება, არავინ იცის. მგზავრების უსაფრთხოება მძღოლის პროფესიონალიზმსა და უფლის წყალობაზეა დამოკიდებული. ეს ტრანსპორტი შეიძლება გადაბრუნდეს და ავარია მოხდეს. ყვითელი ავტობუსების ქარხნის კონვეიერი დაიხურა და მათი სერიული გამოშვება შეწყდა. შესაბამისად, შეწყდა მათი სათადარიგო ნაწილების გამოშვებაც. ნაწილები უხარისხოა, რადგან ის არა ქარხნული, არამედ კოოპერატივის წარმოებული ან პატენტია“,** — განაცხადა ბარაბაძემ.

ავტობუსების ის ქარხანა, მართლაც რომ დაიხურა, ეს ინფორმაცია თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ და ექსპლოატაციის დირექტორმა **მიხეილ უჭრელიძემ** დაგვიდასტურა და განაცხადა: **„თითოეულ ავტობუსს უტარდება შესაბამისი რემონტი, ნაწილები კი მოწოდებულია სხვადასხვა კომპანიების მიერ. შესაბამისად, არც ერთი ავტობუსი, რომელიც ტექნიკურად გაუმართავია, ხაზზე არ არის. მომწოდებელი კომპანია ზრუნავს იმაზე, რომ ხარისხიანი ნაწილები მოგვაწოდოს. თუ ნაწილი წუნდებულია, ის უკან უბრუნდება მომწოდებელ კომპანიას და ხარისხიანი ნაწილები შემოგვაქვს. გამორიცხულია, ავტობუსი გადაბრუნდეს ან ავარია მოუვიდეს“.**



არის თუ არა უსაფრთხო ყვითელი ავტობუსებით მგზავრობა და რატომ აღარ არსებობს ქარხნული ნაწილები?





წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიას“ ლიდერი ვაჟა წიკლაური მოსალოდნელ კრიზისზე საუბრობს

# „დასავლეთი მარიონეტი სააკაშვილის დაკარგვამ შეაშფოთა და არა — დაჭერებმა“

დავით დევიძე
5(93) 219 042

**წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერია“ იმ კრიზისზე საუბრობს, რომელიც სამომავლოდ, ჩვენს ქვეყანას შეიძლება დაემუქროს. საქმე ეხება დასავლეთის შეშფოთებულ ტონს ჩვენთან მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით: უცხოური პრესის მიხედვით, ამერიკა-ევროპა აშკარად უკმაყოფილოა აქაური დაჭერებით. მართალია, არსებობს არცთუ უაზრო ვერსია, რომ დასავლურ პრესას ივანიშვილის საწინააღმდეგო წერილებს სააკაშვილის „კანტორა“ უკვეთავს, მაგრამ დასავლეთის შეშფოთებას უფრო დამაფიქრებელი მიზეზები აქვს. შეკვეთილი წერილები აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილია. რაც შეეხება უხილავს, ამ საკითხზე „ვერსიას“ წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი ვაჟა წიკლაური ესაუბრება.**

**— ბატონო ვაჟა, ძალიან ცოტა თუ ელოდა, რომ რამდენიმე ყოფილი ჩინოვნიკის დაპატიმრებას ასეთი რეაქცია მოყვებოდა დასავლეთიდან. რა ხდება?**

— დაწყებულია საკმაოდ შემაშფოთებელი პროცესი. პირველ რიგში, საქმე გვაქვს აშკარა საბოტაჟთან. აქ ვგულისხმობ არა მარტო შეკვეთილ წერილებს, რაზეც უკვე ბევრი საუბარი იყო და ამაზე აღარ გავჩერდები, არამედ, ასევე ჩვენი დიპლომატიური კორპუსის აშკარად ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას. მხედველობაში მაქვს წინა ხელისუფლების მიერ დანიშნული ელჩები თუ სხვა რანგის დიპლომატები. სწორედ ისინი აწვდიან ინფორმაციებს ამ ქვეყანათა მთავრობებს საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მინდა განვმარტო, რომ არც ერთი ამერიკელი სენატორი, სააკაშვილის მიმართ, აშკარად სიმპათიით განწყობილი მაკკეინის ჩათვლით, მხოლოდ პრესაზე დაყრდნობით არ გააკეთებს საჯარო განცხადებას ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მართალია, დემოკრატიულ ქვეყნებში პრესა და ტელევიზია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ პუბლიკაციების გადამოწმება ხდება საელჩოების საშუალებით. სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ჩვენმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ამერიკის კონგრესს მიაწოდა აშკარად სუბიექტური და მცდარი ინფორმაცია, შესაბამისად, ამერიკელ სენატორთა რეაქცია ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო. თუმცა, ვფიქრობ, ჩვენს მიერ ნახსენები ორი მიზეზის ანალიზი სიტუაციის მხოლოდ ზედაპირული შეფასებაა. სინამდვილეში, სრულიად სხვა წყალქვეშა დინებებთან გვაქვს საქმე, რომლის გათვალისწინება ახალ ხელისუფლებას აუცილებლად მოუწევს.

**— რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე? ისე, მართლაც გასაკვირია, როცა სააკაშვილის ქმედებების გამო, სულაც არ გამოთქვამდნენ ამგვარ შეშფოთებას.**

— მართალი ხართ. უცხოელთა შეშფოთება, სინამდვილეში, გამოწვეულია არა დაპატიმრებების გამო, არამედ იმიტომ, რომ მათ არ მოეწონათ ახალი ხელისუფლების, კერძოდ კი, ბიძინა ივანიშვილის მიერ აღებული კურსი პრემიერ-მინისტრმა არაერთხელ განაცხადა, რომ მისთვის მთავარია ქვეყნის ინტერესები და არა — უცხოური მითითებების უსიტყვო შესრულება. ეს შემაშფოთებელი სიგნალი აღმოჩნდა დასავლეთისთვის, რადგან პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში იქმნება ახალი რეალობა: საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველო შემოდის, როგორც დამოუკიდებლად მოთამაშე სუბიექტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასავლეთი მარიონეტი სააკაშვილის დაკარგვამ შეაშფოთა, თუმცა, ცხადია, ამას ხმამაღლა ვერ იტყვიან, ამიტომ გავლენების დაბრუნების მიზნით, სწორედ დაპატიმრებებზე გაკეთდა აქცენტი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მოგვიწევს თავის მართლების პოზიციაში ყოფნა და მტკიცება, რომ ქვეყანას დემოკრატიული პრინციპებისთვის არ უღალატია. ეს, თავისთავად, დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხს. სხვათა შორის, ეს გარემოება ხელისუფლების წრეებშიც კარგად ესმით. ისინი მოითხოვენ უცხოეთში განწესებული დიპლომატიური კორპუსის როტაციას, რაც საშუალებას მოგვცემს, საქართველოში მიმდინარე პროცესები მინიმალურად შეფასდეს ნეგატიური კუთხით.

**— თუ დასავლეთი უკმაყოფილოა ახალი რეალობით. რა ბერკეტები არსებობს, რომ მან მდგომარეობა თავის სასურველ სიტუაციაში გადაიყვანოს. უკრაინის მაგალითის განმეორება ხომ არ გვემუქრება?**

— ჩემი აზრით, დასავლეთს მოუწევს ახალ რეალობასთან შეგუება. უკრაინის მაგალითის მოყვანა სრულიად უადგილოა. იქ არსებობენ პოლიტიკურად პოლარიზებული ძალები, რასაც ჩვენთან ადგილი არ აქვს. წინა ხელისუფლებას არ გააჩნია არავითარი რესურსი, რომ სიტუაცია, თუნდაც დასავლეთის დახმარებით, თავის სასარგებლოდ შემოატრიალოს. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება მართლა დამთავრებულია. სხვათა შორის, ამას დასავლეთშიც ხვდებიან. თუნდაც ამერიკის სენატის საგარეო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის — რიჩარდ ლუგარის ბოლოდროინდელი განცხადება ამის დასტურია. მაკკეინისგან განსხვავებით, ლუგარმა სავსებით გასაგებად თქვა, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები ამ ქვეყნის საშინაო საქმეა და არავის აქვს მასში ჩარევის უფლება. ამ განცხადების შემდეგ, საქართველოს მიმართ უცხოეთის ტონი საგრძნობლად შერბილდება და დასავლეთი იძულებული იქნება, ურთიერთობის სხვა ფორმებზე გადავიდეს.

**— ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სააკაშვილი გაზაფხულზე პარლამენტს დაითხოვს, ანუ სიტუაციის შემობრუნებას შეეცდება.**

— სააკაშვილს პარლამენტის დათხოვნა შეუძლია, მაგრამ საკითხავია, რამდენად დაეხმარება ეს სიტუაციის შემობრუნებაში. როგორც გითხარით, მას არანაირი ბერკეტი აღარ გააჩნია, რომ ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს და ივანიშვილს სერიოზული დარტყმა მიაყენოს, ამიტომ ამ საკითხზე სერიოზული საუბარი არამართებულად მიმაჩნია. ნებისმიერი გამოწვევა, რომელიც ამჟამად ივანიშვილის წინაშე არსებობს, არაფერს მატებს „ნაცმოძრაობას“. მით უმეტეს, ამ პრობლემათა უმრავლესობა სწორედ „ნაცმოძრაობის“ მიერაა შექმნილი. ასე რომ, მთლიანობაში, საქართველოში ყალიბდება ახალი პოლიტიკური რეალობა, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს ქვეყანას, მართლაც, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი შეეძინოს. დაველოდოთ მოვლენებს. ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

თამარ მელქაძე

# რელიგიური დაპირისპირების წყარო საპატრიარქოს შეუწყნარებელი პოზიციაა

**რელიგიური დაპირისპირება ერთ-ერთი ის პრობლემაა, რომელიც ახლადარჩეულ ხელისუფლებას თავისტკივილად ექცა. არჩევნების შემდგომ დადგმული პროვოკაცია თუ რეალური პრობლემა, რომელმაც ხელისუფლების შეცვლისთანავე იჩინა თავი — ეს კითხვა დღესაც უპასუხოდ რჩება, თუმცა ფაქტია, პრეზიდენტისა და პრემიერის პოზიციები, ამ შემთხვევაში, მკვეთრად განსხვავებულია. თუ მიხეილ სააკაშვილი რელიგიურ დაპირისპირებას რეალურ პრობლემად მიიჩნევს, პრემიერი — „ნაციონალური" ხელისუფლების პროვოკაციად აფასებს და აცხადებს, რომ ყველაფერი მოგვარდება. სამოქალაქო სექტორი განვითარებულ მოვლენებს მუსლიმი მოსახლეობის დისკრედიტაციად მიიჩნევს და მმართველ გუნდს ქსენოფობიაში ადანაშაულებს. „ვერსია" სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელს, უმცირესობის აქტიურ დამცველს, ბექა მინდიაშვილს ესაუბრა.**



ხელისუფლებაში მყოფი ქსენოფობები რელიგიურ უმცირესობებს ჩაგრავენ?!

— მივესალმები ყველანაირ მსვლელობას, რაც რელიგიურ თანასწორობას ეხება. მუდმივად საჭიროა, რელიგიურ ჯგუფებს შორის მშვიდობაზე საუბარი. ზოგადად, საქართველოში, არსებობს დაპირისპირება რელიგიურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. არ არის მათ შორის დიალოგი, ან თუ იკრიბებიან, როგორც წესი, ამ შეხვედრებს არ აქვს დიალოგის ხასიათი. საპატრიარქო არ მონაწილეობს არც ინტერრელიგიურ, არც ინტერქრისტიანულ დიალოგში მსოფლიო მასშტაბით და იზოლირებულია სხვა რელიგიებთან თანამშრომლობის პროცესებისგან, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ბევრი მიზეზის გათვალისწინებით. შეუწყნარებლობის მთავარი წყარო საპატრიარქოა. მის აზრს უსმენს როგორც მოსახლეობა, ასევე პოლიტიკური სპექტრი, მედია, არასამთავრობოები. ხშირად, სწორედ საპატრიარქოს ამა თუ იმ საკითხისადმი დამოკიდებულებაა განმსაზღვრელი, განსაკუთრებით, რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით. საპატრიარქოს რომ ჰქონდეს შემწყნარებლური დამოკიდებულება და ღია ურთიერთობები, რეალობა სხვაგვარი იქნებოდა.

**— ანუ, საპატრიარქოს არაშემწყნარებლური პოზიციის გამო ხდება ყველაფერი?**

— შეიძლება ითქვას, რომ ერთმნიშვნელოვნად არ აქვს არც ერთი რელიგიური ჯგუფისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება და ის არის წყარო იმ პრობლემებისა, რომელიც რელიგიის თავისუფლების დაცვასა თუ, ზოგადად, მშვიდობიან რელიგიურ გარემოსთანაა დაკავშირებული.

**— თუმცა, იგივე საპატრიარქოს, ხშირად აკრიტიკებს მოსახლეობა რიგ საკითხებზე დუმილის გამო...**

— სწორედ საპატრიარქოს პოზიციაა მიზეზი, რომ ოშკისა და იშხნის რესტავრირება არ დაიწყო, არ ჩაერთო პროცესებში ქართული მხარე. მისი პოზიციის დამსახურებაა, რომ არ აშენდა აზიზიეს მეჩეთი. ეს კარგად ჩანს პატრიარქის 2008 წლით დათარიღებულ, მაშინდელი პრემიერის, ლადო გურგენიძისადმი მიწერილ წერილში, სადაც ის საუბრობდა, რომ მეჩეთების რაოდენობა საკმარისზე მეტია საქართველოში და ახალი საჭირო არაა. ამავდროულად, ის ფაქტობრივად, აშანტაჟებდა კიდეც ხელისუფლებას, რომ თუ ის მეჩეთი აშენდებოდა, მოხდებოდა რელიგიური დაპირისპირება. საპატრიარქო ყოველთვის გამოხატავდა თავის ღია, ნეგატიურ დამოკიდებულებას ამ მეჩეთის მშენებლობაზე.

**— არა მხოლოდ აზიზიეს მეჩეთი. ნიგვზიანსა და წინწყაროში მომხდარი ინციდენტიც მეჩეთის მშენებლობას უკავშირდება. როცა ყველა ქრისტიანულ სოფელში მართლმადიდებლური ეკლესია არაა, მოსახლეობის პროტესტი გასაგებია.**

— მერე, რა? მესმის მოსახლეობის უკმაყოფილება, მაგრამ ქვეყანაში წესრიგს განსაზღვრავს კონსტიტუცია, რომელსაც ხელისუფლებაც ერთმნიშვნელოვნად უნდა იცავდეს. კონსტიტუციით კი, ჩვენ ქვეყანაში რელიგია თავისუფალია. ნებისმიერი რელიგიური ჯგუფის უფლებაა, ააშენოს ესა თუ ის რელიგიური ნაგებობა. ილოცოს მისთვის განსაზღვრული წესით. ერთ სოფელში იქნება თუ არა ეკლესია, ეს არის მეათეხარისხოვანი საკითხი. კონსტიტუცია იცავს ნებისმიერი მოქალაქის რელიგიურ თავისუფლებას და იმის უფლებას, შეიკრიბონ საჯაროდ და ილოცონ.

**— სადაც მოესურვებათ, იქ უნდა ააშენონ სალოცავები?**

— ეს არის კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფლება. თუკი შენ მიდიხარ ამის წინააღმდეგ, შენ ცვლი სახელმწიფოს ხასიათსა და შინაარსს. თუ ვამბობთ, რომ უნდა იყოს კანონის უზენაესობა, ქვეყანა უნდა იყოს დემოკრატიული, ამ ურთიერთობის ბალანსი უნდა დავიცვათ. თუ ვქმნით ისეთ გარემოს, სადაც ადამიანს ენიჭება უპირატესობა და არა — რომელიმე პოლიტიკურ იდეოლოგიას, ან რომელიმე რელიგიურ ან ეთნიკურ ჯგუფს, აქედან გამომდინარე, ამოსავალი პრინციპია ადამიანის სურვილი. თუ ადამიანთა ჯგუფს უჩნდება სურვილი, ილოცოს საჯაროდ, სახელმწიფომ ნებისმიერი გზით უნდა დაიცვას ეს უფლება, მოსწონს ეს უმრავლესობას თუ არა.

**— იყო ვარაუდი, რომ ეს მშენებლობები ფინანსდებოდა უცხოეთიდან...**

— ვერაფერს ვიტყვი. არ ვიცი, რა ფინანსური ნაკადებით განხორციელდა ამა თუ იმ ნაგებობის მშენებლობა, საიდან მოდის ეს თანხა, მაგრამ თუ ეს არ იქნება კანონსაწინააღმდეგო, რა მნიშვნელობა აქვს, თურქეთიდან დაფინანსდება, ირანიდან, ამერიკიდან თუ ევროპიდან? თუ მართლმადიდებლური ეკლესიის დაფინანსება ხდება რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენების მხრიდან, ცხადია, სხვასაც უნდა ჰქონდეს დაფინანსების საშუალება. პრობლემა მაშინ იქნება, როცა კანონსაწინააღმდეგო რამ გაჩნდება. სხვა შემთხვევაში, განსხვავება არ უნდა არსებობდეს.

**— ლაპარაკია, ძირითადად, ქართველ მუსულმანებზე. იქნებ, საპატრიარქოს პოზიცია, შეაფერხოს მეჩეთის მშენებლობა, განპირობებულია იმით, რომ მას სურს ამ მოსახლეობის მართლმადიდებლად მოქცევა.**

— ჩვენ ვართ ძირძველი წარმართები, რადგან წარმართობა უფრო დიდხანს არსებობდა, ვიდრე ქრისტიანობა. რა ვქნათ, უნდა დავუბრუნდეთ წარმართობას? საპატრიარქოს აქვს ლეგიტიმური სურვილი, გაავრცელოს ქრისტიანობა ნებისმიერ რელიგიურ ჯგუფში ისევე, როგორც ეს სხვა აღმსარებლობის ადამიანს სურს, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს ძალადობით.

**— ძალადობაში რას გულისხმობთ, რატომ გააქტიურდა ეს ყველაფერი კონკრეტულად, არჩევნების შემდეგ?**

— მართლმადიდებელი ეკლესია წლების განმავლობაში გამოხატავს შეუწყნარებლობას არა მარტო მუსლიმების, არამედ სხვა რელიგიური ჯგუფების მიმართ. 2004 წლის შემდეგ, იმჟამინდელ ხელისუფლებას გაუჩნდა მკაფიო წარმოდგენა, როგორი ქვეყანა უნდა აეშენებინა. ქვეყანა დაფუძნებული უნდა ყოფილიყო მოქალაქეებზე. უნდა ყოფილიყო ყველა თანასწორი. რამდენად გამოუვიდათ, ეს სხვა თემაა. წინა ხელისუფლების დროსაც იყო პრობლემები, მაგრამ ეს არ მისულა ლოცვის შეწყვეტის მოთხოვნამდე. ძნელია იმის თქმა, ახლა რამ მისცა ამას ბიძგი. სავარაუდოდ, ის ქსენოფობიური, განსაკუთრებით ანტიმუსლიმური, ანტითურქული რიტორიკა, რომელსაც ბიძგი მისცა აზიზიეს მეჩეთის მშენებლობამ, დამახასიათებელი იყო ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრისთვის. არჩევნების მერე, ზოგს გაუჩნდა წარმოდგენა, რომ მეტი შესაძლებლობა აქვთ საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად, რაც დაფუძნებულია შეუწყნარებლობაზე. როგორც ნიგვზიანის, ასევე წინწყაროს ინციდენტში მონაწილეობდნენ ადგილობრივი სასულიერო პირები, ვინც ამბობდა, რომ არ უნდა იყოს მეჩეთი.

**— საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, 84% პროცენტი, მართლმადიდებელია. არის თუ არა პრიორიტეტული ქრისტიანობა?**

— იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის უმეტესობა ქრისტიანია, არის, მაგრამ დემოკრატიულ-ლიბერალურ სახელმწიფოში, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ და სადაც კანონი უზენაესია, არანაირად პრიორიტეტული არ არის მართლმადიდებლობა. სადაც კანონითაა დარეგულირებული რელიგიური უპირატესობა, მაგალითად ირანში, არც გვაქვს ადამიანის უფლებებზე წარმოდგენა და კანონის უზენაესობაზე ლაპარაკი. თუ ასეთ სახელმწიფოს ვაშენებთ, სხვა თემაა, მაგრამ თუ დემოკრატიულ ქვეყანაზე გვაქვს პრეტენზია, მაშინ ყველა რელიგიის წარმომადგენელი უნდა იყოს თანაბარი.

**— უნდა იყოს თუ არა ქვეყანაში აღიარებული ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?**

— როცა ქდმ ითხოვდა ამის აღიარებას, საპატრიარქომ გააკეთა განცხადება, რომ მას არ სურს ამ ტიპის ურთიერთობაში შესვლა სახელმწიფოსთან. არ სურს აღიარების მიღება, რადგან ეს არის არა უპირატესობის წარმოჩენა, არამედ მისი დაკნინება, ვინაიდან ხელისუფლების მორჩილებაში ექცევა სტატუსით მოსარგებლე რელიგიური ჯგუფი. სახელმწიფო აკონტროლებს რელიგიას და მღვდელი ხდება ჩვეულებრივი ჩინოვნიკი.

**— მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლება აქამდე არ ერეოდა საპატრიარქოს უფლებებში? ცნობილი ფაქტია ფოთში მომხდარი ინციდენტი, როცა მღვდელმა შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტს, პრეზიდენტის სურათის გამო...**

— ეს იყო ძალიან შემაშფოთებელი, რაც ეპისკოპოსმა ჩაიდინა. ვფიქრობ, სიმპათიის ამ ფორმით გამოხატვა ამა თუ იმ ლიდერისადმი, არასწორია. ასევე არასწორია დღეს არსებული ვითარება, როცა ქორეპისკოპოსი ეკლესიიდან მოუწოდებს სახელმწიფო ლიდერებს მონანიებისკენ. ხარვეზები წინა ხელისუფლების დროსაც იყო, უბრალოდ, არსებობდა მკაფიო წარმოდგენა საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესებისადმი. ახალი ხელისუფლების პირველი პრობლემა უმრავლესობაში არსებული ქსენოფობები, მანანა კობახიძე და რომან დუმბაძეა. მინისტრ ზაქარეიშვილის პოზიციაც სრულიად გაუგებარია. თურმე, საჯაროდ არ უნდა მომხდარიყო საკითხის გამოტანა. მისასალმებელია, როცა პრემიერი საერთო თანასწორობაზე საუბრობს, მაგრამ ხედვა ამ საკითხის მიმართ, არ ვიცით. ეს ვიცოდით წინა ხელისუფლების დროს, მოისპო რელიგიური დისკრიმინაციის ელემენტები კანონმდებლობაში. ახლა კი ყველაფერი თავიდან იწყება. 10 წლის წინ იყო პრობლემა რელიგიური უმცირესობების შეკრების გამო, მაგრამ ახლა ვდგავართ უარესი პრობლემის წინაშე. ახლა ხალხს, კონკრეტულად, ლოცვას უშლიან.

**— არსებობს ეჭვი, რომ ეს ყველაფერი პროვოცირებულია. 1 ოქტომბრამდე არ შექმნიათ პრობლემა და არჩევნების შემდეგ აღარ აძლევენ ლოცვის უფლებას?**

— ეჭვი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ზოგადად, ამ ტიპის მოვლენების პროვოცირებას, არა კონკრეტული რამ, არამედ ქვეყანაში არსებული ვითარება იწვევს. რელიგიის თავისუფლების დაცვისთვის, უნდა არსებობდეს რელიგიური მრავალფეროვნება, რაც გვაქვს. ასევე, აუცილებელია არსებობდეს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, რაც არ გვაქვს. აუცილებელია, პატივისცემას გამოხატავდეს უმრავლესობა უმცირესობის მიმართ და აღიარებდეს თანასწორობას კანონის წინაშე. ეს პრობლემები წინა ხელისუფლების დროსაც არსებობდა, უბრალოდ, მწვავე ხასიათი იმის გამო მიიღო, რომ შეუწყნარებლობამ დაარტყა რელიგიის თავისუფლების უმთავრესს, ლოცვის აკრძალვას. ასეთი რამ, მცდელობის მიუხედავად, ვერ გააკეთეს სააკაშვილის პერიოდში. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ეს მეჩეთები არსებობს სამი თვეა. რა გითხრათ, აბა? როცა გაჩნდა პრობლემა, მაშინ ამოვიღეთ ხმა. მე მომხრე ვარ, საქართველოში არ არსებობდეს არავითარი განსხვავება კანონის წინაშე როგორც რელიგიურ, ასევე სექსუალურ უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის. ხელისუფლებას რომ თავიდანვე მოეხერხებინა და აღეკვეთა რელიგიური უმცირესობის ჩაგვრის პირველი შემთხვევა, რაც კანონით გათვალისწინებული დანაშაულია, პროცესები აღარ გაგრძელდებოდა. ეს არის სახელმწიფოს არაადეკვატური მოქმედების ბრალი.

## ვერსიანიუსი

### მიხეილ სააკაშვილი: „ძალიან სწრაფად და ძალიან ცუდად დამთავრდება ყველაფერი იმათთვის, ვინც ამას აკეთებს"

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „საქართველოში ვერავინ დაამკვიდრებს იმ რეჟიმს, რასაც ესწრაფვიან". ამის შესახებ პრეზიდენტის მიერ „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას დაკავებასთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„დღეს ყველაზე დიდი დამოუკიდებელი ტელევიზიის, **„რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია დააკავეს, პირდაპირ რომ ვთქვათ, ძალიან საეჭვო ბრალდებით. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ამ ტელევიზიის მფლობელებზე ხორციელდებოდა ზეწოლა, ეს ტელევიზიითაც გაცხადდა, ეს არ არის ჩემი გამოგონილი. მფლობელებს ვერაფერი უპოვეს და ვერც უპოვიდნენ და დირექტორი დააკავეს, ასევე სრულიად ყალბი ბრალდებით. ძალიან სწრაფად და ძალიან ცუდად დამთავრდება ყველაფერი იმათთვის, ვინც ამას აკეთებს, მე მინდა, ისინი გავაფრთხილო. საქართველოში ვერავინ დაამკვიდრებს იმ რეჟიმს, რასაც ისინი ესწრაფვიან და ძალიან ახლოს არიან სახიფათო ზღვართან. ამას ვამბობ, როგორც პრეზიდენტი და როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც აქვს მათ შორის, ისტორიული მახსოვრობა და მახსოვს, რა ხდებოდა აქ ბოლო ათწლეულებში. მე ვითხოვ, დაუყონებლივ გათავისუფლებას თავისუფალი ტელევიზიის დირექტორის, ისევე, როგორც შეწყვეტას და აღკვეთას იმ უკანონობისა, რომელიც არის და პასუხისმგებლობას იმ პირების, რომლებიც ამას სჩადიან. მინდა, გამოვთქვა არა მხოლოდ იმედი, არამედ ზუსტი რწმენა, რომ ყველაფერი დამთავრდება ძალიან კარგად და ბევრად უფრო ჩქარა, ვიდრე მათ ჰგონიათ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნგრევა ინსტიტუტების, არმიის, (გენშტაბის უფროსს, რომ დააკავებ თავდაცვის მინისტრის ტუალეტთან, ამას სხვა არაფერი ჰქვია), პოლიციის ნგრევა, როცა პოლიციას ეუბნებიან, რომ კრიმინალს თავი უნდა დაუხარონ, თავისუფალი პრესის ნგრევა, შენობების ნგრევა, ეს არის ის გზა, რომელსაც ქართველმა ხალხმა არჩევნებში ხმა მისცა, ძალიან ცდება. ქართველმა ხალხმა მხარი დაუჭირა სოციალური ვითარების გაუმჯობესებას და ამ ხალხისთვის პასუხი ის არის, რომ ბათუმს, ქობულეთს და სხვას სოციალური ხარჯები შეუმცირეს? და უსახლკაროთა თავშესაფარი, რაზეც ამდენი ვიმუშავეთ? ამ სოციალურად დაუცველ ხალხს, რომელსაც ასე უჭირს, დღეს რითი პასუხობენ, საკრებულოებში შეჭრებით და ვილაცების დაჭერებით და ეს უნდოდა იმ ხალხს, რომელიც ყოველდღიურად იბრძვის არსებობისთვის? მე მესმის, რატომ ეჩქარებათ ამათ,**



**იმიტომ, რომ ვერ გრძნობენ თავს დარწმუნებულად, ვინც ასეთ სპირალში შედის, გამოდის ძალიან ჩქარა, ოღონდ სხვა მიმართულებიდან ამ სპირალის. ჩვენ ეს გავლილი გვაქვს და სხვა ქვეყნებსაც გავლილი აქვს. მე ბევრს დავდივარ უცხოეთში, მაგრამ იქ ამ თემებზე არ ვლაპარაკობ, აქ უნდა ვილაპარაკოთ და აქ უნდა განვიხილოთ"**, — განაცხადა პრეზიდენტმა.

*„პირველი"*

# საწვავისნაცვლად, ჩიპი ავტომობილისთვის — დავით ჩაჩანიძის სენსაციური გამოგონება

დავით დევიძე
5(93) 219 042

**უახლოეს მომავალში, საავტომობილო ბაზარზე უახლესი ძრავებით აღჭურვილი მანქანები გამოჩნდება. სიახლე ისაა, რომ საწვავის ფუნქციას ამ ძრავებში, ბენზინთან ერთად... ჩვეულებრივი წყალიც შეასრულებს. ეს ნიშნავს, რომ სულ მალე, ტექნიკური რევოლუციის მომსწრენი გავხდებით. თუმცა, ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ნოუ-ჰაუს ავტორი ჩვენი თანამემამულე, ქართველი გამომგონებელი დავით ჩაჩანიძეა. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინ, გამომგონებელმა დავით ჩაჩანიძემ გააკეთა სენსაციური განცხადება, რომ მიაგნო ძრავში წყლის ენერგიის გამოყენების პრინციპს, რაც ექსპერიმენტით დაადასტურა კიდეც, მაგრამ ამის შემდეგ გამოგონების შესახებ არავის აღარაფერი სმენია. „ვერსია" დაინტერესდა, რა არის დუმილის მიზეზი და რა ბედი ეწია გამოგონებას. როგორც ირკვევა, არსებობს პრობლემების მთელი წყება, რაც წყლის ენერგიაზე მომუშავე ძრავების გამოშვებას ხელს უშლის. ამაზე, გამომგონებელი დავით ჩაჩანიძე თავად გვესაუბრება და იმასაც გვიმხელს, რომ სხვა, არანაკლებ საინტერესო და სენსაციურ პროექტებზეც მუშაობს:**

— ამჟამად, გამომგონებელთა ერთ ჯგუფთან ერთად, დავამთავრე მუშაობა აპარატზე, რომელმაც ავტომანქანაში გამოყენებისას მოგვცა საწვავის 40%-იანი ეკონომია, თუმცა უფრო საინტერესო ისაა, რომ CO-ს გამონაბოლქვი თითქმის ნულამდე დააგდო. ამ ეტაპზე გვინდა, აპარატი შევთავაზოთ თბილისის მერიას, რათა გამოიყენონ სამოქალაქო ტრანსპორტში. მოგეხსენებათ, გამონაბოლქვის პრობლემა დღეს ძალიან მწვავედ დგას. ამ სიახლით კი, შესაძლებელი ხდება ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება.

**— 40%-იანი ეკონომია სერიოზული მიღწევაა. გამოდის, მანქანას, რომელიც 100 კმ/ზე, საშუალოდ, 10 ლიტრ საწვავს წვავდა, ახლა მხოლოდ 6 ლ დასჭირდება?**

— დიახ, თუმცა ვიმეორებ აქ გამონაბოლქვის შემცირება უფრო მნიშვნელოვანია. ასობით ექსპერიმენტი ჩავატარეთ. შედეგი ყოველთვის ერთია — გამონაბოლქვი დასაშვებ ნორმაზე დაბალია. ეს იმას ნიშნავს, რომ აპარატი გამართულად მუშაობს და მაჩვენებლები აღარ შეიცვლება. სხვათა შორის, მას ერთი საინტერესო თვისებაც აღმოაჩნდა, მაგრამ შესაბამისი ექსპერიმენტების ჩატარებამდე, რაიმეს დანამდვილებით თქმა არ შემიძლია. თუმცა, გაგიმხელთ: მუშაობის პროცესში, აპარატი გამოყოფს გარკვეულ ველს. ერთ-ერთ ხელსაწყოზე მუშაობისას, ხელი დავიზიანე. ექიმებმა მითხრეს, ჭრილობის შეხორცებას მინიმუმ, ორი კვირა დასჭირდებაო. აპარატზე მუშაობას დაზიანებული ხელით მაინც ვაგრძელებდი და ჭრილობამ ზუსტად ორ დღეში შეიკრა პირი. შესაბამისად, გამოვთქვით ვარაუდი, რომ მასზე ზეგავლენა მოახდინა აპარატის მიერ გამოყოფილმა ველმა. შემდეგ გავთამამდით და უკვე სხვა ექსპერიმენტი ჩავატარეთ: 8 კაცმა დავლიეთ ამ აპარატის მიერ დამუხტული წყალი. მოხდა ისე, რომ ხუთი დღის განმავლობაში თავს ვგრძნობდით ძალიან კარგად და გვქონდა ენერგიის მოზღვავება. თუ ვინმეს თავის ან რაიმე სხვა ორგანოს ტკივილი აწუხებდა, მოეხსნა. მოკლედ, აპარატს, შესაძლოა, რეგენერაციის უნარიც გააჩნდეს, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს უკვე ჩვენი სფერო აღარ არის, სამედიცინო კუთხეა და ექსპერიმენტებს საჭიროებს. თუმცა, როგორც წესი, ჩვენთან არც ექსპერიმენტები აინტერესებთ და არც არის ამის საშუალება.

**— ამ დანადგარის დამონტაჟება ავტომობილში რამდენად ადვილია?**

— ეს მარტივი პროცესია. აპარატი ბევრ პრობლემას ხსნის. მთელმა მსოფლიომ ნახა, რომ თბილისში აწყობილი ძრავა მარტო წყლის ენერგიაზე მუშაობდა.

**— მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. იყო მოლოდინი, გვეშველა, ჩავასხამთ წყალს მანქანაში და ვივლითო. საინტერესოა, რა მოხდა?**

— თავიდან ჩვენც ოპტიმისტურად ვიყავით განწყობილები. ბოლომდე ვერ ვიაზრებდით მსოფლიო ეკონომიკის პრინციპებს. თქვენ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ხვალ რომ გამოაცხადონ, ბენზინი საჭირო აღარ არის და წყალიც საკმარისიაო? ეკონომიკა, რომელიც სწორედ ენერგომატარებლებზეა აგებული, ხუხულასავით დაინგრევა. ამას მოჰყვება პოლიტიკური კრიზისი და რყევები. ერთი სიტყვით, გამოგონებასთან დაკავშირებით განცხადების გაკეთების შემდეგ, სხვადასხვა დონეზე გვქონდა შეხვედრები და მოლაპარაკებები.



რატომ არიან ქართველი მეცნიერები იძულებულები, გამოგონებები უცხოეთში გაყიდონ

**— და აგიკრძალეს ამ საკითხზე მუშაობა?**

— აკრძალვით არა, მაგრამ გვირჩიეს, მხოლოდ წყლის გამოყენებაზე არ გვქონოდა საუბარი. ერთადერთი, ვისაც შეუძლია გამოიყენოს მარტო წყლის ენერგია, სახელმწიფოა, თანაც თუ ეს მოხდება ელექტროენერგიის მოპოვების მიზნით. თუ ინტერესი იქნება, შეგვიძლია დავამონტაჟოთ ელექტროსადგური, რომელიც მხოლოდ წყლის ენერგიაზე მომუშავე ძრავებით გამოიმუშავებს ელექტროენერგიას და ერთი კილოვატის ფასი არ გადააჭარბებს 2-3 თეთრს. ეს ნამდვილად მისაღებია, მაგრამ მანქანებმა წყალზე რომ იარონ, გამორიცხულია. შესაძლებელია კომპრომისული ვარიანტიც. ჰიბრიდული წარმოება: ორმოცდაათი, ორმოცდაათზე — ნახევარი წყალი, ნახევარი ბენზინი.

**— თუკი ეს შესაძლებელია, ამ სახით მაინც რატომ არ დანერგეთ გამოგონება?**

— ეს მეთოდი უკვე ჩადებულია წარმოებაში. ჩვენი გამოგონების შემდეგ, ნახევარმა მსოფლიომ დაიწყო ამის გაკეთება. ჩვენთანაც შემოდის ასეთი უცხოური აპარატები, თუმცა გარკვეული პრობლემები აქვს. ბევრი მოდის და მეუბნება, რომ ესა თუ ის დეტალი გაუფუჭდა. ჩვენი აპარატი გაცილებით ხარისხიანი იქნება — იგი უკვე კონვეირულად იწყობა ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში. კონკურენტებისგან განსხვავებით, იგი უფრო იაფი იქნება და ძალიან მალე საქართველოშიც შემოვა.

**— რომელიმე საავტომობილო ბრენდთან ხომ არ არის მოლაპარაკება, რომ ეს აპარატი პირდაპირ მანქანაში დამონტაჟდეს?**

— შესაძლებელია, ასეც მოხდეს, თუმცა ჯერ ასეთი მოლაპარაკება არავისთან გვაქვს. დღეს საუბარია პრინციპულად ახალი ტიპის ძრავების შექმნაზე. ელექტროძრავების წარმოების გადაწყობაზე. ელექტროძრავები ეკონომიურიცაა და ბევრად ძლიერიც, ვიდრე შიდაწვის ძრავა. თანამედროვე ელექტროძრავს აქვს მთელი რიგი პრობლემები. ამის ახსნა, შორს წაგვიყვანს. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ვინც ამ პრობლემებს მოაგვარებს, პირველ სიტყვას იტყვის მსოფლიოში. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: ასეთი ძრავა თბილისში დევს. ჩვენ შევქმენით. წარმოიდგინეთ, რომ ჩვეულებრივ მანქანაში დამონტაჟებულია ელექტროსისტემა. დაქოქავ მანქანას და სანამ გინდა, ივლი. აკუმულატორში დენი არ გეხარჯება. ელექტროძრავი ამუშავებს ელექტროგენერატორს და პირიქით: ელექტროგენერატორში გამოყოფილი ელექტროენერგია ამუშავებს ძრავს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ბევრი რამ, მაგალითად, ძრავასა და გენერატორის სიმძლავრე.

**— ანუ, დღეს მსოფლიოში ცდილობენ, გააკეთონ ელექტროძრავა, რომელიც დაიტუმბება ელექტროენერგიით ისევე, როგორც ბენზინის შემთხვევაში ხდება. თქვენს ძრავს კი გარედან დატუმბვა არ დასჭირდება?**

— დიახ, ჩვენ შემთხვევაში საჭირო არაა არანაირი დასატუმბი წერტი. ელექტროენერგიას კი იყიდი, მაგრამ სრულიად სხვა ფორმით. იქნება სპეციალური ჩიპი, სადაც ჩაიდება ელექტროენერგიით გასავლელი გარკვეული მანძილი: 500 კმ, 100 კმ და ა.შ. შეიძენ ამ ჩიპს, ჩადებ მანქანაში და გეცოდინება, რომ გაივლი იმ მანძილს, რამდენიც იყიდე. ასეთი არსებობს, აწყობილია და ექსპერიმენტულადაც გამოცდილი. ის განსხვავებულია უცხოური ანალოგებისგან, რაც იმაში გამოიხატება, რომ ძრავა-გენერატორი ერთად არის. პრინციპში, ასეთი ერთობა სხვებთანაც ცნობილია, მაგრამ მერე ჩვენ ძრავა-გენერატორს, არსებული კლასიკური მოდელებისგან რაღაც შიდა განსხვავება აქვს. საშუალება რომ იყოს, კიდევ უფრო შეიძლება დახვეწა.

**— ბიზნესმენები არ დაინტერესებულან თქვენი გამოგონებით?**

— მხოლოდ რამდენიმე ადამიანზე შემიძლია ვთქვა, რომ გამოიჩინა ინტერესი. ისინი პატრიოტები არიან. უანგაროდ მეხმარებიან, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია...

**— ამიტომ აწყობთ ძრავებს უცხოეთში? უკეთესი არ იქნებოდა, აქ ჩაგვესვა წარმოებაში და ექსპორტი შეგვეთავაზებინა მსოფლიოსთვის?**

— ყველაფერი შეიძლებოდა, მაგრამ ამაზე რომ ვისაუბრო, პოლიტიკაში უნდა გადავიდე. ჩვენი გამოგონების მიმართ ინტერესი, მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რაღაც მოეპარათ და წაეღოთ. იძულებული ვარ, ამ გამოგონებათა რეალიზების გზები უცხოეთში ვეძებო, ან პირდაპირ გავყიდო საზღვარგარეთ, რადგან აქ არავის უნდა. მიმიყვანეს კაცთან, რომელიც კვირაში ერთხელ 60 ათას დოლარს ტოვებს კაზინოში. ავუხსენი, რომ მექანიზმის დასამზადებლად 2 ათასი ლარი მჭირდებოდა. გააკეთე, მაჩვენე და ფულს მერე მოგცემო. იმდენი იწუწუნა, ლამის, იქით დავეხმარე. მერე ვიღაც პარლამენტართან მიმიყვანეს. კი არ მეშინია დასახელება, მაგრამ... ამათი გვარები არ ვიცი. მართლა არ მახსოვს მისი ვინაობა. რაღაც ფინანსური საქმეები ებარა წინა პარლამენტში. ველაპარაკებოდი და ვგრძნობდი, სამშობლო, ქართველობა, მეცნიერება... მისთვის არაფერს წარმოადგენდა. მისი კერპი იყო სააკაშვილი და მის იქით ვერაფერს ხედავდა. შევთავაზე, ჩავდოთ წარმოებაში ეს გამოგონებები, მოგების 2/3 კი სახელმწიფომ წაიღოს-მეთქი. იოტისოდენა ინტერესიც ვერ შევნიშნე. არადა, ვითხოვდი ელემენტარულს: მასალების მოძიებაში დახმარებას და სამუშაო პირობების შექმნას. ქარხნიდან ქარხანაში დავდივარ და ხარატებს ამა თუ იმ ხელსაწყოს გამოჩარხვას ვთხოვ. ზოგჯერ მეტირება, ისეთი დაზგები იყიდება ჯართად, ჩვენ კი, მათი შეძენის საშუალებაც არ გვაქვს. ინტერესი რომ ყოფილიყო საქართველოში, შეგვეძლო ამ გამოგონებებისთვის საწარმო სახის მიცემა. ათასობით ადამიანი დასაქმდებოდა, მაგრამ... არავის აინტერესებს, ამიტომ იძულებულები ვართ, ისევ უცხოეთში გავიტანოთ ჩვენი გამოგონებები, სადაც უცხოური მარკით აიწყობა და ცოტას თუ ეცოდინება, რომ მათი ავტორები ქართველები არიან.

## სამართალდამცველებმა ბორჯომში არასრულწლოვანის გაუპატიურების მცდელობის ფაქტი გახსნეს



18 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ბორჯომში, არასრულწლოვანის გაუპატიურების მცდელობის ბრალდებით, 1970 წელს დაბადებული მალხაზ პ. დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებული ბორჯომში ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველია. მან მაღაზიაში შესული, დაახლოებით, 15 წლის გოგონა ძალის გამოყენებით, გვერდით ოთახში გაიყვანა და აიძულებდა სქესობრივი აქტის დამყარებას. გოგონამ თავს გაქცევით უშველა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებს. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით აღიძრა.

*„ჯი-ეიჩ-ენი"*

## საპარლამენტო უმცირესობა, სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე, პარლამენტში მისვლას არ აპირებს



ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სამოქმედო გეგმას გაფართოებულ შეკრებაზე შეიმუშავებს, რომელიც თბილისში უახლოეს მომავალში გაიმართება. ამის შესახებ „პირველს" საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა, ნუგზარ წიკლაურმა განუცხადა.

მისი თქმით, ქვეყანა სახელმწიფო საფუძვლების მოშლის საფრთხის წინაშეა, ამდენად „ნაციონალურ მოძრაობას" საპარლამენტო სხდომაზე დასწრება ამ ვითარებაში მიზანშეწონილად აღარ მიაჩნია. **„დღეს ქვეყანაში არის არანორმალური მდგომარეობა. მიგვაჩნია, რომ ამ ვითარებაში საპარლამენტო ცხოვრებაში ჩართვა და კანონპროექტების მშვიდად განხილვა ნორმალური არ არის. მოხდა ის, რასაც ვლაპარაკობდით ჩვენც და საერთაშორისო თანამეგობრობაც, პოლიტიკურ დაჭერებთან დაკავშირებით. ივანიშვილმა დღეს ქვეყანაში დაამყარა დიქტატორული რეჟიმი, რომელიც სახელმწიფო საფუძვლებს საფრთხეს უქმნის, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ და ყოველმხრივ შევეწინააღმდეგებით. ჩვენი მცდელობა, რომ მშვიდი პოლიტიკური თანაცხოვრება მომხდარიყო, ივანიშვილის პოლიტიკური ძალის მიერ იქნა ტორპედირებული",** — აღნიშნა მან.

წიკლაურის განმარტებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შეკრება შესაძლოა, დღეს-ხვალ გაიმართოს, თუმცა დაესწრება თუ არა მას საქართველოს პრეზიდენტი, დეპუტატმა ვერ დააკონკრეტა. მანამდე კი, საპარლამენტო უმცირესობა საკანონმდებლო ორგანოში მისვლასა და სხდომებზე დასწრებას აღარ აპირებს.

*„პირველი"*




# საქართველოს „პალესტინური" სახელმწიფოს მხარდაჭერა ამერიკის ელჩმა ურჩია

**პამელა გელერი**

American Thinker

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველოდან, ობამას ადმინისტრაციის განსაკუთრებულ ღალატზე ინფორმაცია გავრცელდა. ობამა, რომელიც თითქოს მხარს არ უჭერს მუსლიმ ძმებს, შარიათის რევოლუციებს, ეგვიპტის რეჟიმებს, კულისებში ნაბიჯებს დგამს ისრაელის შემდგომი საერთაშორისო იზოლაციისთვის, ისრაელისა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ერთადერთი დემოკრატიაა.

29 ნოემბრამდე, მანამდე, ვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კენჭს უყრიდა არაწევრი სახელმწიფოს დამკვირვებლის სტატუსს, ობამას მიერ დანიშნული ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. საუბრის დროს, ნორლანდმა რეკომენდაციის სახით პრემიერს უთხრა, რომ საქართველომ ხმა უნდა მისცეს პალესტინის სახელმწიფოს.

ეს აშშ-ს ოფიციალური პოზიციის მიუხედავად მოხდა, რადგან სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ამ კენჭისყრას უწოდა „სამწუხარო და კონტრპროდუქტიული,რაც მშვიდობის გზაზე დამატებით სირთულეებს შექმნის". კენჭისყრის დღეს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა: **„მშვიდობისთვის არც ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესი არ არის ასახული რეზოლუციაში, რომელსაც დღეს განსახილველად გენერალურ ასამბლეას წარუდგენენ, ამიტომ ისრაელისთვის ის მიუღებელია".** ის მართალია. მაგრამ საქართველოში, აშშ ღალატობს მტკიცე და ჭეშმარიტ მოკავშირეს.

ეს ინფორმაცია გაბრიელ მირილაშვილისგან გავრცელდა. მირილაშვილი, ცნობილი ბიზნესმენი და კორპორაციის მფლობელი საქართველოში, ევრო-აზიის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი და ქართველი ებრაელების მსოფლიო კონგრესის ხელმძღვანელია. ის ამბობს, რომ ეს მან თავად ივანიშვილისგან მოისმინა და რომ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ნორლანდისა და ივანიშვილის საუბრის ჩანაწერია ასახული. როდესაც მირილაშვილი ივანიშვილს არწმუნებდა, მხარი არ დაეჭირა პალესტინის სახელმწიფოებრიობის დოკუმენტისთვის, ივანიშვილმა უპასუხა, რომ მას ეს ამერიკის ელჩმა სთხოვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოში ჩავიდა ჯორჯ სოროსი, რომელიც ასევე შეხვდა პრემიერ ივანიშვილს და ისინი სხვადასხვა ინიციატივების ირგვლივ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. ობამას და სოროსის ახლო კავშირები სათავეს იღებს ჯერ კიდევ 2007 წლიდან და 2008 წლის საპრეზიდენტო კამპანიამდე მიდის.

იმავდროულად, კიდევ ერთმა წყარომ განაცხადა, რომ საქართველო იფარებს ჩეჩენ ჯიჰადისტებს – მკვლელებს, რომლებსაც ქართული პასპორტები აქვთ. როდესაც ზოგიერთი ამ ჯიჰადისტთაგან თურქეთში დააკავეს, თურქულმა პრესამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ისინი ქართული პასპორტებით მოგზაურობდნენ. მეტიც, მათი ლიდერი უმარ სუგაიპოვი, რომელიც ახლა საქართველოში არ არის, ჩეჩნეთის იჩქერიის აწგარდაცვლილი პრეზიდენტის, ასლან მასხადოვის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი მოადგილეა.

ეს ის მთავრობაა, რომელთანაც ობამას ადმინისტრაცია ჩურჩულებს და ისრაელის წინააღმდეგ მოქმედებას სთხოვს. ის, რომ აშშ-ს ელჩი საქართველოში ქვეყნის პრემიერ-მინისტრს პალესტინური სახელმწიფოს მხარდაჭერას სთხოვს, შოკისმომგვრელია, მაგრამ არა — მოულოდნელი. ეს არის ის, რასაც შეერთებული შტატები ობამას ხელმძღვანელობით საიდუმლოდ, მაგრამ ეფექტურად ავითარებს მსოფლიო არენაზე ოთხი წლის განმავლობაში. იმ დროს, როდესაც ობამა თავს ევლება გავლენიან ებრაელებს ამერიკაში და ამერიკელები მხარს უჭერენ პატარა ებრაულ სახელმწიფოს, ის ღალატობს ისრაელს, ჩვენს ერთადერთ სანდო მოკავშირეს ახლო აღმოსავლეთში.

ობამა პროისრაელურ განცხადებებს აკეთებდა ხოლმე – მაგრამ სინამდვილეში, მისი სიტყვები არაფერს ნიშნავს, როდესაც მან იმავდროულად, მოუწოდა ისრაელს, ეღიარებინა პალესტინური სახელმწიფო შერეული საზღვრებით, რითაც მივიღებდით დაჩეხილ და შუაზე გაყოფილ ისრაელს, რომელიც ჯიჰადის თავდასხმებისთვის კატასტროფულად მოწყვლადი იქნებოდა. ობამას მტრული დამოკიდებულება ისრაელის მიმართ გასაკვირი არ არის. მე ვწერდი ამის შესახებ ჩემს წიგნში **The Post-American Presidency: The Obama Administrations War on America**. მისი ანტიისრაელური ალიანსები და შემაშფოთებელი ურთიერთობები დეტალურად არის დოკუმენტირებული. ერთადერთი, რაც უცნობი იყო, ის, თუ როგორ მოეპყრობოდა არამეგობრულად განწყობილი ობამა ებრაელთა სამშობლოს. თუკი მისი ანტიებრაული მენტორები და მრჩევლები რაიმეს მანიშნებელია, ისრაელის მხრიდან გონივრული იქნებოდა, რაც შეიძლება სწრაფად გადაეწყოს სხვა თავისუფლების მოყვარე ქვეყნებთან ურთიერთობაზე, ვიდრე აშშ-ს ელჩები კიდევ უფრო მეტ უცხოელ ლიდერს ისრაელის ღალატისკენ უბიძგებენ.

# არის კი საქართველოს ახალი ლიდერი იმდენადვე არადემოკრატი, რამდენადაც მისი წინამორბედი იყო?

**ჩარლზ ფერბენქსი**

the Atlantic

მიუხედავად იმისა, თუ რას ამტკიცებს რამდენიმე დასავლური საინფორმაციო საშუალება, პასუხი არც იმდენად ერთმნიშვნელოვანია.

1 ოქტომბერს საქართველოში არჩევნები ჩატარდა. ყველას გასაოცრად, მმართველი პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც სათავეში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უდგას, ახლადშექმნილ კოალიციასთან, ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებასთან" დამარცხდა. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო გარემო უაღრესად უსამართლო, ძალიან დამთრგუნველი იყო, ხოლო წარსულში ადგილი ჰქონდა რევოლუციურ გადატრიალებებს.

არჩევნებზე უამრავი ქართველი მივიდა. მთავრობამ იმდენად გამანადგურებელი მარცხი განიცადა, რომ მიუხედავად მისი მზარდი ავტორიტარულობისა, იძულებული გახდა, ძალაუფლება დაეთმო. და მოხდა ის, რაც მსოფლიოს ამ კუთხეში სასწაულს უდრის, სააკაშვილმა დათმო იმ ძალაუფლების ძირითადი ნაწილი, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში დაჟინებით უყრიდა თავს. არჩევნები მოულოდნელ და წარმატებულ დემოკრატიულ გარღვევად გამოცხადდა – სწორედ ეს წარმოადგენდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს 1980-იანი წლებიდან. დემოკრატიამ უცვალა სახე ხმელთაშუაზღვისპირა ევროპას, აღმოსავლეთ აზიას და აფრიკასაც კი, მაგრამ ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა, პოსტსაბჭოთა სივრცეში აქამდე ამგვარი არაფერი მომხდარა.

მაგრამ არჩევნებიდან ორი თვეც არ იყო გასული, რომ ზოგიერთი შფოთში ჩავარდა. ნატო-სა და ევროკავშირის მაღალჩინოსნებმა, რომელთაც ზურგს პრესტიჟული გაზეთები უმაგრებდნენ, ვითომდა მისი არადემოკრატიული საქციელის გამო, ახალი მთავრობის დატუქსვა იწყეს. „ვაშინგტონ პოსტმა" ივარაუდა, რომ ჩვენ მოწმენი ვხდებით „რუსული ტიპის ავტოკრატიისკენ უკუსვლისა" და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ საქართველო საქციელს არ გამოასწორებს, „საქართველოს ახალი ლიდერი ვაშინგტონში კარგად არ უნდა მიიღონ". „ეკონომისტი" წერდა, **„ივანიშვილი ისევე ცუდად იქცევა, როგორც, მისივე თქმით, იქცეოდა სააკაშვილი".**

საქმე ეხებოდა ივანიშვილის მთავრობის მიერ „ნაცმოძრაობის" ოფიციალური პირების დაპატიმრებას, რაც ზოგიერთი გარეშე დამკვირვებლის აზრით, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის შეუფერებელ, ცალმხრივ პოლიტიკურ რეპრესიებს წააგავდა. მაგრამ მოდი, ეს საკითხი უფრო ყურადღებით განვიხილოთ: ივანიშვილს არავინ მოუკლავს, განსხვავებით სააკაშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, რომელმაც 2006 წელს სანდრო გირგვლიანი მოკლა. მას არავინ უწამებია და არავინ გაუუპატიურებია, რაც, როგორც ნაჩვენები იყო, სააკაშვილის მმართველობისას ქართულ ციხეებში ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა. ივანიშვილს არავისთვის ჩამოურთმევია ქონება ორდერის გარეშე. ის არავის უწევდა შანტაჟს, მას არავინ გაუტაცებია და არავისთვის ჩაუდია ნარკოტიკები. ახალ პრემიერ-მინისტრს არ დაურბევია მშვიდობიანი დემონსტრაციები, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა 2007 წლის ნოემბერში, არც პოლიციის სპეცრაზმი გაუგზავნია დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და მათი აღჭურვილობის დასარბევად. მას არ წაურთმევია სამაუწყებლო კომპანიები მფლობელებისთვის, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა თავისი ფსევდოკანონიერი მანევრებით. თერთმეტთვიანი კამპანიის განმავლობაში ივანიშვილს არასოდეს გაუცია ბრძანება მისი ელექტორალური ოპონენტის განადგურების შესახებ. ასეთი რამ სააკაშვილმა გააკეთა, ძველი პრემიერ-მინისტრის მტრების წინააღმდეგ კიბერ-შპიონაჟიც გამოიყენა და პოლიტიკური ოპონენტები 125 მილიონითაც დააჯარიმა. თუ „ვაშინგტონ პოსტის" რიტორიკას გამოვიყენებთ, სწორედ ივანიშვილი ემსხვერპლა ამ „ბინძურ ხრიკებს".

როგორც ჩანს, მსოფლიო ორმაგ სტანდარტებს იყენებს და ახალ, დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას უფრო სასტიკად განსჯის, ვიდრე ადამიანის უფლებათა ჯიუტ დამრღვევებს, რომლებიც ქართველებმა სულ ახლახან ჩამოიცილეს.

რეალურად, თუ სხვა თვალით შევხედავთ, ივანიშვილის მთავრობას მართლაც ჰქონდა მიამიტური სურვილი, ემოქმედა ისე, როგორც ეს დასავლურ დემოკრატიებშია მიღებული: დაკავებულს მის უფლებებს უკითხავდნენ, ურეკავდნენ მის ადვოკატს და აქვეყნებდნენ ჩვენებებს – ამ პროცედურულ სტანდარტებს ადრე არ იცავდნენ. სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, საჯარო მოსამსახურეები, თვით სოფლის სკოლის მასწავლებლებიც კი, მის პარტიაზე მუშაობდნენ. „ქართული ოცნების" მთავრობამ, ყველა, ვისაც მინისტრის მოადგილეზე დაბალი თანამდებობა ეკავა, სამსახურებში დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი, ალბათ, დღემდე ლოიალურია ძველი მთავრობისადმი. ივანიშვილმა პირობა დადო, რომ წესრიგში მოიყვანს მთავრობას და 18 თვეში თანამდებობას დატოვებს. „ქართულმა ოცნებამ", მალევე, მთავრობის ფორმირების შემდეგ, დაითხოვა კარგად ანაზღაურებული ლობისტების არმია. სააკაშვილი არასოდეს მოქცეულა ასე და მისი ლობისტები არიან პასუხისმგებელნი ამ ბოლოდროინდელ ქარიშხალზეც.

არჩევნებში დამარცხების შემდეგ, სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ" ბრძოლის ახალ ველს მიაგნეს, ეს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრია. ისინი საქართველოს კანონიერად არჩეულ მთავრობას ქვეყნის გარეთ რეპუტაციას ულახავენ და ამით ქვეყნის შიგნით ამ მთავრობის დამარცხებას იმედოვნებენ.

საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური ბრძოლის გადატანა, გავრცელებული პრაქტიკაა წაგებული ოპოზიციური მოძრაობებისთვის. მაგრამ უფრო ხშირად ამ მეთოდს აქტივისტები იყენებენ და რეპრესიულ მთავრობებს უფლებადაცვით ორგანიზაციებში უჩივიან. აქ კი პირიქით ხდება, რეპრესიული მოძრაობა საერთაშორისო საზოგადოებას იმ ადამიანებზე უჩივის, ვინც პოლიტიკურ პროტესტს გამოთქვამდა, სამართლიანად მოიგო არჩევნები და მიზნად სააკაშვილის უსამართლობის გამოსწორება დაისახა. ხოლო საერთაშორისო საზოგადოებაც პირდაპირ ასხამს წყალს სააკაშვილის წისქვილზე.

არის კი მართლა ეს დაპატიმრებები ისეთი, როგორადაც მას „ფაინენშალ თაიმსი" აღწერს — „წმენდა", „მზარდი კამპანია" და „დაპატიმრებების ტალღა"? ასეთივე შთაბეჭდილებას ტოვებდა უოთერგეითსის და დრეიფუსის საქმეები. მაშინაც სხვადასხვა ჯგუფში სკანდალმა იფეთქა, რადგან მთავრობა ცდილობდა ეს საქმეები მიეჩქმალა. მთავრობის წასვლას დაპატიმრებების „სერია" და „ტალღა" მოჰყვა. როდესაც ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ მიჩქმალული ბნელი საიდუმლოებები მჟღავნდება (ისე, როგორც „ნაციონალური მოძრაობა" აკეთებდა ამას), ხოლო ოპოზიცია რეაგირებას იწყებს, ეს შეიძლება წააგავდეს „ანგარიშსწორებას პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ", როგორც განაცხადა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონმა. მაგრამ, საქმე ისაა, რომ კრიტიკოსები ამ შემთხვევაში, თავად პოლიტიკის არსს აკრიტიკებენ. „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლება ბევრ რამეს მალავდა. ახლა, როდესაც გამოძიება დაიწყო, ისინი განგაშს ტეხენ. თუმცა, ეს ყველაფერი თავის დროზე, ვიღაცას რომ არ დაემალა, ახლა აღარაფერი იქნებოდა გასამჟღავნებელი.

აქედან, თბილისიდან, დასავლური მთავრობების რისხვა ცუდად ჩანს. ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს დასავლეთი ძველ მთავრობას უჭერს მხარს. ეს შთაბეჭდილება მცდარია, მით უფრო, თუ იმას გავიხსენებთ, რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აშშ-ს მთავრობამ საარჩევნო კამპანიისას, როდესაც ნაწილობრივ გაათავისუფლა ტელევიზია, წინ აღუდგა „ქართული ოცნებისთვის" ყველაზე საშინელი ჯარიმების დაწესებას და დაარწმუნა სააკაშვილი იმაში, რომ მარცხი ეღიარებინა. მაგრამ ეს ყველაფერი, მანამ, სანამ ქართველების მეხსიერებაში დაფიქსირდება, კორექტირებას მოითხოვს.

დასავლეთთან შერწყმის ზერელე ენთუზიაზმის მიღმა, საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია საბჭოთა ნოსტალგიის, ანტიამერიკული განწყობებისა და ევროპისადმი უნდობლობის დიდი მარაგი. თუ ქართველები ირწმუნებენ, რომ მათი ბოლო მცდელობა დემოკრატიულ სამყაროსთან მიერთებისა, აბუჩად აიგდეს, ზემოთ ნახსენები, ანაქრონისტული ელემენტები გაძლიერდება. საქართველოს ამჟამინდელი დემოკრატიული წინსვლა ძალიან მყიფე რამაა, ხოლო ნატო და შეერთებული შტატები იმ ყველაზე ძლიერ ფაქტორთა შორისაა, რომელთაც შეუძლიათ, მოვლენათა პოზიტიური განვითარება უზრუნველყონ. ახლა იმის დრო არ არის, რომ ეს გავლენა შესუსტდეს.







# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 8 | 3 | 9 | 2 | 1 | 7 | 5 |
| 5 | 3 | 2 | 8 | 1 | 7 | 6 | 4 | 9 |
| 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 8 |
| 4 | 5 | 3 | 7 | 6 | 1 | 9 | 8 | 2 |
| 2 | 7 | 9 | 5 | 8 | 3 | 4 | 1 | 6 |
| 8 | 1 | 6 | 4 | 2 | 9 | 7 | 5 | 3 |
| 3 | 8 | 5 | 1 | 7 | 6 | 2 | 9 | 4 |
| 9 | 6 | 1 | 2 | 4 | 8 | 5 | 3 | 7 |
| 7 | 2 | 4 | 9 | 3 | 5 | 8 | 6 | 1 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 5 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 1 |
| 8 | 6 | 2 | 4 | 1 | 7 | 9 | 5 | 3 |
| 9 | 1 | 7 | 3 | 6 | 5 | 2 | 4 | 8 |
| 3 | 7 | 4 | 8 | 2 | 6 | 1 | 9 | 5 |
| 1 | 9 | 8 | 5 | 7 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 2 | 5 | 6 | 1 | 3 | 9 | 8 | 7 | 4 |
| 7 | 4 | 3 | 6 | 8 | 2 | 5 | 1 | 9 |
| 6 | 2 | 1 | 9 | 5 | 3 | 4 | 8 | 7 |
| 5 | 8 | 9 | 7 | 4 | 1 | 3 | 2 | 6 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 2 | 5 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 3 | 1 | 9 | 4 | 7 | 8 | 6 | 5 | 2 |
| 8 | 7 | 5 | 6 | 2 | 9 | 4 | 3 | 1 |
| 2 | 9 | 4 | 3 | 8 | 5 | 1 | 7 | 6 |
| 1 | 5 | 8 | 7 | 9 | 6 | 3 | 2 | 4 |
| 7 | 3 | 6 | 2 | 1 | 4 | 8 | 9 | 5 |
| 5 | 8 | 7 | 1 | 6 | 3 | 2 | 4 | 9 |
| 9 | 4 | 1 | 8 | 5 | 2 | 7 | 6 | 3 |
| 6 | 2 | 3 | 9 | 4 | 7 | 5 | 1 | 8 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 | 8 | 7 | 4 |
| 9 | 8 | 7 | 4 | 2 | 1 | 6 | 5 | 3 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 8 | 7 | 2 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 8 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 |
| 2 | 7 | 6 | 1 | 4 | 3 | 5 | 9 | 8 |
| 5 | 4 | 3 | 8 | 9 | 2 | 1 | 6 | 7 |
| 8 | 1 | 9 | 6 | 7 | 4 | 3 | 2 | 5 |
| 4 | 6 | 2 | 5 | 3 | 9 | 7 | 8 | 1 |
| 7 | 3 | 5 | 2 | 1 | 8 | 9 | 4 | 6 |

## ბერლუსკონი კვლავ დაოჯახებას აპირებს

იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ოდიოზური პიროვნება სილვიო ბერლუსკონი ახალგაზრდა საყვარელზე, 27 წლის ფრანჩესკა პასკალიზე დაინიშნა. 76 წლის ექსპრემიერმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა, რომ პასკალი მისი საცოლეა. წყვილი ერთმანეთს უკვე რამდენიმე თვეა ხვდება. ჩვენს შორის ასაკობრივი სხვაობა ძალიან დიდი — 49 წელია, თუმცა ფრანჩესკა ჩემთან ძალიან ახლოსაა, მას ვუყვარვარ. ის ძალიან ლამაზი გოგონაა. ფრანჩესკა და ჩემი ქალიშვილი მარინა მეგობრობენ, — განაცხადა ბერლუსკონიმ. არაერთ სკანდალში გახვეული იტალიის მთავრობის ყოფილი მეთაური ოფიციალურად ორჯერ იყო დაქორწინებული. მას ხუთი შვილი ჰყავს. წლების განმავლობაში, ბერლუსკონის სახელი პროსტიტუციასა და სექსუალურ სკანდალებთან ასოცირდებოდა. მისი საყვარლების სიაში ძირითადად მოდელები, მსახიობები და შოუბიზნესში მოღვაწე ახალგაზრდა ლამაზმანები შედიან.



## ნაძვის ხე თეფშებისგან ააწყვეს

ბელგიის ქალაქ ჰასტლში, ბელგიური ჭურჭლისგან დამზადებული ნაძვის ხე დადგეს. ინგე ვანლუიდმა და სტეფან ვანბერგერმა, რომლებიც დიზაინერულ სტუდია Mooz-ში მუშაობენ, 5 ათასი ფაიფურის თეფშისგან 9-მეტრიანი, კონუსის ფორმის სკულპტურა დადგეს, რომელიც თოვლით დაფარულ საახალწლო ნაძვის ხეს ჰგავს. ამ იდეის განხორციელებაში მათ ქალაქის მცხოვრებლები დაეხმარნენ, რომელთაც საშობაო ლამაზმანისთვის საკუთარი სამზარეულოს ჭურჭელი გაიღეს. ამით საკმაოდ სადღესასწაულო ატმოსფერო შეიქმნა, რომლის გარეშეც ჰასელტის ცენტრალურ მოედანზე დადგმული ფიგურა, უბრალოდ, კერამიკის გორას დაემსგავსებოდა და არა მოახლოებული დღესასწაულის მაუწყებელს.



## ყველაზე ბინძური ქალაქი გამოავლინეს



ინდოეთის უდიდესი ქალაქი მუმბაი, რომელიც იქ განლაგებული მსხვილი კორპორაციებისა და ბანკების შტაბბინების გამო, ქვეყნის ფინანსურ ცენტრად იქცა, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ბინძურ ქალაქად აღიარეს. რეიტინგში, რომელიც პოპულარულმა ტურისტულმა პორტალმა TripAdvisor შეადგინა, მუმბაიმ უკანასკნელი ადგილი დაიკავა ქუჩების სისუფთავის მიხედვით. გამოკითხვაში, რომელშიც 75 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, ტურისტებში ყველაზე პოპულარული 40 დასახლებული პუნქტი იყო შეტანილი. მუმბაი ბოლო ადგილზე აღმოჩნდა ასევე გადაადგილების მოხერხებულობის მხრივაც. ამ კატეგორიაში პირველი ადგილი შვეიცარულმა ციურიხმა დაიკავა. ყველაზე სუფთა ქალაქის წოდება კი, რესპოდენტებმა ტოკიოს მიანიჭეს. სხვადასხვა კატეგორიებში ლიდერი გახდა ნიუ-იორკი. გამოკითხულების თქმით, სწორედ ამ მეგაპოლისის მაღაზიებში სჯობს სიარული, სისუფთავის მხრივ კი, ნიუ-იორკი მხოლოდ 28-ე ადგილზე აღმოჩნდა. იაპონიის დედაქალაქმა დაიკავა ასევე პირველი საფეხური ტაქსის მომსახურების, საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებისა და უსაფრთხოების მხრივაც. რეიტინგის მიხედვით, პლანეტაზე ყველაზე არამეგობრული ხალხი მოსკოვსა და ლონდონში ცხოვრობს — მათ გამოკითხვაში ბოლო 39-40-ე ადგილები დაიკავეს.



# ჰოროსკოპი
## 21 დეკემბერი

***ვერძი*** — დღის პირველ ნახევარში, სჯობს, მეტი დრო დაუთმოთ გადაუდებელი საქმეების მოგვარებას, საღამოს გატარებას კი ვარსკვლავები ოჯახის წევრებთან ერთად გირჩევენ. მოერიდეთ ხმაურიან ღონისძიებებსა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებს. კარგი დღეა ასევე, ახალი საქმის წამოწყებისთვის, შესაძლოა, შეხვედრა გავლენიან ადამიანთან.

***კურო*** — ამ დღეს, შესაძლოა, გამართლდეს თქვენი შიში. მხოლოდ ბევრ რამეში თავადვე იქნებით დამნაშავე, რადგან არ ღირს გამუდმებით ცუდზე ფიქრი. ამით აახლოებთ მის განხორციელებას. შეეცადეთ, მხოლოდ პოზიტიურზე იფიქროთ და დადებითი ემოციებით აღიჭურვოთ. ისწავლეთ ახლებურად ცხოვრება და ამით კარდინალურად შეცვლით მას.

***ტყუპები*** — ამ დღეს წარმატებას მიაღწევთ, თუ შეეცდებით, სასწრაფო საქმეები არ გადადოთ. თუმცა, ნუ ეცდებით, ყველაფერი დღეს გააკეთოთ. უმჯობესია, პრიორიტეტები სწორად გადაანაწილოთ და ყველაზე მნიშვნელოვნიდან დაიწყოთ. თავი შეიკავეთ ემოციების გამომჟღავნებისგან, ეს კოლეგებთან კონფლიქტს აგარიდებთ. დღის მეორე ნახევარი კი, სჯობს, საყვარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ.

***კირჩხიბი*** — თქვენი მცდელობა, მოაგვაროთ რთული სიტუაცია, წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში დასრულდება, თუ თქვენი ქმედებები და სურვილები თანმიმდევრული იქნება. მოვლენებს წინ ნუ გაუსწრებთ და სადაც საჭირო იქნება, მოთმინება გამოიჩინეთ. დღეს ვარსკვლავები გაფრთხილებენ, ყურადღება მიაქციოთ ჯანმრთელობასაც. არსებობს ტრავმების საფრთხე.

***ლომი*** — დღეს გადამწყვეტი მოქმედებების დრო დგება. სწრაფად და დაგეგმილად იმოქმედეთ, თუ გეგმა არ გაქვთ, მაშინ მიზნის მიღწევა გაგიჭირდებათ. თქვენს დღევანდელ ქცევაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები პირად ცხოვრებაში. შეეცადეთ მოკავშირეები იპოვოთ არც ისე იოლ საქმეში. ამ დღეს ვარსკვლავები უფრო მეტი აქტიურობისკენ მოგიწოდებენ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელადაც.

***ქალწული*** — შეუცნობადის წინაშე შიში ჩვეულებრივი მოვლენაა, მხოლოდ არ ღირს საკუთარი როლის გადაჭარბება ყველაფერ იმაში, რაც ხდება. ბევრი იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე თქვენ, მაგრამ გაცილებით ნაკლებ ყურადღებას იმსახურებენ. შეეცადეთ, გონივრულად მოიქცეთ, თუ საჭირო იქნება, უკან დახევისაც ნუ შეგეშინდებათ, რადგან ეს უსიამოვნებებისგან გიხსნით. კარგი იქნება, თუ დღის მეორე ნახევარში საქმეებს დაივიწყებთ და მეგობრების წრეში, სასიამოვნოდ გაატარებთ.

***სასწორი*** — ნუ შეეცდებით ჭეშმარიტების ძიებას იქ, სადაც ის არ არის. იყავით გამბედავი და სიმართლესაც თვალი გაუსწორეთ. შესაძლოა, დღეს თქვენმა გატაცებებმა ზიანი მოგაყენონ და ჩანაფიქრის შესრულებაში ხელი შეგიშალოთ. ყურადღებით მიიღეთ გადაწყვეტილებები, რადგან არასწორმა ნაბიჯმა, შესაძლოა, ზიანი არა მხოლოდ თქვენ, არამედ ახლობლებსაც მიაყენოს.

***ღრიანკალი*** — დღეს, სჯობს, მეტი დრო თქვენს ჯანმრთელობასა და ოჯახის წევრებს დაუთმოთ. არის მომენტები, როცა პრიორიტეტები აშკარად უნდა გამოიკვეთოს და არ უნდა იყოს დამოკიდებული თქვენს განწყობასა თუ სხვების ინტერესებზე. შეეცადეთ, გადადოთ ყველა საქმე, ეს დღე საკუთარ თავს მიუძღვენით, იშოპინგეთ ან ახლობლებთან ერთად დრო მყუდრო გარემოში გაატარეთ.

***მშვილდოსანი*** — დღეს, შესაძლოა, სარფიანი წინადადება შემოგთავაზონ. აგრეთვე, დიდია ალბათობა კამათისა და საქმეების გარჩევისა ოჯახის წევრებთან. ეს კი ხელს შეგიშლით, სწორად შეაფასოთ შემოთავაზებული წინადადება. ამიტომ შეეცადეთ, თქვენს გარშემო მიმდინარე მოვლენებს მეტი ყურადღება მიაქციოთ, მნიშვნელოვანი პერსპექტივები რომ არ გამოგრჩეთ. კარგი დღეა ასევე, შორეული მოგზაურობის დაგეგმვისთვის.

***თხის რქა*** — ყველაფერი, რისკენაც მიისწრაფვოდით, შესაძლებელია, არასწორი აღმოჩნდეს. თუმცა, ამის გაგებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ, თუ გარშემომყოფებს ყურადღებით მოუსმენთ. სამყაროს ახალი თვალით შეხედეთ, ნუ შეგეშინდებათ ამის. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, ნუ მიენდობით ყველას, ვინც დახმარებას შემოგთავაზებთ.

***მერწყული*** — დღეს თქვენი რწმენა ზოგიერთ საკითხებში, შესაძლოა, არამყარი აღმოჩნდეს. ის, რაც ურყევი გეგონათ, გარკვეული კრიტიკის მსხვერპლი შეიძლება გახდეს და არააქტუალური იყოს. დღეს შესაძლოა, გარკვეული ცვლილებები მოხდეს თქვენს ცხოვრებაში, რაც თქვენ ბედზე იქონიებს სასიკეთო გავლენას. არასასურველი დღეა კონტრაქტებზე ხელისმოწერისა და გარიგებებისთვის.

***თევზები*** — დღეს ყველა საქმე გამოგივათ, თუკი მოინდომებთ. საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ შეგეპაროთ. საკმარისი დრო და საშუალება გექნებათ მათი დემონსტრირებისთვის. წამოწყებულ საქმეებში მხარდამჭერებიც გამოგიჩნდებიან. ერთადერთი დაბრკოლება თქვენივე მორიდებულობა და გადაწყვეტილების მიღებისას აჩქარებაა. მაგრამ ნუ ინერვიულებთ, წარმატება ახლოსაა. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისთვის, რომანტიკული შეხვედრისთვის.

# ტუბერკულოზს ადრეულ სტადიაზე აღმოაჩენენ



ბრიტანელი მეცნიერები ტუბერკულოზის ადრეულ სტადიაზე აღმოჩენის სისტემის შექმნას ცდილობენ. ამ დაავადების თანამედროვე დიაგნოსტირება ტუბერკულოზის გამოვლენას უკვე კარგად განვითარებულ სტადიაზე იძლევა. დიაგნოსტიკის ახალი პრინციპი იმ ადამიანთა სისხლის გამოკვლევას ეყრდნობა, რომელთაც დაავადების არსებობაზე შეამოწმებენ. სპეციალური ანალიზი საშუალებას მისცემს სპეციალისტებს, ტუბერკულოზი მის საწყის სტადიაზე აღმოაჩინონ. გამოკვლევები საკმაოდ აქტუალურია ნისლიან ალბიონზე, რადგან ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ადამიანთა რაოდენობა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ემიგრანტების უმრავლესობა ბრიტანეთში ტუბერკულოზის ვირუსით შედის. მეცნიერები აცხადებენ, რომ სპეციალური ანალიზის მეშვეობით არა მხოლოდ დაავადება გამოვლინდება, რომლის არსებობის შესახებაც ადამიანმა, შესაძლოა, არც არაფერი იცოდა, არამედ გარშემომყოფებსაც დაიცავენ, რადგან დაავადება ვირუსულია.

**დაიჯესტი**

# წითელი ბოსტნეული მკერდის კიბოს წინააღმდეგ

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ საკვებში წითელი ფერის ხილისა და ბოსტნეულის მოხმარებამ, შესაძლოა, მკერდის კიბოს განვითარების რისკი შეამციროს. სწავლულებმა ამ დაავადების მქონე, დაახლოებით, სამი ათასამდე პაციენტის ისტორია და 3,9 ათასი საკონტროლო ჯგუფის მონაწილეთა მონაცემები შეისწავლეს. შედეგად მათ კაროტინოიდების (რასაც წითელი ფერის ხილი და ბოსტნეული შეიცავს) დონესა და სიმსივნით დაავადებული პაციენტების სისხლში არსებულს შორის კავშირი გამოავლინეს. აღმოჩნდა, რომ იმ მანდილოსნებს, ვინც საკვებში უფრო მეტ წითელი ფერის ხილ-ბოსტნეულს მოიხმარდა, მკერდის კიბოს განვითარების უფრო ნაკლები შანსი ჰქონდათ.



კაროტინოიდები, რის გამოც ამა თუ იმ ხილსა და ბოსტნეულს ნარინჯისფერი, ყვითელი ან წითელი შეფერილობა აქვს, უკვე ცნობილია თავისი ანტისიმსივნური თვისებებით. ეს ნივთიერება კი, ყველაზე მეტი, სწორედ წითელი ფერის პროდუქტშია.

# აპენდიციტის ამოჭრა ინფარქტის რისკს ზრდის



აპენდიციტისა და ნუშურა ჯირკვლების ამოჭრა მიოკარდის ინფარქტის რისკს ზრდის, — ასეთ უჩვეულო და საოცარ დასკვნამდე მივიდნენ შვედეთის სამეფო ინსტიტუტის სპეციალისტები, რომელთაც 40-დან 55 წლამდე ასაკის, ქვეყნის ყველა მცხოვრების სამედიცინო ანკეტები შეისწავლეს. სწავლულები მიღებულ შედეგებს იმით ხსნიან, რომ ადამიანის ორგანიზმი იმდენად რთული და ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურაა, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილებები, შესაძლოა, მეტად სერიოზული შედეგების მიზეზი გახდეს. ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა სწავლულთა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ადრეულ ასაკში „ბრმა ნაწლავისა“ და „გლანდების“ ამოჭრა მნიშვნელოვნად ზრდის უკვე მოწიფულ ასაკში ინფარქტის განვითარების რისკს. აღმოაჩინეს, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც 20 წლამდე ამოიკვეთეს ეს ნაწილები, შემდგომი 23,5 წლის განმავლობაში დიდი ალბათობა ჰქონდათ მიოკარდის ინფარქტის ან გულის იშემიური დაავადებების განვითარებისა.

# ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო წამალი შექმნეს

კომპანია **Lundbeck**-მა ალკოჰოლურ დამოკიდებულებასთან ბრძოლისთვის ახალი პრეპარატის — **Selincro**-ის შექმნაზე განაცხადა. ის უკვე მოიწონეს ევროპელმა ექსპერტებმა ევროპის სამედიცინო სააგენტოდან. მომავალი წლიდან, შესაძლოა, ეს პრეპარატი უკვე გასაყიდად გამოვიდეს. დადგენილია, რომ წამალი ტვინის ოპიოდური რეცეპტორების ბლოკირებას ახდენს. მიუხედავად ასეთ პრეპარატებზე მაღალი მოთხოვნისა, ჯერჯერობით უცნობია, გამოუწერენ თუ არა ექიმები **Selincro**-ს პაციენტებს და მოხდება თუ არა მისი ფარმაცევტულ ბაზარზე დამკვიდრება. თუმცა, კომპანიის გათვლებით, პროდუქტის გაყიდვები 2016 წლისთვის 95 მილიონ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, მომავალი წლის ბოლოს ევროპელმა და ამერიკელმა ექსპერტებმა „განაჩენი“ უნდა გამოუტანონ ახალ ანტიდეპრესანტსაც, რომელიც კომპანია **Lundbeck**-მა, იაპონელ პარტნიორებთან ერთად შექმნა. ამ საშუალებამ, შესაძლოა, დიდი „აფეთქება“ გამოიწვიოს ფარმაცევტულ ბაზარზე და 1-2 მილიარდი დოლარის შემოსავალი მოიტანოს. ლაპარაკია ვორტიოქსეტინზე, რომლის კლინიკური ცდები წარმატებით დასრულდა. კომპანია ასევე დიდ იმედებს ამყარებს შიზოფრენიის საწინააღმდეგო პრეპარატსა (**Abilify Maintena**) და ალცჰეიმერის სამკურნალო საშუალებაზე, რომლის კლინიკური ცდებიც მომავალ წელს უნდა დასრულდეს.



# მუსიკას სიკვდილის შემდეგაც „მოისმენთ"



მუსიკისგან სიამოვნების მიღება რომ შეწყვიტოთ, საამისოდ სიკვდილიც კი არ არის საკმარისი. ასე მიიჩნევს შვედური კომპანია **Pause**, რომელიც ცოცხალ და მკვდარ მელომანებსაც ხელით დამზადებულ, მდიდრულ კუბოს **CataCoffin** სთავაზობს მთელი თავისი მუსიკალური აღჭურვილობით. მუსიკალური სარკოფაგი მიწისქვეშეთიდან საფლავის ქვას უერთდება, რომელიც ერთგვარ აუდიოსერვერად გამოიყენება, სადაც ინახება ფაილები და რომელზეც შეიძლება ახალი ტრეკების ჩაწერა გარდაცვლილისთვის. უფრო მეტიც, საფლავის ქვა ქსელით ონლაინ-დამატება **Spotify**-ს უკავშირდება, რომელიც ავტომატურად აახლებს კომპოზიციებს იმისდა მიხედვით, რა მიმართულების მუსიკას ანიჭებდა მიცვალებული უპირატესობას. ეპიტაფიასთან კი მოხერხებულად არის განთავსებული 7-დიუმიანი, თხევად-კრისტალური მონიტორი, რომელიც ყველა გამვლელ-გამომვლელს უჩვენებს, იმ მომენტისთვის რა მელოდიით „ტკბება" მიწის ქვეშ ორ მეტრზე მყოფი მელომანი.

# ლონდონში მდიდრებს საშობაო სადილზე იწვევენ

თუ თქვენ ზედმეტი 250 ათასი დოლარი გაქვთ და მზად ხართ, ის საშობაო ტრაპეზში დახარჯოთ, მიმართეთ საიტს **VeryFirstTo.com**, რომლის მფლობელებიც, ამ თანხის სანაცვლოდ, ოთხი კერძისგან შემდგარ მენიუს შემოგთავაზებენ. გადახდილი ფული კი ქველმოქმედებას მოხმარდება. რასაკვირველია, ის ადამიანები, ვინც 4 პერსონაზე სადილში დიდ თანხას გადაიხდის, წარმოუდგენელ, იშვიათ და დახვეწილ კერძებს მიიღებენ სადღესასწაულო სუფრაზე. ეს ძვირადღირებული, მაგრამ ღვთაებრივი ტრაპეზი წასახემსებლით იწყება, რომელიც ალმასის ხიზილალასგან შედგება და რომელსაც იშვიათი ალბინოსი-თევზისგან იღებენ. ის 150-წლიანი ბალზამური ძმრით არის შეკმაზული. მთავარი კერძი იაპონური, ვაგიუს ჯიშის ძროხის ხორცის ფილეა, ზედ აკბარის თესლი აყრია და დამატებით 50-კარატიანი, საკვებადვარგისი ოქროს ფურცლით არის დაფარული. ლონდონელი შეფ-მზარეულები კლიენტებს შესანიშნავ დესერტსაც სთავაზობენ, რომელიც ათქვეფილი ნაღებისა და ელიტური ყავა „კოპი ლუვაკის" დაფქული მარცვლებისგან შედგება. დესერტში შედის ასევე იშვიათი ჯიშის საზამთრო ენსუკე. რა თქმა უნდა, ასეთი პომპეზური სადილი ექსკლუზიური ალკოჰოლის გარეშე ვერ ჩაივლის, რომლის რანგშიც ამ საშობაო სუფრაზე შამპანური იქნება. ის ამ დღეს ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროიდან ელის. ასეთი ძვირადღირებული მენიუ მხოლოდ და მხოლოდ შეძლებული გურმანებისთვის არის შედგენილი, თუმცა, სადილისგან მათ გარანტირებული აქვთ შეუდარებელი გასტრონომიული სიამოვნება, — ამტკიცებენ სერვისის დამფუძნებლები.



# გერმანიაში ბავშვის გაჩენა მოდური არ არის



ახალი გამოკვლევის მიხედვით დადგინდა, რომ შვილის ყოლა გერმანელებისთვის სულ უფრო უინტერესო ხდება. მოსახლეობის გამოკვლევის ფედერალური ინსტიტუტის სწავლულები შობადობის კლების მიზეზად, უპირველესად, იმ სირთულეებს ასახელებენ, რაც პროფესიული საქმიანობისა და მშობლის მოვალეობის შეთავსებისას წარმოიშობა. ამას ემატება ასევე არასაკმარისი საზოგადოებრივი აღიარება მომუშავე დედებისა. „კარგი" დედის სახე, რომელიც სახლში უნდა იჯდეს და ბავშვებს უვლიდეს, უპირველესად, ძველ ფედერალურ მიწებზეა გავრცელებული და თანაც იმდენად ძლიერად, რომ ის ქალები, ვისაც სამსახური აქვს, ხშირად უარს ამბობენ შვილის გაჩენაზე. გამოკითხვის მიხედვით, ბავშვების ყოლა ბევრი გერმანელისთვის ცხოვრებაში უკვე მეორე პლანზე გადადის. მათთვის უფრო მნიშვნელოვანი პროფესიული ინტერესები, მეგობრობა ან ჰობია.

# სიცოცხლის ხანგრძლივობას ტესტით დაადგენთ

ნისლიან ალბიონზე, 400 გირვანქა სტერლინგად, შეგიძლიათ სისხლის ანალიზი გაიკეთოთ, რომლის შედეგების მიხედვით დაადგენთ, როდის გარდაიცვლებით. სიკვდილის თარიღის დადგენის გარდა, ახალი ტესტი საშუალებას იძლევა გაარკვიოთ, რა დაავადებები შეიძლება განვითარდეს. მეცნიერთა თქმით, ამის გარკვევა შეიძლება ქრომოსომის უმცირესი ნაწილაკების საშუალო სიგრძის მიხედვით, რომელთაც ტელომერებს უწოდებენ. ისინი ყოველ ჯერზე მოკლდება, როცა უჯრედი იყოფა. ორგანიზმის განვითარებისას კი ეს რეგულარულად ხდება. ტელომერების სიგრძე საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ადამიანის ბიოლოგიური ასაკი, ანუ დაბერების ინტენსიურობა და ორგანიზმის ფიზიკური განვითარების ხარისხი. სწორედ ამიტომ, ტელომერების სიგრძიდან გამომდინარე, შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ადამიანის გარდაცვალება იმ პირობით, რომ ეს ბუნებრივი გზით მოხდება. ტელომერების დამოკლების სიჩქარე ყოველ ცოცხალ ორგანიზმს განსხვავებული აქვს. რაც უფრო სწრაფად ხდება ეს, მით უარესია ადამიანისთვის, — აცხადებენ ბრიტანელი სწავლულები.



# სექსისას დაშავებულს კომპენსაციას მთავრობა გადაუხდის



ავსტრალიის მოქალაქე, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მუშაობს, სასამართლო გადაწყვეტილებით, კომპენსაციას მიიღებს ტრავმის გამო, რომელიც მას ინტიმური ურთიერთობის დროს შეემთხვა. სიდნეიდან სამხრეთით მდებარე ერთ-ერთ ქალაქში მივლინებაში მყოფი მანდილოსანი, მოტელში საკუთარ მეგობართან ერთად სექსით იყო დაკავებული, როცა ნათურა გასკდა და ცხელი შუშა ქალს სახეზე დაეცა. ჩინოვნიკმა მანდილოსანმა სახის დამწვრობა მიიღო. ამ შემთხვევის შემდეგ ის დიდხანს დეპრესიაში იყო და ვერც სამთავრობო სამსახურში სიარულს ახერხებდა. როცა კვლავ შეუდგა მუშაობას, ავსტრალიელმა გადაწყვიტა, ხელმძღვანელობისთვის ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიემართა, რადგან ამ დროს ის მივლინებაში იმყოფებოდა, ანუ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. უფროსობამ უარი განაცხადა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუმცა, ქალი უკან დახევას არ აპირებდა და ავსტრალიის სახელმწიფოს სასამართლოში, შრომითი კანონმდებლობის დარღვევისთვის უჩივლა. საქმის განხილვის შემდეგ, გასულ კვირას სასამართლომ განაჩენი ტრავმირებული ჩინოვნიკის სასარგებლოდ გამოიტანა. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, სექსის დროს დაშავებულ ქალს რა ოდენობის თანხას აუნაზღაურებენ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 3 | | 2 | |
| 6 | | | | | | 7 | | 3 |
| 2 | | | 8 | 5 | | | | |
| | | | 7 | 9 | 1 | | | |
| 4 | 6 | | | | | | 9 | 8 |
| | | | 6 | 8 | 4 | | | |
| | | | | 7 | 2 | | | 1 |
| 7 | | 3 | | | | | | 6 |
| | 8 | | 1 | | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | | | | |
| 7 | 2 | | | 9 | 3 | 5 | | |
| | | 9 | 8 | | | 3 | | |
| | 1 | | 9 | | | | | 3 |
| | | 5 | 4 | 7 | 6 | 2 | | |
| 4 | | | | | 2 | | 6 | |
| | | 6 | | | 1 | 4 | | |
| | | 1 | 6 | 4 | | | 3 | 2 |
| | | | | | | | | 1 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | | 8 | | 3 | |
| 1 | 5 | | 9 | | | | | 2 |
| 3 | | | | | | | | |
| 5 | | 1 | | | 4 | 8 | | |
| | | | | 7 | | | | |
| | | 2 | 1 | | | 9 | | 3 |
| | | | | | | | | 4 |
| 8 | | | | | 5 | | 1 | 7 |
| | 6 | | 8 | | | 5 | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 9 |
| | 4 | | | | | 6 | 1 | |
| | | 9 | 7 | | | | 8 | |
| 2 | 9 | | 1 | | 4 | 5 | | 3 |
| | 6 | 5 | | 3 | | 1 | 2 | |
| 1 | | 8 | 5 | | 2 | | 9 | 4 |
| | 2 | | | | 5 | 3 | | |
| | 7 | 1 | | | | | 5 | |
| 8 | | | | | | | | |



# ჰოროსკოპი
## 22 დეკემბერი

***ვერძი*** — ნებისმიერ საქმეში ადვილად უმკლავდებით ყველა სიძნელეს და შესანიშნავ შედეგებს აღწევთ. ბოლომდე რომ გამოიყენოთ პოზიტიური ტენდენციების გავლენა, გარშემომყოფებთან ურთიერთობის სწორი ფორმა შეარჩიეთ. ადვილად იჩენთ ინტერესს უცხო ადამიანებისადმი და ადვილად ჩნდება სიმპათია, სწრაფად ვითარდება რომანტიკული ურთიერთობებიც. ქალებს შეუძლიათ, საკუთარ ინტუიციას ენდონ, კაცებს კი სასურველის რეალობად გასაღება სურთ.

***კურო*** — თქვენი პრობლემა ის არის, რომ ადვილად ჰყვებით პროვოკაციას. სწორედ ამიტომ საკუთარი საქციელი თავადვე არ მოგწონთ, უსიამოვნო ისტორიებსა და უპერსპექტივო პროექტებში ეხვევით. თამამად თქვით იმაზე უარი, რაც არ მოგწონთ. შესაძლოა, თქვენთვის უცხო, მაგრამ საჭირო ადამიანების მოულოდნელი ვიზიტი. მოგიწევთ გეგმების შეცვლა და სტუმართმოყვარე მასპინძლის როლში ყოფნა.

***ტყუპები*** — ძალიან ბევრს რისკავთ, მაგრამ ასევე ბევრი შეიძლება მოიგოთ. ამ ნიშნის უშიშარი წარმომადგენლები წარმატებას აღწევენ. თუმცა, დილიდანვე, ადვილად მისაღწევი გამარჯვების იმედი ნუ გექნებათ. კარგი დღეა სამეცნიერო საქმიანობისთვის, გასართობად კი შეგიძლიათ საღამოს წახვიდეთ, როცა ნეგატიური ტენდენციების გავლენა ნაკლები იქნება.

***კირჩხიბი*** — ეს დღე საინტერესო შესაძლებლობებს აძლევს მათ, ვისაც მიღწეულით დაკმაყოფილება არ სურს. ისწავლეთ, შეიტანით ახალი, იფიქრეთ ცხოვრებაზე, იყავით სერიოზულნი — ასე ბევრ უსიამოვნებასა და სიძნელეს აარიდებთ თავს. ბევრი საყოფაცხოვრებო საკითხი დაგიგროვდათ. ნუ გადადებთ მათ მოგვარებას.

***ლომი*** — დიდ წამოწყებებში წარმატების მიღწევის შანსი ნაკლებია, წვრილმან საქმეებს კი ადვილად გაუმკლავდებით. თუ გამგზავრებას აპირებთ, ეს დღის პირველ ნახევარში გააკეთეთ. შეხვედრებისთვის კი, პირიქით, საღამოა კარგი — ამ დროს ყველა მშვიდი, კონსტრუქციული დიალოგისთვის იქნება მზად. თუმცა, მთლიანობაში დღე არც ისე სასიკეთო შეიძლება იყოს. დიდია ალბათობა უსიამოვნო მოვლენებისა პირად ცხოვრებაში.

***ქალწული*** — რთულად ეწყობა ოჯახური ურთიერთობები და მის მოგვარებაზე დღის დიდი ნაწილი ჩაივლის. თქვენს დახმარებას ბევრი საჭიროებს, მაგრამ რასაც აკეთებთ, ბევრი ვერ დააფასებს. არ არის სასურველი რთული საკითხების მოგვარების წამოწყება. დღეს კარგ განწყობაზე ხართ და ასე გაგრძელდება, თუ ალკოჰოლით ბოროტად არ ისარგებლებთ. ეფექტურია კოსმეტიკური პროცედურები, კარგი დღეა სილამაზის სალონში ვიზიტისა და იმიჯის შესაცვლელად.

***სასწორი*** — სასწორებს დაძაბული დღე აქვთ. მისი მეორე ნახევარი პირველზე გაცილებით წარმატებული იქნება. ამიტომ, დილისთვის ნუ დაგეგმავთ მნიშვნელოვან საქმეებს, რასაც დიდი ყურადღება სჭირდება. ფიზიკური დატვირთვა, ცეკვები და გართობა კი სწორედ რომ შესაფერისია. შეგიძლიათ საყიდლებზეც წახვიდეთ, მაგრამ ზედმეტს ნუ დახარჯავთ. კარგი იქნება, თუ დროს იმ ადამიანებისთვისაც გამონახავთ, ვისაც თქვენი კარგად ესმის — მათი მხარდაჭერა სწორედ დროული იქნება.

***ღრიანკალი*** — ამ დღეს შეხვდებით ადამიანს, რომელიც მივიწყებულ გრძნობას გაგიღვიძებთ და წარსულში დაგაბრუნებთ. სწორი გადაწყვეტილებების მიღება გაგიჭირდებათ, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ თავად არ იცით, ზუსტად რა გინდათ. კარგია, თუ გვერდით ისეთი ადამიანი გეყოლებათ, ვისაც რჩევისთვის მიმართავთ. საკუთარ ინტუიციას დღეს ნუ ენდობით.

***მშვილდოსანი*** — მზად იყავით უსიამოვნო საუბრისთვის. ნიშნის წარმომადგენლებს სულაც არ სურთ ურთიერთობების გარკვევა, საკუთარი და სხვისი საქციელის გაანალიზება, მაგრამ სიტუაცია სწორედ ამას მოითხოვს. შეეცადეთ, გარეგნულად მაინც შეინარჩუნოთ სიმშვიდე. თუ ემოციებს აყვებით, კონსტრუქციული დიალოგი არ შედგება. კარგი დღეა სწავლასთან, პროფესიულ საქმიანობასა და ფინანსებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. ამ დღეს გეგმებს სწორად აწყობთ და წარმატებითაც განახორციელებთ.

***თხის რქა*** — ეს დღე არასასიკეთო ემოციური ფონით გამოირჩევა. დათრგუნვილი ხართ, უბრალო რამეზეც შფოთავთ. სინამდვილეში კი, ყველაფერი ასე ცუდად არ არის. უკვე დღის მეორე ნახევარში დარწმუნდებით, რომ ვარსკვლავები კეთილგანწყობილნი არიან თქვენს მიმართ. სავარაუდოა კარგი შენაძენი და ხელსაყრელი ინვესტიციები. არ არის გამორიცხული მოულოდნელი შეთავაზება თანამშრომლობის თაობაზე.

***მერწყული*** — მოემზადეთ საკუთარი შეხედულების დაცვისთვის თქვენთვის ძვირფას ადამიანთან. ამ დღეს დაძაბულობა მოაქვს ყველაზე ჰარმონიულ ურთიერთობებშიც კი, პრობლემური კავშირებისთვის კი არც ისე სახუმარო გამოცდა იქნება. შეეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ, აღიდგინოთ სულიერი ძალები. საამისოდ შეგიძლიათ იოგასა და სხვადასხვა მედიტაციას მიმართოთ. საკუთარ თავს ბევრს ნუ მოსთხოვთ. გადადეთ საქმეები, თუ გრძნობთ, რომ მას ჩიხში შეჰყავხართ.

***თევზები*** — თავი აარიდეთ კამათსა და მწვავე დისკუსიებს, კონფლიქტურ სიტუაციებს, რადგან მათზე თქვენი რეაქცია ძალიან მწვავე იქნება, ნერვული დაძაბულობა კი ჯანმრთელობას შეგირყევთ. დღეს განსაკუთრებით გჭირდებათ სულიერი კომფორტი, სასიამოვნო და კეთილგანწყობილი ადამიანების საზოგადოებაში ყოფნა, ახლობლების მხარდაჭერა. ყველა ის საქმე, სადაც არ აჩქარდებით, წარმატებით სრულდება. კარგი დღეა წყნარი მუსიკის მოსმენისთვის, სხვადასხვა სახის ხელსაქმით დაკავებისთვის. შეგიძლიათ, საყვარელ ადამიანთან ერთად რესტორანში, კინოში ან თეატრში წახვიდეთ, ღამის კლუბებში სტუმრობა კი დღეს სასურველი არ არის.

## ამინდის პროგნოზი

| | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|
| თბილისი | +7 | +8 | +5 |
| ქუთაისი | +14 | +10 | +14 |
| ბათუმი | +16 | +13 | +17 |
| სოხუმი | +13 | +10 | +15 |
| თელავი | +6 | +7 | +4 |
| გუდაური | -2 | -2 | -4 |
| ბაკურიანი | -1 | -3 | -3 |
| მესტია | +5 | +3 | +4 |



გენერალი რეზო გურგენიძე-პროფესიონალი და უბრალოდ კარგი კაცი, ასე დავიწყე ინტერვიუ ვერსიის წინა ნომერში ბატონ რეზოსთან. რუსეთ საქართველოს ომზე მიამბობდა, გულდაწყვეტილი იყო, ჩვენი ძალა და პოტენციალი ბოლომდე ვერ გამოვიყენეთო. თუმცა იმედიანად დავშორდით ერთმანეთს, ყველაფერი კარგად იქნებაო. სამწუხაროდ, იმ საღამოს , როცა ინტერვიუ ჩავწერე, ბატონი რეზო მოულოდნელად გარდაიცვალა. ჩვენ მას დიდი ხნის მანძილზე ვიცნობდით და თამამად შეგვიძლია თქმა: საქართველოს კიდევ ერთი მამაცი მხედარი გამოაკლდა. ახლა, როცა წარსულ დროში გვიწევს ბატონ რეზოზე წერა, ბევრი რამე გვახსენდება. ერთ ისტორიას გიამბობთ და ესეც საკმარისია წარმოდგენის შესაქმნელად: პუტჩის დროს, როცა რუსთაველი ცეცხლის ალში იყო გახვეული, შემოუთვალეს, ტანკები გამოიყვანე და გამსახურდიას ჩამოგდებაში მოგვეხმარეო. ქართველი კაცი რუსთაველზე ტანკით არ გავივლიო, იყო პასუხი. ასეთი პიროვნება იყო რეზო გურგენიძე. პროფესიონალი და უბრალოდ კარგი კაცი...





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი" გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



იკითხეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699



მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com



® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით